ზადრი ცირამუა

პოეტური მონოლოგები

გამომცემლობა "ინტელექტი"
თბილისი 2010

ცოცხლობს საქართველო, ცოცხლობს!

ეს-ესაა, ბადრი ცირამუას ლექსების კრებული კიდევ ერთხელ წავიკითხე, წიგნი გადაშლილი დავტოვე და ვფიქრობ, საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელ, ისე ვფიქრობ, ვინ ვარ და ამ ცოდვილ ქვეყანას რისთვის ვამძიმებ; ჩემი აქ მოსვლით ამ სამყაროს რამე შევმატე, თუ ხვალ ყინულივით ცივი ქალაქის უდაბურ სასაფლაოზე დარჩება ზუსტად ისეთი პატარა ფილა ზუსტად ისეთი წარწერით, ოდესღაც დიდმა ილიამ ლუარსაბ თათქარიძის საფლავზე რომ დადო.

ბადრი ცირამუას პოეტობის ამბავი მხოლოდ იმ ადამიანებმა იციან, მას პირადად რომ იცნობენ. ხოლო მისი პოეზიის ხიბლით დათრობა დღემდე, ალბათ რამდენიმე ადამიანმა თუ მოახერხა _ იგი არ ყოფილა, არ არის და არც ოდესმე იქნება “მოდური” პოეტი; იგი ოდებს არ უძღვნიდა, არ უძღვნის და არ მიუძღვნის დამანგრეველ რევოლუციებს, რევოლუციურ “აღმშენებლობას” და რევოლუციურ “მოღვაწეებს”. მისთვის ძვირფასი მხოლოდ მარადიული ღირებულებებია და ჩვენც ამასვე გვიქადაგებს. და ამიტომაც მარადიულის მოძულე მედროვეები არ ცდილობდნენ, არ ცდილობენ და არც ოდესმე ეცდებიან ბადრისნაირთა პროპაგანდას _ მისი წიგნების გამოცემას, ხმაურიანი “განხილვების “ მოწყობას და პრემიების მინიჭებას. ეს კარგად იცის ამ ეპოქის ღვიძლმა შვილმა პოეტმა: ლექსებს წერს და სკივრში ინახავს. არც დაწერის თარიღებს აწერს, რადგან რაზეც წერს, იგი მარადიულია, როგორც სამყარო, როგორც სამშობლო, როგორც ვნება და სიყვარული, როგორც სიკეთე და ბოროტება, როგორც შური და ღვარძლი, როგორც უკეთესის რწმენა, როგორც დაუსაბამო ბრძოლა სიავესა და სიკეთეს შორის...

ბადრი ცირამუა _ ეს თვითონ ქართველი გლეხია, ხვავის და ბარაქის შემოქმედი, ხელგაშლილი და სტუმრის მოყვარე. ის კაცი, ვინც “ხნავდა, თესდა, თიბდა, მკიდა _ ზრახვა მუდამ ჰქონდა წმინდა”; ვინც სახნისს და ნამგალს ხშირად გვერდზე გადადებდა, რომ ხელში ხმალი აეღო და თავისი მიწა, ოჯახი, სამშობლო, სარწმუნოება და ტრადიციები დაეცვა. ვინც ურმულს მღეროდა, ვეფხის და მოყმის ლექსს წერდა, თაობებს ამირანის ლეგენდაზე ზრდიდა...

“კვლავ ვიგვიანებ ამაყი ქმარი, გაბრუებული ტკივილის იყით, დამაქვს კარდაკარ ციმციმა კვარი, ვისთვის ბრძენი ვარ და ვისთვის ბრიყვი”... ესეც ბადრია, დავითია, ვახტანგია, ყველა გულიანი ქართველი კაცია, ვისთვისაც სულერთი არ არის, რა იქნება ხვალ და ცდილობს კიდეც უკეთესი ხვალეს დადგომისთვის...

თვალისჩინწართმეულ, შეგინებულ დადიანების სასახლეს მარტოობა და შიში დაპატრონებია. ჟამთა სიავეს მხოლოდ შეშლილი ძეკე გადარჩენია _ სასახლის ღობემორღვეულ, გაბარდულ ეზოში ფურებს აძოვებს და თავისთვის სევდიან ჰანგზე ღიღინებს.

ჩემს სამშობლოში დრო გაჩერებულა, სიცოცხლე მომკვდარა, ადამიანები გაუმაქნისებულან, ქვეყანა ვალით დახუნძლულა. აღარც შენებაა, აღარც ქეიფია, აღარც ჭორებია და სოფელიც ლანდად და მოჩვენებად ქცეულა. სულის სიმხნევე მხოლოდ გაუტეხელ ყალიჩას ქალს შერჩენია _ ისევ ისე, ძველებურად "წმენდს და ალაგებს გადახუნებულ უმაქნის საგნებს."

სადღაც, სოფლის განაპირას კვდება სოფლის უკანასკნელი იმედი ჯამუ. სწორედ ის ჯამუ, მოუღლელი მკლავი და უსაზღვროდ დიდი გული რომ ჰქონდა, სოფელს იმედით რომ ავსებდა. ახლა სოფელი გამოუცნობი მომავლის შიშით გალურსულა და თავში ყველას საბედისწერო კითხვა უტრიალებს: "დაჭირდება, ნეტავ, გამჩენს უჯამუოდ ეს სოფელი?"

გონიერი კაცისთვის მართლაც ძნელია, ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე კაცობრიობამ ეს ვერ მოახერხა და თავის დამშვიდებას ჰამლეტის საკრამენტული ფრაზით ცდილობს: "ყოფნა? არყოფნა? _ საკითხავი, აი, ეს არის!" ან, იქნებ არის გამოსავალი:

"არის ნამდვილი მიქარვა,
_ რა მომიტანა ჩანგმა?..
რა დროს წერა და კითხვაა,
რა დროს წიგნების სტამბვა:
ამით არარა გამოდის,
არც-რა ოცნებით, ნატვრით, ერთი, თბილისში ჩამოდი,
შენც ჩემებურად ჩატკბი;
თაროზე ჰომერს მტვერი სჭამს...
მე რა იმედი მქონდეს,
ვაშა! in vino veritas! _
მისი მომგონი ცხონდეს!"

ღმერთი დაგვეკარგაო, შიშით და სიფრთხილით ამბობს პოეტი: "მწუხარე ღვთისმშობლის ხატი, ტაძარი უქმია, უმღვდლოა, ეზოში ბარის და შამბის ნამდვილი, ნამდვილი ურდოა; მოსულა ქართველი დენდი და ტაძრის კარებთან ყუდია... სად არის, სად არის ღმერთი..." იქნებ ვცდები, იქნებ ვაჭარბებ, მაგრამ მგონია, რომ აქედან ერთი ნაბიჯიც კი არ რჩება ფრიდრიხ ნიცშეს გონებისშემძვრელ აღმოჩენამდე, რომელსაც განათლებული კაცობრიობა დღემდე ძრწოლვით გარს უვლის _ ღმერთი მოკვდა!

ვინც ეს იცის, მას არ გააკვირვებს პოეტის სურვილი, ეს ცოდვებით დამძიმებული მიწა დატოვოს და სული ზეცას მიანდოს:

"ცაში ანგელოზებია, მიწად გული დამიმძიმდა, ნუღარ გაგიოცებია, თუკი ცაში, ცაში მინდა..."

მეც ამ კითხვას ვუტრიალებ, ღირს თუ არა ცხოვრება იმ ქვეყანაში და სამსახური იმ ქვეყნისა, სადაც პოეტი ასეთ რამეს დაწერს:

"მშიერ მურმანს ვხვდები როცა,
მწყურვალ მურმანს, მაგრამ გზიანს,
ცა და მიწას როცა ლოცავს,

მისთვის გასაყოფელს ძნიად...
ამ ქვეყანას, ნეტავ, რა სჭირს,
თავის შვილებს რომ ვერ უვლის,
ფიროსმანს და ბარათაშვილს,
როგორ ვერ აჩვენა გული...
მიწამ შემიჭამოს პირი
(მირჩევნია მიწად ვიწვე) _
სამშობლოზე რომ ვთქვა ძვირი,
ვიცი, გულის გულში მიწყენ:
მიწყენ, მაგრამ რა ვქნა, მურმან,
როს ქვეყანა ცრუა, ყრუა,
როცა წყალს და მეწყერს მიაქვს,
მადლიანი რამე თუა...
კი ბატონო, ღირსეული
კაცი ხარ და ქვეყნის მწე ხარ,
მაგრამ, მურმან, დღეს სხეული
ლამის გულზე შემომეხა; ეშმა მამულს შესეული დავინახე ყველა ერთად...”

ამ შემზარავ სიმართლეს ერთი პოეტი მეორე პოეტს ჩვენს გასაგონად ეუბნება _ საქართველოს შვილებს თვალის გახელას და მწარეზე მწარე სიმართლის დანახვას გვირჩევს: ოდესღაც მოსიყვარულე დედა-სამშობლო ჩვენთვის დღეს ავ დედინაცვლად გადაქცეულა, ქუჩაში მშიერი პოეტი დადის, ქვეყანა დაყრუებულა, მამულს ეშმა შესევია და გამკითხავიც არ სჩანს.

ბადრი ცირამუა არ არის ვინმე ჩასაფრებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, ადამიანებისთვის თეთრის შავად მოჩვენებას და ამით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას რომ ესწრაფვოდეს. იგი პოეტია და იმას ამბობს, რასაც ხედავს; რასაც ჩვენ, უბრალო მოკვდავები, იქნებ ვერ ვხედავთ და რომ ვხედავდეთ კიდეც, სიტყვებით ვერ გადმოვცემთ. დიახ, პოეტის სკივრში დამწყვდეული ეს სიმართლე ისეთი სიმართლეა, უსამართლობას ხვალ წინ რომ აღუდგება, დაუოკებელ სტიქიას ჯებირებს გაარღვევინებს და იმ უსამართლობის შემოქმედთ ღვთის რისხვად მოევლინება. მაშინ გვიან იქნებაო, ამბობს პოეტი, მაშინ მტყუან-მართლის გასარჩევად ვერავინ მოიცლისო.

მაგრამ ამქვეყნად მაინც არის იმედი, რადგან არის ყალიჩას ქალი, კოლხი თავსაფრიანი დედაკაცი, გაუტეხელი მეომარი და შვილების სამშობლოს სიყვარულით მზრდელი; მშვენიერი კატერინა, სოფლის იმედი რომ იყო და ცაში ანგელოზებს გაჰყვა...

მერე რა, რომ ჩვენს სამშობლოში დღეს ყველას ნიღაბი აუფარებია:

“სათნოს ნიღაბი ცბიერს და ბოროტს,
ნიღაბი ბრძენის გიჟსა და სულელს,
და ვხვდები ახლა, სიცოცხლის ბოლოს,
საქმე ნიღბებში ყოფილა, თურმე;
და ვიღებ ნიღაბს... მოვდივარ ბრძენი.

გნებავთ, სულელი? _ სულელის ნიღაბს
ვირგებ და... დედა ვატირე თქვენი,
ვდგები ათასი ნიღაბის მიღმა.”

მერე რა, რომ “შაურიც არ ადევს ნამუსს”... ეს იმათ იდარდონ, ვინაც საკუთარი სინდის-ნამუსი ეფემერულ თანამდებობებზე და ძალაუფლებაზე გადაცვალეს, წარმავალი ხორციელი კეთილდღეობა სულიერებას ამჯობინეს, ანუ საკუთარი ადამიანობა საკუთარი ნებით და საკუთარი ხელით კანალიზაციაში ჩარეცხეს.

მერე რა, რომ ამქვეყნად საშიშრად ბევრია ბადრი ცირამუას ვინმე აპრაკუნე:

“შეგაძულებს ამა სოფელს,
სულ ვით ვყავართ გალახული(!),
ეს ქვეყანა, ღმერთო, მოსპე,
აპრაკუნეს დანახული...“ ამქვეყნად ხომ კეთილი ჯამუც არის:
“...ტაბლად ვსხედვართ, უკვე ვავსებ
ჭიქებს, ვიწყებთ საუბარს,
აპრაკუნეს ჯამუს გზაზე
ჯერ ფეხი არ დაუდგამს.”

ვენდოთ პოეტის ალღოს და სიტყვას _ საქართველოს, ქართველობას გადაშენება არ უწერია, რადგან ასეთია ისტორიის უტყუარი ლოგიკა; რადგან ნიღბიანი და უნიღბო აპრაკუნეების გარდა, ბევრია მეომარი, იმედიანი ქვეყნის ქომაგი, მოფიქრალი და მოჭირნახულე ადამიანი. დღევანდელი სულიერი და ფიზიკური სიდუხჭირის მიღმა ჩვენი მრავალტანჯული, მრავალჯერ დაცემული და მრავალჯერ ფეხზე წამომდგარი ხელხმალიანი საქართველო ილანდება: ფარნავაზის, დავითის, ვახტანგის, თამარის, შოთას, ილიას თევდორე მღვდლის, ვაჟას, გალაკტიონის, თავსაფრიანი დედაკაცის, უამრავი უჩინო პატრიოტის საქართველო; ყველა იმ ადამიანის სამშობლო, ვისაც შეუძლია ალალი გულით გაიმეოროს პოეტის სიტყვები:

“შენ ჩემი სისხლის ყივილო,
მწეო გულის და თვალისა,
არის სტრიქონი _ მიმინო
და ლაბა ხარიც არისა.
ვარდის ფურცელი, ღიღილო,
ბრწყენა_თამაში ჩქერისა,
შენი სახე და პირიო, ცამდე აწევა ჭერისა...”

დიახ, დიდი გალაკტიონისა არ იყოს, საქართველოს ანათემასავით მუდამ თან სდევს საკაცობრიო დარდი და ურვა, მაგრამ ეს ყველა კულტურული ერის ხვედრია _ საქრთველო იბრძვის და გაიმარჯვებს:

“...თურმე უძველესი მოდგმა
წყვდიადს ძველებურად ფატრავს,

თურმე გზას უნათებს შოთა,
თურმე ახდენია ნატვრა:
ველი... რა იქნება ხვალე,
იბრძვის, ესე იგი: მოწმობს,
ცოცხლობს ამირანი, მარე,
ცოცხლობს, საქართველო, ცოცხლობს!..”

ეს სამოცი წლის ბადრი ცირამუას პირველი სერიოზული პოეტური კრებულია. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ავტორმა მისი წიგნის რედაქტორობა მანდო. მოდი, ნუ მკითხავთ, განსაკუთრებით რა მომწონს ან არ მომწონს ამ წიგნში – დიდ პოეზიაზე საუბარი ისეთივე (და უფრო უარესიც!) უმადური საქმეა, როგორც დიდ მუსიკაზე. ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა _ ბადრი ცირამუას პოეზიამ ჩემზე დაახლოებით ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც ოდესღაც, შორეულ სიყმაწვილეში, რიჰარდ ვაგნერის მუსიკამ: რომ ყველა ადამიანში, თუ იგი ადამიანია, არის ღმერთი. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ჩემს არსებაში ღმერთი უფრო მეტია, ვიდრე მის წაკითხვამდე.

ეზიარეთ თქვენც _ არაღვთიური პოეზია ხომ ამქვეყნად არც არსებობს!

თეიმურაზ ქორიძე

ვალი

ჩემი სული _ ციხე

მსურდა რითმე ამეღო,

რა ხდებოდა გამეგო,

არა, ძალა არ მეყო!..

თურმე სულის ბჭესთან

ეშმაკები მესხა,

რომ ცხოვრება წამეგო.

არაფერი შემრჩა,

ყოველივე ჩენჩად.

დამეყარა, დამეწყო.

რომ მეთოხნა სჯობდა,

და საფქვავი წამეღო,

ვენახისთვის მომევლო...

ანდა, სულაც ნავსი

გამეტეხა... რომეო,

მეთამაშა ფარსი

 და გზა შორით მომევლო,

გამჩენოდა შანსი

ჯულიეტა მყოლოდა...

არ მეჭამა ღოლო და

არ მეძია არსი...

საქონელი მემწყემსა,

ვგდებულიყავ კარში...

ისე, ჩემთვის მელექსა...

ჩეროდ ცელი მელესა,

ვმდგარიყავი მკაში,

მაგრამ... ჭრეს და კერესა,

ჩემი ბედიც ცაში...

ჩემი სული _ ციხე,

მსურდა რითმე ამეღო,

რა ხდებოდა გამეგო,

არა, ძალა არ მეყო, _

ვრჩები ისევ ვალში...

პიეტა

ჩემი პიეტა ერთი ლექსია,

თქვენთან უცილოდ მოვა თავისით,

წარმოიდგინეთ ის თქვენს ლოცვებში,

როგორც ნექტარი, მზე და ყვავილი;

ის თქვენთან ერთად ივლის, იბრწყინებს,

არ მოსწყინდებით, არ მოგწყინდებათ,

არ მოგცილდებათ, თქვენთან სიკვდიმდე

დაიბინადრებს მისი დიდება.

სად არ ვეძებე მისთვის სიტყვები,

თუმცა, იჭვებმა ლამის დამახრჩონ,

ბრწყენს თეთრი... ლურჯი... მწვანე... წითელი, _

სხივების კონას შევხსენ ხარაჩო.

მინდოდა იგი ისე მართალი,

ისე გულღია, როგორც მამაა,

შეყვარებული გულის ფართქალი,

ისეთი წმინდა, როგორც ანაა.

მსურდა მფეთქავი ჩქერი ნამდვილი,

მის დაბადებას ჯვარი სწერია,

ისეთი ტკბილი, როგორც «ნადური»

და მშობლიური სახლი, კერია.

მინდოდა ლაღი, მაგრამ უბრალო,

განსხვავებული კარმის, ვუალის,

თავისუფალი ლექსი, უვალო_

ქვეყნად უვალო რამე თუ არის.

ვით დედაჩემის ჭაღარა _ ვერცხლი,

მისი შუბლის და სახის ღარები,

მართალი, როგორც თვალები _ ზეცა

სევდა-ნაღველში ნაკამკამები;

სად არ ვეძებე მისთვის სიტყვები,

თუმცა იჭვებმა ლამის დამახრჩონ,

ელვარებს ლურჯი... მწვანე.. წითელი, _

სხივების კონას შევხსენ ხარაჩო.

ალვები

აშოლტილები და კენარები

დგანან ალვები ქარსაცავებად,

ვინ უწყის, ასე მაღლებს რამდენი

გამოვლილი აქვთ ტანჯვა-წამება;

სპარტელებივით დგანან მწკრივებად,
აშოლტილები, ატყორცნილები,
დასჯახებიათ ქარი ყინვებად,
მკერდთ გადაუდით ქვეყნის წვიმები;
მაინც უდრეკად დგანან და დგანან,
მუდამ გვერდიგვერდ, მუდამ მარხულად,
ყველა გასაჭირს იტანენ წყნარად,
უთქმელად, მშვიდად და ვაჟკაცურად;
დაჭიმულები, როგორც სიმები,
აწვართულები და კენარები.
აშოლტილები, ატყორცნილები,
როგორც მცველები დგანან ალვები;
სულ მშფოთვარენი, სულ მღვიძარენი
ღამის ნაფლეთებს ყრიან ჩრდილებად,
ასე ნაომრებს ნაგვიანევი,
რაში სჭირდებათ ჩემგან დიდება.
მაგრამ ეს გული აღარ მასვენებს,
მინდა ვიცოცხლო მეც მათნაირად;
კენწეროებით ღრუბლებს გასწევენ
ჩამოგიღებენ მთვარეს დაირად;
მზაობ ასეთი ბედისწერისთვის,
რომ იყო ფარი, რაც უფაროა,
ხარ ბედნიერი, რადგან ვერ იტყვი,
რომ ყველაფერი ეს ამაოა.

ღირს?..

დგას ჭირვეული ამინდი მარტის,

საგაზაფხულო ფერებს ირევენ...

მეც მესიზმრება ყვავილი ატმის,

ვით ხეებს გვიან მოყვავილეებს;

თუმცა, ღირს ისევ გარდასახვანი,

იყო ბუნებით ნაზი, ფხიზელი,

ასე ახლოა, როცა მსახვრალი

ხელი მიქცევის და მივიწყების;

როცა საწყისში ფათურობს ლანდი,

სასრულის... ნათელს წკვარამი მოსდევს,

ბასრი ნაჯახით როდესაც დადის

ვიღაც და გაჭრის გაკვირტულ ტოტებს.

ღირს? _ ისევ დადგე თავჩაქინდრული,

გაიზიარო ათასის ბედი, _

დაჩრდილული და გამოფიტული,

დამოკლებული ხეების გვერდით.

არა, უბრალოდ, სჯობს იქნებ გახმე,

მოგჭრან და ცივად ბაღს გაგაცილონ,

ვიდრე მორჩილი გულით და სახით

იდგე, საწყალი და სასაცილო.

ნაძვები

ერთფეროვნება სულს იოკებს მათ შორის მუდამ,
იბადებიან ერთი ფერით, კვდებიან ერთით,
როცა სულს ღაფავს ყვავილები, ბალახი ფერხთით,
მაშინაც მეტი სიმწვანე და სინედლე ერწყმით,
თითქოსდა მთელი წარმავალის შეწირვა უნდათ...
დანთებულია ჩემი სულის ყველა კოცონი,
უკვე დავწერე ნახევარზე მეტი ბარათი,
და შარაგზებზე ქრისტიანი და ხან წარმართი
მხოლოდღა იმით, რაც შემძინე და რაც წამართვი,
მივდივარ ნელა და... მიქრება ზოგჯერ სანათი
ქარის მოწოლით...
და მენატრება მარადმწვანე ნაძვის ხეების
ერთფეროვნება, ერთი სული, ერთი მიზანი,
ცხოვრება ჩემი ძალზე ცხადი, კიდეც სიზმარი
და საუკუნის ხანაც მგზავრი, ხანაც ხიზანი,
გადარჩენილი იმედისკენ მივემართები...

გაქცევა

მილევადია რხევა ყოველი,
ყოველი ლტოლვა მილევადია,
ამას მიხსნიდა სიზმარეული

წარსულის მნათი ჩემი გადია, _

მილევადია ყოველი დარდი,

ყოველი ფიქრი მილევადია;

აქ რომ ფრთონაა წარმავალია,

აქ რომ თრთოლვაა, გულთა კრებაა,

მტვრად მიქცევაა, _ სიწყვდიადეში

მარადიული დავანებაა.

მილევადია, ქრება, ქარდება,

ცამტვერდება და დროში ინთქმება,

მილევადია ყველა ოცნება,

ყველა ღირსება, ყველა დიდება;

შეხე, ყველა გზა ოკრო-ბოკროა,

ეს ცა, ცარგვალიც ოკრო-ბოკროა,

უნაყოფოა ძოწი, ბივრილი,

აბრეშუმია და რაც ოქროა;

ქრება, ქარდება სუყველაფერი,

კვდება, ამაო არის იმედი,

მოდი, შევირგოთ ეს გაელვება, _

მზე, გაზაფხული, თბილი წვიმები;

ეგებ ორივე ნაღველს გავექცეთ,

მარტოსულებმა ვპოვოთ საშველი;

ისედაც ბევრი ნასახლარია,

აურაცხელი ნადარბაზევი;

ეგებ ჩავმარცვლოთ კრიალოსანი

ხონჩით მორთმეულ შავი დღეების,

ნეტავ, ვინაა მათი მოზარე,

ვის წამოუვა მათზე ცრემლები;

მოდი და ბაღი ამიყვავილე,

ამიგალობე, ამიფოფინე,

შენი ლამაზი ტანის სურნელი

ბარემ ჩემს ეზო-ყურეს მოჰფინე;

ეგებ, ვნებაში დამთქა, ჩამძირო,

ცეცხლად მომედო და ჩავინაცრო,

სასოებაზე რომ არ ვიფიქრო,

არ ვიოცნებო და არ ვინატრო,

წარუვალობა ამ ყვავილეთის,

ამ აწეული ცის ბრწყინვალება,

რომ შენში ჩავდნე დავიბინადრო,

ო, წუთიერმა წვამ და წვალებამ...

დროს ვერ გავექეც... თუმც არ მეგონა

ასე სასტიკი, ასე ვერაგი,

დრო _ გველი ცოცხლობს,

რჩება გამხმარი და დაცხაული გველის პერანგი..

ოსის გოგონა არ მწერს ბარათებს

ეს ერთი თვეა, არ ვარ ჭკუაზე,

და, საბოლოოდ, ვატყობ, გავაფრენ,

ოსის გოგონა კვლავ დგას უარზე

და საპასუხოს არ მწერს ბარათებს;

მიბჯენილი მაქვს თავი ლულაზე,

ერთხელ იქნება სასხლეტს დავაჭერ,

გამოვებმები ცხენის ძუაზე

და გამოვუტან ჩემს თავს განაჩენს;

ან სადმე კლდიდან გადავეშვები,

ჩემიც იქნება სადმე სუ-ალტო,

რომ მეც გოდების მწარე კედელი, _

მარადიული ტანჯვა უარვყო.

ვერ ვეკარები _ ქაჯის ციხეა,

ასი თვალი აქვს, ყური, მამამისს,

ვის ესმის ჩემი ფიცი-მტკიცება,

ამოუგმანავთ ყველა დარანი;

გამოუჭედავთ კარი რვალისა,

ეს გალავანიც მოჰგავს წავარნებს,

აშენდეს ის დღე, ანდა დაიწვას,

როცა მათ ქართლში შემოანათეს.

გაიგოს ეგებ, ვინ ვარ, რა ჯურის,

ვისი ნარგი ვარ, ვისი გაზრდილი,

რომ სისხლზე ჩემზე ყოვლის მსაჯული

აღარ ბატონობს დრო და მანძილი.

გაიგოს ეგებ... თხოვნა ბოლოა,

აღარ გადადოს იქნებ ხვალისთვის,

ისედაც ღამე უთავბოლოა, _

არ ამოსულა ჩემი მარიხი.

პალადინები

ალეკო გაბელაიას

ქვას ეძებს ყველა, _

აღმართავენ მალევე ყორეს,

ვერ მოისვენეს...

(გამკლავების სადა გაქვს ღონე),

თუმცა შენს ლოცვებს

და სიყვარულს რა ჰქონდა ზადი, _

აისრულებენ კიდევ ერთხელ

ნატვრას თუ წადილს;

მოდიან ქვებით და...

დადგება დღეს გროვა ქვების,

და... არ იქნება აქ შენი ძვლებიც...

ეს იცი, მაგრამ

უარყოფილს იმედად გრჩება,

არ კვდება ყოველი, _

აღარ გიწევს იმედის ძებნა;

და ელი საშველს, სწორედ მისგან,

რომ არ ჩანს არსად,

არის თუ არა, რომ არ იცის

ქალმა თუ კაცმა;

და მოწყენილი მოლოდინით

გაჰყურებ შორეთს,

დაურბენ ფიქრით პალადინებს, _

დაწყევლილ გორებს..

მოდიან ქვებით...

დღეს აქ ქვების იქნება ბორცვი,

უკვე ქვებს ლოცავ,

სათითაოდ სუყველას კოცნი;

ილაგებ ირგვლივ,

ეფერები, ეხები ფრთხილად,

განმრიგემ არსთა

დღეს სიკვდილიც დაგისვა ძვირად;

მოდიან ქვებით...

დღეს აქ ქვების იქნება ცვენა,

მოდიან... საწყალს

მოგწევია სასტიკი წყევლა;

სამიზნედ უკვე რახანია

მორჩილად დგახარ,

მთესველს და მომმკელს,

უარესი რა გითხრა ახლა;

მორბიან... უკვე გადაჯეგს

ყანები მორჩი,

პურსა და ღვინოს ამჯობინეს

დღეს ქვების ბორცვი.

დაურბენ ფიქრით პალადინებს _

დაწყევლილ გორებს,

ღმერთთან ან კაცთან

გასაყოფი რა გქონდა პოეტს.

წაართვი ვის რა,

უღალატე განა კი ვინმეს?!.

არა, ძვირფასო, _

პოეზია ჯვარია მძიმე!..

მძევლები

რა ეწვიმება ამ ცას ამდენი,

რომ ზღვად ედება ველებს, მთა-გორებს,

ასე რაზე აქვს გული ნატკენი,

ასეთი, ნეტავ, რა გავაგონეთ;

რა დავანახეთ... ასე მარტონი

მითაჟამიდან ვწვალობთ, ვცოდვილობთ,

ამ ერთადერთი ჩვენი პატრონის,

რად არის მუდამ თვალი ნოტიო.

ალბათ საწყლებად ვჩანვართ ზევიდან,

დარდის, ნაღველის ვრჩებით მძევლებად,

სიცოცხლე ოდენ ტანჯვად გვეწვია,

და იღბალს ჩვენსას მოიცრემლება;

თუმც...

ვის სჭირდება განსჯა ასეთი

კოპებშეკრული, კუშტი სტრიქონი,

ძეხორციელო, რითმე გასძელი,

ჩამარცვლე შავი ქორონიკონი.

ნუ, ნუ იქნება!..

...თუკი ბნელია გამრიგე ყოვლის,

თუკი ყოველი მირაჟი არის,

ეს ყვავილების თოვა და თოვლი,

ნამაუკრეფი დილა მზიანი;

თუ არრა არის ხატება მისიც,

რად მიაქვს მაღლა მის სიცილ-კისკისს

ეს სახნები და ეზოები,

რად არ მაქვს ყოვლის გაქრობის შიში.

ან რად იწევა სოველი მკერდი,

დედა მიწისა მაღლა და მაღლა,

თუ ნაღველია ნამდვილი ხვედრი,

უსაშველობა მარადი განცდა.

თუ ეს იისფრად დანაგუბარი

ეთერი, მხოლოდ ბინდი თუ არი!..

ნუ, ნუ იქნება! დე, კუნაპეტმა

შთანთქას ეს ფიქრიც, _ ეს დიადემა,

თუკი მარადის არ ინათელა,

არ იციმციმა მისმა ნათელმა;

თუ წყვდიადია ტყემლების თოვა,

ახანძრებული ეს ფერდობები,

თუ არასოდეს არ იყო, ქლოა,

არც ბეატრიჩე, სხვა მეგობრები,

მაშინ რად არის ხატება მისი,

რად მიაქვს მაღლა მის სიცილ-კისკისს

ეს სახლები და ეზოები?..

დაბადება

საიდან მაინც ამდენი ქარი, _

რა უამური დაგვიდგა წელი...

სწუხარ ნესტიან ოთახში ქალი,

ცისფერ თვალებში გიბრწყინავს ცრემლი;

კვლავ ვიგვიანებ ამაყი ქმარი,

გაბრუებული ტკივილის იყით,

დამაქვს კარდაკარ ციმციმა კვარი,

ვისთვის ბრძენი ვარ და ვისთვის ბრიყვი;

დამნაშავე ვარ, რომ ვთვრები ხშირად,

ეს ბრალიცაა არჩეულ როლის,

ოთახის ჭერი მოხატა წვიმამ, _

კვლავ ვდგავარ დღესა და ღამეს შორის;

წინ დიდი გზაა _ უცნობი განძი,

და გაიმედებ, ვიპოვით საშველს,

როცა ცისფერი დღეების დასი,

სულ სხვა ცხოვრების ნექტარით მავსებს;

და მეც გავურბი ოჯახურ წვრილმანს,

შენ დაობ, ტირი _ ნაზი ბუნებით,

ხან ქარში ვდგავარ, ხან მესხმის წვიმა,

მებუტები და მედიდგულები;

მაინც ჩემთან ხარ, არ მტოვებ წამით,

ახლა კი ირგვლივ არ ისმის ჩქამი,

სიცარიელე წუთებს იცოხნის,

ვფიქრობ ტკივილზე შეზრდილი ტკივილს,

და ბალახივით ნედლი სტრიქონი

კივის...

თხოულობს მზესა და სივრცეს,

კივის _ თხოულობს თავის მისამართს.

მე კი ვემხობი სტრიქონზე პირქვე

გამოშიგნული, როგორც ნიჟარა.

ნეტავ, შემეწეოდე!

ნეტავ, რისთვის, რატომ,

ნეტავ, ღირს თუ არ ღირს?!.

მაწრიალებს, მატიალებს

კითხვა დარდის, ნაღვლის;

უპასუხო კითხვა

მიტევს, ისევ მიწვევს,

გამინათე სივრცე!..

ჩემს სარკმელთან მოფრინდი,

ჩემი სულის კართან,

ნაწამებს და ნატანჯს,

ამიხდინე ნატვრა;

ეგებ, ეგებ, მიცნო,

წამით მაინც მიძმო,

ეგებ. ცრემლი კმაროდეს,

კარი ჩემი კარობდეს, _

ერთი მომეგალობე!

ეგებ, ჩემი სიტყვაც

ღირდეს, ღირდეს ჟღერადო,

დარჩენილი დღეები

ეგებ, გამიფერადო;

ეგებ... დარჩეს სთველადო,

ღირდეს ჩემი ლექსიც,

ეგებ ღამის თევადო,

ეგებ... იყო წამალი,

წკვარამია

წკვარამია,

ჩემი სულის დარანი.

მინდა, ახლა მწყალობდე,

ერთი მომეგალობე,

ამოდ მომეხმიურე,

ერთი მომეციურე,

ეგებ, ცრემლი კმაროდეს!

დარდის გუდა გავხდი,

სამარეა სახლი,

მოთმინებით გელოდე.

ნეტავ, შემეწეოდე,

ნეტავ, შემეწეოდე!..

* * *

აბა, ლექსი ვის რად უნდა,

გუდა-გუდა ზღაპრებს,

ყოფნის ერთი მუჭა ხურდა, _

ჩირის ფასი ადევს;

არ ვი, უდგას, თუ არ უდგას

სული ოდაბადეს,

ჩირის ფასი, მუჭი ხურდა,

მწარე ეჭვებს ბადებს!..

განშორება

გიყურებდი სევდიან სიმღერებთან შთენილი,

ყელზე გება მანიაკი, ხატაური გეცვა.

გიყურებდი წარმავალი, ზენითგარდავლენილი,

ფერიების თმებივით ნაზი იყო ზეცა;

შორს, თვალსაწიერს იქით მიშხუოდა ენგური,

ჩემი დაუდგრომლობის იმედების სახე,

დარჩენილი კარავთან, როგორც ძაღლი ერთგული,

ვიდექ მარტო და ჩემი უმწეობა ვნახე;

კიდევ ცოტა ხანი და ოქროცურვილ ბაღებს,

მოვიტოვებ, ვით ყრმობის უმიზეზო ყვირილს,

სულის ბოლო ცხრაკლიტულს ზამთრისპირი აღებს,

ალბათ ვერ მოვესწრები მარტის თოვლის ტირილს;

გიყურებდი სევდიან სიმღერებთან შთენილი,
ყელზე გება მანიაკი, ხატაური გეცვა,
გიყურებდი... წარმავალი, ზენიტგარდავლენილი
ფერიების თმებივით ნაზი იყო ზეცა.

კოლხური ცა

კოლხური ცა ლურჯია და წმინდაა და წკრიალაა,
სულ ოქროთი მოჭედილი მამა ღმერთის ფიალაა.
მამაღმერთის აზარფეშა, კურთხეული ემბაზია,
ეს ედემიც, ამალია, მამა ღმერთის ნებაზეა;
ნებაზეა გულისა და სულისა და ღვთიურისა,
ნაწილია სრულისა და რაღაც მარადიულისა;
ამალია, ცას ახედე, გადაწინწკლულ ზეცას,
მე მინდა, რომ ეგ ატლასი შენ რომ ტანზე გეცვას;
რომ სიცოცხლე გიხაროდეს, დედოფლობდე ედემს,
სულ მაგ კაბით იაროდე, ცის მინდვრებზე ფრენდე;
შეხე, ამალია, შეხე, ცა ლურჯი და წკრიალაა,
ჩვენთვის ღილი ვით ჩაიხსნა, მკერდი მოიღიაავა.

იყავ მორჩილი!..

მე დავიღალე ამდენი კითხვით,
ამდენი კითხვის პასუხზე ფიქრით,
დუმილით... ისეთს, აბა, რას იტყვი,
რომ არ მოედოს სურო და ფითრი;

არ დარჩეს მისგან ფერფლი და ავლი,

არ გაიკაროს მსახვრალი მტვერი,

და ქვიშასავით მერღვევა ტანი,

ოცდაცამეტი გამქრალი წელი;

მე დავიღალე, ეზოში შამბით,

ცქერით წვიმებით მოხატულ ჭერის,

მზამზარეული ათასი ამბით,

მზამზარეული ათასი წყენით;

ქარით და ქარით, წვიმით და წვიმით,

ჩრდილით და ჩრდილით, თმენით და თმენით,

ცა მენატრება მაღალი, ტფილი,

ცა ჩემთა ფიქრთა სამკვიდრო ვრცელი;

ცათა მაღალთა განხმულნი კარნი,

ცათა მაღალთა მკრთომარე ფერი,

და ამ ნატვრაში მერღვევა ტანი,

ოცდაცამეტი გამქრალი წელი.

მალე ზამთარი დამათოვს ალბათ,

დღემ შემოდგომის ადრე მიწია,

დღე დღევანდელი გუშინდელს არ ჰგავს, _

დეკემბრის სუსტი მაჯა მიჭირავს.

მიუსაფარი ფოთლები ქრიან,

გადაყრილები ჭორფლად ქარტეხილს,

ჭროღა ღრუბლებში მზე ისე გდია,

როგორც ქვიშრობში სარკის ნატეხი;

იუდას ხელში ვერცხლი ბრკიალებს, _

იყავ მორჩილი, თვინიერ იყავ! _

ქარია... ფოთოლს მიაფრიალებს _

ამაოების სახეს და ნიღაბს.

და გადაღლილი ათასი კითხვით,

ათასი კითხვის პასუხზე ფიქრით,

სუროთ და ფითრით, მტვრითა და ავლით,

ვალით, სულ ვალით, ვალით და ვალით;

ვფიქრობ, რად ვაქნევ ამ მტკაველ ღვიძილს,

ამ ვარსკვლავეთში გახირულ მზერას,

რადგანაც ხელში შემრჩება, ვიცი,

როგორც სხვებს, ღია კარების მტვრევა.

* * *

ქარონმა

გვერდით ვინც მოისვა

უკან არავის მოუხედავს...

ნეტა ვიცოდე რა ნათელი

მოკრთის იქიდან

რა წალკოტი მოიჟონება.

არონის კვერთხი

არონის კვერთხის უფალმა იცის,

კვერთხის _ სხივებით შეკრული ჯოხის,

...აქ ირგვლივ ტყეა კედრის და ფიჭვის

და ქამა სოკო, _ დგას ჩემი ქოხი;

რასაც ვნატრობდი ის არის თითქმის, _

წყარო და ჩიტი, ქალი და ბავშვი,

და მაინც არონ, მაგ ჯოხის შიში

ხოლმე დენივით დამივლის ტანში;

თუმც მისტერიებს არა აქვს აზრი, _

აქ გარეშემოს სიწყნარე მოსავს,

მაგრამ მე ვიცი მაგ ნების ფასი,

ვლოცავ, ვადიდებ სიმშვიდეს, დროსაც;

ვადიდებ, როგორც მზესა და მიწას,

წყალსა და ჰაერს, ცას და ვარსკვლავებს,

ჩემშიც, გარეთაც, ყველაფერს ვფიცავ,

ეგ მადლიანი ჯოხი განაგებს;

არონ!

მაგ ძალით, სინათლით გმადლობ,

გმადლობ მაგ სიბრძნით, რაც მაქვს ამ ყოფით,

რომ მზე ანათებს, რომ კვლავ აქ ვსახლობ,

რომ ქამა სოკო _ დგას ჩემი ქოხი;

ბედი

გია წულაძეს

პოეტობა დაჰყვათ ბედად,

განცდა უსაშველო ყოვლის,

დადგმა მძიმე უღლის ქედად,

მრავლის გადატანა ომის;

სიტყვის პირვანდელი ბრწყინვა,

მათთვის ყველაფერი არის,

ღმერთო, მათმიერი ხილვა,

ოდენ ნათლიერი ჰყავი!

მათ არ შეუძლიათ დათმონ,

დღენი საამურო ყოვლად

უნდათ ქვეყანა რომ ნახონ,

არა გაპობილი ორად.

არა ნაფოტებად ქცეულ

ქართლის მესიტყვენი იყვნენ,

ჟამსა უჟამოსა, წყეულს,

ექნეს დასასრული იქნებ;

იქნებ... სასრულია ახლა,

ამ წამს ბნელი ქრება, იქნებ,

იქნებ ბოლოს სწურავს ბალღამს,

იქნებ ბოლო მარცვალს იღებს;

იქნებ დასაწყისი დგება,

ქართლის გაბრწყინების, გია,

იქნებ ამ სტრიქონებს ახლა,

ნათლის ერთი სხივი ჰქვია.

ქრება უთავბოლო დრო და,

ღამის ბოლო ფთილებს სწეწენ,

იქნებ გაზაფხულზე, ოდა.

ერქვას მათ დაწერილ ლექსებს.

იქნებ მათ სევდას და ნაღველს,

დღემდე ცა ეკავა მძიმე,

იქნებ ეს საშველი ნახეს, _

ხორცი უდრტვინველად სწირეს;

სწირეს ყვავილობად სულის,

სულის გადარჩენად, გია,

იქნებ მათ მარადის სურვილს,

ნათლის ღაღადისი ჰქვია;

თვალზე მოგდგომია ცრემლი,

ჩემო ფიქრიანო კაცო,

ქართვლის უაღრესი მცველი,

იქნებ ქართულია ასო,

იქნებ, ქართულია სიტყვა, _

ზეცით მოვლენილი ცვარი,

ღმერთო, მათმიერი ხილვა,

ოდენ ნათლიერი ჰყავი!..

სწუხხარ, გათენებას ელი,

ცოცხლობ მოლოდინით დილის,

ცოცხლობ მოლოდინით ფერის,

სიტყვის პირვანდელი ბრწყინვის;

ცოცხლობ პოეზიის მადლით, _

ჯვარი შენი წილი მიგაქვს,

იქნებ ამ ცხოვრებას ქართვლის,

ისევ გაბრწყინება ჰქვია.

სამშობლო

ისევ დადგება აპრილი

ჯანღს გადაიყრის ცაიო,

აბიბინდება მინდორი,

აბობოქრდება წყალიო;

მზე ამაღლდება, გარდმოვა

ჩვენი ნათელი ფარიო,

საფლავში გადაბრუნდება

ასჯერ ასი წლის მკვდარიო;

და ისევ იტყვის ის, ვისაც

ქართლის ცა-ხმელი უქია,

ვისაც მამულის სხივებით

შეკრული მაჯა უპყრია.

დალოცვილ იყავ მარადის,

მარადის ღმერთი გფარავდეს,

სანათლიეროვ, ნათლისა,

იბრწყინე და იმარადე;

ასე, ან სულ სხვა სიტყვებით.

სხვა ნათლით და ბრწყინვალებით,

სიტყვებს ექნებათ სურნელი,

სახე, ტანი და თვალები;

ჩადგება ზღვა და მდინარე,

ცა და ეს მთები დიდრონნი:

სულ მოელვარე ყვავილი,

და მობიბინე მინდორი.

სიტყვაში მზეს ჩააბუდებს

და ცა კვლავ გაცისფერდება,

ჰო, ამდაგვარად ვინც იტყვის,

მე იმის მეიმედება.

დამლოცველი ვარ იმისა,

სადღაც ახლოა, აქვეა,

ან გაიქართლა წამისად,

ან დინჯად გაიკახელა...

* * *

ამოხარხარდა გაზაფხულის ნელთბილი ქარი
ეკლესიათა გუმბათები ცას მიახატა....

* * *

მაღალ ბალახში ჩამალული ვხედავ:

როგორ მოდიან ჩემი მტრები,

მაღალ ხეებს ეფარებიან.

და საჩემო მოაქვთ უღელი...

მე, მთვარე და არაბია

ღრუბლებს დაუსხლტა და არე მიწყივ ჩაიბა,

მიწა გაუტკბა და წყაროდ მოიყათიბა;

თავი ისე დაიბა, ღამე ააბნია,

აფრუტუნდა, დაიბნა ჩემი არაბია;

არაბიავ, ჩვეულო ფერებას და ალერსს,

ჩემზე უკეთ, აბა, ეგ როგორ დაგიყვავებს;

მოითოკე აზარტი, თუმც ხარ ნამარხულევი,

ჩემო კარგო, დაწყნარდი, მაღლა ნუ იყურები;

შენ ჩემთვის ხარ გაჩენილი, ჩემი თბილი ცხენი ხარ,

ეგ ბურთივით გაბერილი ზურგზე აღარ შეისვა;

არ გვცალია, არაბიავ, საოცნებოდ, საფრენად,

ოცნებებში მამული ლამის გაგვინახევრდა;

ავდარია, ზამთარია, ვეღარ გავიზაფხულეთ,

მაგ სიცეტემ დაგვარბია ეგ სიმჩატე გვაყრუებს;

შენ სიდინჯე გიხდება, შენ ბაჩაჩა ცხენი ხარ,

შენ, ხომ ჩემი ერთგული ხარ, შენ ხომ ქართლის მცველი ხარ;

მთვარევ, თავლას მოსცილდი, აქაობას მოწყდი,

არაბიას მოსწყინდი, თვალებს ნუ უკოცნი;

ნუ მომიწყვეტ მიზანს, _ ახლა ასე მიჯობს,

ეგ ბეჩავი მოზარე, აღარ გამიგიჟო.

დაიძინე, არაბიავ, მძიმე დილა გველის,

ეგ არა ჩემო ცხენო, შენი ბედისწერის;

თუ მოგახტა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას მოგატარებს,

ტყვილა აღარ გეფერება არ გიკოცნის თვალებს.

ჩენი ოღრო-ჩოღრო გზები, სჯობს, რომ გაგვინათოს,

არაბია, გევედრები, ნუ დამტოვებ მარტო,

თორემ,.. თორემ არაბიავ, ვერ ვიპოვით საშველს,

უკვე ვკარგავთ ორივენი სახესა და სახელს;

წვიმებს ვეღარ აღვუდგებით, ქარებს ვეღარ მოვდრეკთ,

ემაგ აურზაურებით, გიჯობს აქეთ მოდგე;

სადიდგოროდ გავემზადოთ, ჩვენ მარაბდაც გველის,

ერთმანეთს არ დავეკარგოთ ორი წყილი ცრემლი.

ძველი დარდები

რამე ახალი მეც მეთქვა, მსურდა, _

ცარიელი მაქვს ისევე გუდა.

ვატყობ, ვერაფერს მოვიტან თქვენთან _

ძველია დარდი, ძველია, სევდა;

მოსამკელს თითქოს ვიმკიდი ვითომ,

ვითომ გიზგიზა თიბათვე მიდგა,

ამაოება თითქოსდა ვღლიტე(!)

თვალი დავუვსე, ვუტირე დედა...

ძველია დარდი, ძველია სევდა...

ქარო, ქარო, იჩქარე!

იმან, ვინაც დაითმინა,
დაიტია, მიუტევა,
ალბათ იყო ფინიკია,
გალილეა, იუდეა!...

ლერწმის ქოხზე მთვარე დადგა,
ამბავს ვკითხავ ქარებს:
ნუთუ, ცაზე ვარსკვლავები
ჩემზე უკეთ თვალეს?!..

ფარღალალა ლერწმის ქოხი,
ქარი ამბავთ მარეკია,
მატყობინებს:
ფინიკიად, გალილეად
ნალექია!..

ნალექია სამარიად
ცად ღრუბელი დგასო,
მაგრამ სტუმრად, მთავარია,
სინანული ჰყავსო!...

იუდეად ამინდია,
ცა წმინდაა ახლაცო,
იუდეა წმინდანების
სამეუფო გახლავსო!

იუდეა, იუდეა! –
ზღვარი როგორ დაედება,
ცას კიბე ვით მიუდგება,
ზღვას ხიდი ვით გაედება!..

ლერწმის ქოხში დარიალებს
ქარი მარდი მარეკია,
იუდეად არა, მაგრამ
სხვაგან ყველგან ნალექია!..

ქარო, ქარო იჩქარე! –
დილა ისე ნინველია,
მოდი, მომეცსკარე –
როგორ არის ივერია!

ივერია –
წყვილი ცრემლი,
ჩემი ხატი,
კერპი ჩემი,
გული ჩემი,
ზარი ჩემი,
კდემა ჩემი,
ვნება ჩემი,
გზნება ჩემი,

როგორც შენთვის
იუდეა,
როგორც შენთვის
წყვილი ცრემლი,
ხატი შენთვის,
კერპი შენთვის
სმენა შენთვის
ენა შენთვის,
თმენა შენთვის,
სატრფო შენთვის,
იუდეა!..

ცას კიბე ვით მიუდგება,
ზღვას ხიდი ვით გაედება,
ზღვარი როგორ დაედება

ზღვარი როგორ დაედება!..

ქარო, ქარო იჩქარე! –
დილა ისე ნინველია,
მოდი, მომეცისკარე –
როგორ არის ივერია!..

ლერწმის ქოხში მობრძანდება,
ქარი კარგი მარეკია,
საქართველოდ არა, მაგრამ
სხვაგან ყველგან ნალექია!..

არა, არა! – მეწყინება,
ცუდი დარი არსად მინდა,
სხვაზეც თვალებს ეწკიმება,
ჩემი ლერწმის კარავიდან
აღარ გავა მეტი ჩქამიც,
აღარ ვიტყვი ასე აროს –
დაე, ცაზე მბრწყენი, მკრთალი
ვარსკვლავები ყველამ თვალოს:

ფინიკიად,
გალილეად,
იუდეად.
ო, ეს ღამეც გაილევა –
უკვე ფერი მილევია!..

იუდეა!..

იუდეა!..
ზღვარი როგორ დაედება,
ცას კიბე ვით მიუდგება,
ზღვას ხიდი ვით გაედება!..

იუდეად მივალ,
იუდეად ამინდია,
შემხვდებიან თბილად –
მე ხომ ხიდი გამიდია!

ჩემი ნატვრა მიმაქვს,
სად გოდების კედლებია,
ჩემი ბედისწერა
ეს სად შემომფეთებია!

საყვარელო, საყვარელო!...
სანატრელო, სანატრელო!..

ეგებ ღამე გაათენო,
ეგებ, ისევ ანათელო

ცა და მიწა შენებურად,
ეს წკვარამიც გაარღვიო,
დარდი მოკლა ძველებურად
ოკრო-ბოკროდ ნალამბიო.

ივერია!.. ივერია!..
იუდეა!.. იუდეა!..
მღვრიე წყალი ბინულდება,
ცა და მიწა მზიურდება!..

ზღვას ხიდი არ გაედება,
ცას კიბე ვერ მიუდგება,
შენი ზრახვა ციურდება,
იუდეა!

ბოლო ცნობას მაწვდის ქარი
და თამამად ვაცხადებ:
წმინდა მიწად ჩემი კვალი,
არის ჩემი საძვალე!

არის, იუდეად არის,
ჩემი ნიში არსებობს,
ლერწმის ქოხში ჩემი ჯვარი
დგას... და ვაღებ კარებსო!

მეც ნაკრტენი დამაქვს თვალი,
დავალ ამა მხარესო,
რა ვქნა, ვაი, მათი ბრალი,
თუ არ გამახარესო!

ქარო მომესალბუნე
ივერიით დაბერილო,
გელათით ან ყინწვისით,
ალავერდით აფრენილი!

ქარო, ქარო იჩქარე“!..
დილა ისე ნინველია,
მოდი, მომეცისკარე,
როგორ არის ივერია!...

II
იუდია!.. იუდეას
ასული ხარ იუდია! –

შენს ქვეყანას ზღვაზე ხიდი...
ცაზე კიბე მიუდგია!

იუდეველს იუდეა,
რა წალკოტად უქცევია,
ო, რა სევდის ბაღი ვნახე, –
ეს რამდენი უცრემლია!

შეუნახავს ჩემი ხათრიც, –
ლერწმის ქოხში გვერდით მიზის,
ჩემთვის საშველს ეძებს სანთლით,
თუმც არაა ჩემი სისხლი!..

იუდია, ცრემლი გათბა
და ცა მეტად ბინულდება,
იუდია დედა ხარ და
სატრფო ხარ და...
იუდეაც!..

იუდია, იუდია! –
ცას კიბე ვით მიუდგება,
ზღვას ხიდი ვით გაედება,
იუდია!

იუდია! იუდია! –
ნელსაცხებლით ხელში გხედავ,
შენს კალთაზე მიუდია
თავი... ქრისტე ღმერთი დგება!

ქრისტე ღმერთი ცად მაღლდება,
კვლავ რომ დაჯდეს მამის გვერდით –
სიყვარულის ღაღადება,
მიტევების ალავერდი!..

იუდია! – ქართლის დედა
შანთით დადეს, ცხელი შანთით,
რწმენა ოკეანედ ედგა,
და არ შეუნახეს ხათრი.

ისპაჰანად ქონდაქარი,
ძუძუს სჭრიდა, ნუნებს ჰგლეჯდა,
რწმენას არ იცვლიდა ქალი –
საქართველოს დიდი დედა!..

ქართლის ღამე კამეჩივით
იცოხნება, თუმცა ჩემს ძვლებს,

დამეხილი, დამეწყრილი,
წამოდგომას მაინც შევძლებ!..

იუდეა ძალას მაძლევს,
იუდია, სადა ხარ!..
ლერწმის ქოხში შენი სახე,
ნეტავ, რაღამ მანახა!..

შავი თავშლით, ნელსაცხებლით,
ქრისტე ღმერთის გვერდითო,
ქართლის მოღრუბლული მთებით,
ოკრო-ბოკრო გზებითო!

იუდია! – ცრემლი გათბა
და ცაც უფრო ბინულდება,
იუდია! – დედა ხარ და
სატრფო ხარ და... იუდეაც!...

იუდია! – წერილს მოვრჩი,
წმინდა მიწად გულით ხეტვას,
მსურდა მარადისი მოძმის
სადღეგრძელო ლექსად მეთქვა.

ეგებ მოგწვდეს ხმა ან ექო
და გაუხსნა გულის კარი, –
ქვეშაგებად ქვიშა მერგო,
საბნად-ქარი!..
საბნად–ქარი!..

დიადია შენი სთველი,
შენი ზეცა ბინულია,
იუდია! – ქარი მღერის
ჰანგად იქცა, იუდია!..

ქარო, ქარო იჩქარე! –
ეს სიმღერა ნინველია,
მოდი, მომეცისკარე, –
როგორ არის ივერია!
როგორ არის ივერია!..

I I I

სავსე შენი დიდი სიბრძნით
ისევ აქ ვარ, ლერწმის ქოხში,
შენი ცხელი მიწა იძვრის,
შენი ცხელი ქარი მკოცნის;

ქარი – ჰანგი, ქარი – ბრწყენა,
ქარი – სევდა, ქარი – ფიქრი,
ქარი – ბგერა, ქარი – ენა
ასაკინძი დიდი წიგნი;

ქარო, ქარო, მინდა გხატო,
მინდა გფერო, მაღლის მაცნევ,
არა ხატიერის ხატოვ,
არა სახიერის სახევ!..

ივერიად, ივერიად, –
ნაწრეტი ხარ ივერიად,
ნაძერწი ხარ,
ნახედნი ხარ,
ღონე იქაც მიგლევია!..

ივერიად უნდა გღალო,
ისევ უნდა მოდგე,
სიყვარულად, რწმენად გღვარო,
სასწაულად ქროდე;

ლერწმის ქოხი პონტოდ გვედგას
მოფრიალე ყოვლად,
ქროდე ახალ ალავერდად,
ახალ სვეტიცხოვლად;

ახალ ყინწვისს ითხოვს სული.
ცისკრის ახალ კარედს,
საქართველო სიყვარულით
კვლავ გაგიღებს კარებს;

ახალ გრემად და მარტვილად
ახალ ჩუქურთმებად.
ივერიის გაბრწყინება
იყოს შენი ნება.

ბედნიერების ერთეულები

ვინც სიყვარული დააქცია ცრემლებად და...

სიყვარულის მდინარედ იქცა.

ვინც მწუხარება დააქცია ცრემლებად და...

მწუხარების მდინარედ იქცა...

დღეს ვის თვალთაგან წკანკარებენ ნაკადულები და...

სიყვარულის მდინარეს ქმნიან.

დღეს ვის თვალთაგან მწუხარება მოდის ცრემლებად და...

მწუხარების მდინარეს ქმნიან...

წყალობა

სულ პრინცესებს ხატავდა, _

ლამაზ ბანოვანებს.

ისე კარგად ხატავდა,

არ ეჯერა თვალებს;

გამოფენებს მართავდა,

მწყაზარ ბანოვანთა,

ისე კარგად ხატავდა,

თამუნია, თამთა...

ისე კარგად ხატავდა

ცას, ვარსკვლავებს, მთვარეს, _

ცა სულ ლურჯი ეფინა

მის სახეს და თვალებს;

იზრდებოდა პატარა

რომანტიკის ეშხით,

ბანოვანებს ხატავდა

ბანოვანთა წრეში!..

ერთხელ... გოგო დახატა,

მინდვრად, ჩითის კაბით,

მერე... ქალი დახატა

შაოსანი, ლამფით;

თურმე ეზოს გადასცდა, _

სრა-სასახლის ბაღებს.

თურმე... სოფლის ბავშვებშიც

გარეული ნახეს;

შუკა-შუკა უვლია,

მინდორ-მინდორ ბევრი,

მარცვალ-მარცვალ უთვლია,

სიხარულიც, ცრემლიც;

მწუხარენიც უნახავს

მკვენესარენიც მეტად,

სრაში დაბრუნებულა

დატვირთული ბედად;

მიწის ნაირფერებით,

შავითა და თეთრით,

მეტად დაფიქრებულა

მაწაწინა გედი;

სივრცე დასიზმრებია,

გალიაში ჩიტიც,

დილა მზით შემოსილი

და ყურუმი ბინდიც;

ბიჭი დასიზმრებია _

უფრენიათ ცაში,

(ნეტავ დამახატინა

ცაში ორი ბავშვი).

ცაში ანგელოზები

გაფრენილან ერთად,

მათი მაჯის ცემა და

მათი გულის ფეთქვა,

დროში გამოხატულა _

წამში, წუთში, დღეში,

წელში გამოქარგულა _

მათში, შენში, ჩემში;

ცოტად დაყოვნებულან

ანგელოზნი ცაში,

მერე... ეს ცა და მიწა

უხატიათ ცხადში;

ბევრი უცხო ფერი

ულეწიათ ერთად...

მათებური ნიჭი

სხვას ვის მისცა ღმერთმა.

მეც... დიდი გზა მათი

როგორ დამეხატა,

მათებურად, აბა,

ვინ მასწავლა ხატვა;

მათებურად ცაში

არ ვყოფილვარ არროს,

მათებურად განა

ბედი ყველას სწყალობს?..

იქ, სადაც...

სადაც იდუმალი მეფობს,

იქ ველია და...

მე ველის სტუმარი ვარ,

იქ წყალია

და მე წყალთა სტუმარი ვარ,

მზე ანათებს,

მზის სხივების სტუმარი ვარ.

ხე დგას მორჩი...

ხე მარადის სტუმარი ვარ;

ხმელთა, წყალთა, უნათლესთა

რამ მარადთა

მოსაწყენი სტუმარი ვარ, _

სადაც იდუმალი მეფობს.

დილით წვიმდა

...ეს, მზემ კი არა, მე გაგაღვიძე,

მე გეფერები სხივად ქცეული,

სიყვარულისთვის ესეც შევიძელ, _

ჩუმად დავტოვე ჩემი სხეული;

ვით მზეს სჩვევია, მინდვრად გაგიხმობ,

თუმც დღეს ცა მეტად ჩამოძენძილა,

დილით წვიმდა და მზე სადა იყო,

რომ ჩემს მკლავებში ტკბილად გეძინა.

ხორციდან სული ამოვიტკივე,

მოსიყვარულე, მაგრამ ხიზანი,

ხომ არ შეწუხდი, ხელს რომ იჩრდილებ,

ხომ არ გაგიკრთეთ ტკბილი სიზმარი?..

* * *

ჩვენ ვართ სანთლები,

ანთებული ჩვენ ვართ სანთლები,

დედამიწა კი ტაძარია, _

სამყაროს ნიში...

პირიმზევ!

ხეტეშვილების ლამაზმანო, _

შმაგი გამხადე მდორე ალაზანი!..

აწ, თუმცა სასწაულს აღარც კი ველოდი,

აწ, აღარც მინდოდა თუმცაღა გაღვიძებაც, _

დავიწყე აცეკვება, აზვავება, გაგიჟება,

როგორც კი ჩემში ფეხი შემოდგი!..

ჩემს მკერდზე გაწექი,

თვალები ჩამანათე, _

რა ცეცხლი დაინთო,

გულს რა გურგური გაუდის, _

შენი ოცნებები დამახატე,

უსიტყვო, უსიტყვო საუბრით!

ხეტეშვილების პირიმზევ, _

გულზე დამაბნიე ეგ ორი წყვილი მზე!

ახლა განშორება სიკვდილია,

შეერთება _ ერთადერთი ღიობი, _

ასი მზის ცეცხლი მიკიდია,

ასი ოკეანე სისხლად მიმომდის!

ჩემი გულის ტახტრევანზე დაბრძანდი,

ჩემს დაცხრომას შეეცადე,

სიმარტოვეს როგორ შეეზარდე?!. _

სიყვარულთან, სიყვარულთან დაზავდი!..

ათასი გრიგალის ძალა მომაქვს,

ყველაფერს, ყველაფერს წალეკავს...

ეს ლურჯი ცა შენი საკაბეა,

დაირა _ ცაზე რომ მთვარეა;

ყველა ღრუბელს მე, ერთი ალაზანი შევისრუტავ,

ცას მაღლა, სულ მაღლა აგიწევ, _

უშენოდ ყველა წყევლა ამისრულდეს,

ჯოჯოხეთში დავინთქა და დავიწვე!.

ეს მე ვარ, ამღვრეული, აზავთული,

ეს მე ვარ, სიცოცხლეც და სიკვდილიც,

ეს მე ვარ, მარადისი გაზაფხული,

ვარსკვლავები თითებშუა მიღვივის.

ეს მე ვარ, ძახილი და შეისმინე _

გაგრძელდეს ზღაპარი იანზე და ინზე, _

ხეტეშვილების პირიმზევ,

გულზე დამაბნიე ეგ ორი წყვილი მზე!

ამაოება

არაფერია და ქარის დევნა...

ეკლესიასტე

მე დადიანის სასახლეს ვხედავ:

ყვავილთა ბაღი მოუცავს ეკლებს,

რკინის მესერზე ყვავები სხედან,

და ბაღში ფურებს აძოვებს ძეკე!..

არაფერია და ქარის დევნა...

ბაღის კუთხეში მიწას თხრის ღორი,

...მას შემდეგ წყალმა იდინა ბევრმა

და მხოლოდ ძეკე გადარჩა, მგონი.

არაფერია და ქარის დევნა...

სხვა ვით გაიგებს...

რა შესძლებია შენს ლამაზ სახეს,

შენს გულს და თვალებს რა შესძლებია,

სხივები ფრთებად შეუდგნენ სახლებს

მე მომეჩვენა, სახლებს ფრთები აქვს;

მე მომეჩვენა... მთელი ქალაქი,

გარეთ ქუჩებში გამოიშალა,

ქვეყანამ ყინვით ნაკერ-ნალამბი,

გაციებული სახე იცვალა;

შეჩერდი! _ თვალი მაინც მომაპყარ,

ნეტავ, მაგ ტანში რა მზე გიღვივის,

შენი ტყვე, შენი ერთი მონა ვარ,

ეგებ, მაღირსო შენთვის სიკვდილი;

შენს ელვარებას, ბრწყინვას, დიაცო,

სხვა ვით გაუძლებს, სხვა ვით გაიგებს,

ეგებ დიდებას სულზე მივასწრო

და მაგ თვალებით მომეტარიგე!..

გაშლილა ეს ცა, როგორ გაშლილა,

ვით აწეულა და დაწმენდილა,

რწმენა-არწივი ზეცად გაჭრილა, _

ჩამოუხედავს გამჩენს კეთილად;

რა დიდებული ჟღერენ ჰანგები,

სხვა დღეც იქნება, ვატყობ, საუფლო,

ჩემი ქალაქი ტურფად ნაგები,

შენს გამოჩენას დღესასწაულობს;

ღასაც ვეძებდი იქნებ შენშია,

იქნებ შენა ხარ და დგეს გამოჩნდი,

კვლავაც რომ მევლო გლახსი სამოსით:

იქნებ დიდი დღე ჩემი მეწვია

ჩემი ცხოვრების უკუნს გამოვცდი,

ეგებ,ორივე,ცა და ნერჩი ხარ,

მანათობელი ამ საგამოსი:

მე მეძებ, მეძებ ქალურ გუმანით

და ხვდები ახლა,სჰენტან ახლოს ვარ,

იქნებ ერტი დგის არ ხარ სტუმარი,

არ იტაკილე აქეთ წამოსვლა.

შიცოცხლის ეტლი ისევ მეწყვილა

(რად მომეჩვენა, თითქოს გაოცდი)

ეგებ ქალაქში ახლა გმერთია

და შემამჩნია ერთი სალოსი.

შეჩერდი დამაქვს ქვა საგუმბათე,

ჩემშიც მზე გვივის,არის გალობა,

ჩემს გულის ძგერას მოაყურადე.

ვითომ მიიგე ერთიც წყალობა:

მამცნე, თუმც მჯერა გულის გულამდე,

ჩვენი შეხვედრის გარდუვალობა.

შენს ელვარებას, ბრწყინვას, ძვირფასო

სხვა ვით მიხვდება,სხვა ვით გაიგებს,

ეგებ დიდებას სულზე მივასწრო

და მაგ თვალებით მომეტარიგე!...

აღსარება

არ დამკლებია თუმცაღა სახრე,

აჭრელებული დამქონდა ზურგი,

მაინც ყოველი ბეჯითად ვნახე

სიტკბო ქალის და ზარხოში სუფრის...

ვეღარ ამოვთქვი ბოლომდე ლოცვა,

წმინდა, ო, ხშირად არ მქონდა ზრახვა,

სურნელმა ორი პატარა ბორცვის,

მატარა აღმა, აღმა და ჩაღმა...

ვეღარ გავწირე სულისთვის ხორცი,

ვერ ვიმარხულე ერთხელაც კარგად,

ახლაც შენს თვალებს და სახეს ვკოცნი,

რაღა აზრი აქვს სიცრუეს, აბა;

მიყვარხარ... შენი სურნელი მიყვარს

ეგ ხორბლისფერი კანი და სახე,

ვიწმაე... თუმც არ ვემდური იღბალს,

რადგანაც ბოლო ოცნებაც ვნაზე;

არ დამკლებია თუმცაღა სახრე...

მითხარი, ერთი...

რამაზ პატარიძეს

ისევ ბედ-იღბალს უჩივი და

გახრწნილს უწოდებ,

ჟამს, რომელშიაც იმარტვილე,

ცოდვებს გაექეც.

მძიმე ეტრატებს ჩაჰკირკიტებ _

გინდა უწყოდე,

ქვეყნის ნათელში

რამ ნათელის სიცოტავეზე!..

რა არ დაინთქა,

რა არ გაქრა,

რა არ წარვიდა, _

საუკუნეთა

უსამანო უფსკრულებს ჩამზერ, _

არის სიკეთე...

დრო მოვა და ქრება, ჰაიდა!..

ჰა, ატყობ, შენაც

უკვე სიტყვას გიგდებენ ბანზე!..

თურმე არ წყდება არაფერი...

ესე ნაერებს,

ვერ შეაჩერებ

ჟამთ მიქცევას,

ჟამთა მოქცევას,

ბინდი ედება დავიწყების,

ნათელ სახეებს _

უსახურია,

უსუსური შენი მოძღვრება.

სად არის შვება, _

დრო შეცვლილა,

დრო _ მუხანათი,

ესე ღარიბი,

სად წაუხვალ ამ სისასტიკეს.

ვის რად სჭირდება

ეგ სიბძნე ან ბრძენის ხალათი,

ასი რომ იყოს,

უნანებლად დასწვენ ასივეს;

სად არის შვება, _

ბალაგანი ყაყანა, მდორე,

ვინ არჩევს ფერებს,

ცა და მიწას

ვინ რად დაგიდევს,

მითხარი, ერთი,

გაბრძოლების თუ შეგრჩა ღონე _

მოგვერაინდე,

ერთხელ კიდევ მოგვერაინდე!..

ძლიერების ანატომია

გაფოთლილ ცაზე

მობალახე ხარებს დიდება,

ო, გარდამოხსნას

უნათლესის,

უელვარესის,

სული ნაგვემი,

ასერილი

სული მშვიდდება,

კვლავ ციურ თაღქვეშ,

უსამანო ოკეანეში,

მიცურავს ფიქრი...

მირიადი ხიდი იდება,

იუღლებს იგი,

მთლად დაჭორფლილ ზეცას იუღლებს,

გაფოთლილ ცაზე

მობალახე ხარებს დიდება,

მათ გოლიათურ

ძლიერებას და სიჯიუტეს.

წრე

სალტედ შეგრაგნილი გველი, რომელიც პირით საკუთარ კუდსაა

ჩაფრენილი, ციკლური დროის ძველთაძველი სიმბოლოა

კვდომაც აქვეა და შობაც აქვე,

წაღმა ბრუნვაც და უკუღმა ბრუნვაც,

დროის ბუნებას, ო, რარიგ ამხელს,

შიშით დავყურებ ძველთაძველ სურათს;

სადაც თავია იქაა ბოლოც,

(ვით არ აგიტანს შიში და ჟრჟოლა)

სცენა ერთია, იცვლება ქორო _

რაც არის წავა, რაც იყო მოვა.

ო, სინამდვილე ფერნაცვალი დარეკს უთუოდ,

მენანდრეს ბედი, შესაძლოა, ეწიოს ბოდლერს,

დიდი ათინაც ხომ იყო ოდეს, _

დროა სასტიკი, ყრუ და უგულო.

განმეორდება, თუმც ზოგადად განმეორდება,

ურუხი, ური, ბაბილონი, მაია _ კიჩე,

გაჩნდება ისევ ატლანტიდა _ საზეო სივრცე,

დრო სახენაცვალ სინამდვილეს წაეხოტბება.

ერთიანია, ერთიანი საწყის-სასრული,

სადაც თავია, იქაა ბოლოც,

სადღაც აქვეა გარდასული სემირამიდა,

რაიც წარდინდა, რაც წარვიდა, რაც გარდავიდა,

განმეორება კი ზოგადი იქნება მხოლოდ.

შენ კი... ვინც ღმერთი გაწირე შენში,

არ გააჩერე იგი ცაშიც, არ ღვთისმოსავო,

ფერფლად იქცევა ყოველივე _ ტანიც და ფესვიც,

ეს ლექსიც უკვე წრეზე მოძრაობს.

საგანთა უარი

«ოცნება ნახაზი საგანთა უარით»...

გალაკტიონი

საგანთა უარს სდევს გაფითრება,

სდევს მწუხარება, რჩები ეული,

რომ არ იხსნება და იკითხება,

სულით, სხეულით გრძნობდა გრძნეული;

ის მეფე იყო, ღმერთკაცი სულაც,

მეტად მპყრობელი ზესკნელ-ქვესკნელის,

თქვა: უწინარეს, საგანთა უარს

აქვს დამალული, რასაც ვეძებდი;

შემოსჯარვია კითხვებს კითხვები,

მაგრამ ეს ერთი თავისკენ მიწვევს,

ფანტასტიური, სულის შემძვრელი,

ბრძანა სიტყვები აზიის ცის ქვეშ.

ვეღარ ვიპოვე მსგავსი რამ ვერსად,

რაც იმან იგრძნო, რასაც ის მიხვდა,

საგანთა უარს ვკითხულობ ლექსად,

სულ ოთხადოთხი იხმარა სიტყვა

«ოცნება, ნახაზი საგანთა უარით»...

სიყვარულის იარა

გური ოტობაიას

ეგ იარა პირს არ შეიკრავს,

იგი მუდამ ღია იქნება _

სიყვარულის იარა, გური!..

ეგ ერთადერთი სადინარი დაუწრეტელი,

ცრემლის და ცრემლის, პირს არ შეიკრავს.

იგი მუდამ იქნება ღია!

ჩვენ არ ვიქნებით,

იგი მუდამ იქნება, გური, _

შუქი და შუქი

შუქი ღვარული!..

რაღას მიქვიან

აქ ხსენება ტკივილთა ჩვენთა,

რადგანაც გვიყვარს

უნდა გვტკიოდეს,

რადგანაც გვიყვარს;..

რადგანაც გვიყვარს...

და ამიტომაც:

მირიადი ზეგარდმო ზაკვი,

გამო-ზეგარდმო

ციური ნათლის,

უნდა ვითმინოთ და

ტკივილზე არ დაგვცდეს სიტყვა...

ეგ ერთადერთი სადინარი

ცრემლის და ცრემლის,

ცრემლის,

რომლითაც ცისკენ იწევს ადამიანი,

ცრემლის,

რომლითაც ცით ბრუნდება ადამიანი,

ცრემლის,

რომლითაც ცხოველი მზე გვახარებს, გური!..

ვედრება

მწუხრი მიახლოვდება, დალი,

მზეს უმოკლდება საწიერი, დალი,

სუყველაფერი ერთფერი ხდება, დალი,

უსახურდება ჩემი სამინე, დალი;

დღე _ მარგალიტი სინათლეს კარგავს, დალი,

ფიქრებს მიმღვრევენ სანთლის ფერები, დალი.

ნუ ამიტირებ ცოლ-შვილს უდროოდ, დალი,

ავსულებს გზები, გზები შეუკარ, დალი;

ნუ, დაანახებ მონადირეებს, დალი,

ჩემს თავს ლულაზე ჩამოძინებულს, დალი.

გამათევინე ღამე როგორმე, დალი,

კვლავ დამანახე ჯიხვთა სერობა, დალი,

მავანის შური თუ სადმე მიცდის, დალი,

მშიერი კოშკი თუ მელოდება, დალი!..

in vino veritas

თაროზე რუსთველს მტვერი ჭამს,

შექსპირს, დანტეს და ბოდლერს,..

ვაშა! _ in vino veritas...

მთელი წელია მომდევს;

არის ნამდვილი მიქარვა, _

რა მომიტანა ჩანგმა?..

რა დროს წერა და კითხვაა,

რა დროს წიგნების სტამბვა;

ამით არარა გამოდის,

არცრა _ ოცნებით, ნატვრით,

ერთი თბილისში ჩამოდი,

შენც ჩემებურად ჩატკბი;

თაროზე ჰომერს მტვერი ჭამს...

მე რა იმედი მქონდეს,

ვაშა! in Vino Veritas _

მისი მომგონი ცხონდეს!

ჯამუ

ხნავდა, თესდა, თიბდა, მკიდა, _

ზრახვა მუდამ ჰქონდა წმინდა;

მწყემსდა ცხოვარს, წველდა ფურებს,

ხან ჩალვადარს და ხან ურემს

მიყვებოდა ხოლმე ფეხით...

იყო საქმიანი გლეხი...

აწი, ვეღარ გარეცხს ჭურებს,

ვეღარ წავა ურმით ყულევს;

ვეღარ მოხნავს, გათიბს, დათესს,

ვერ დაანთებს საყდრად სანთლებს;

_ ეს ცხოვრება? _ ჩირად არ ღირს, _

უკვე სული ხდება დაღლილს...

მერეხი და მეხი სდევდა,

მუდამ სოფლის ტალახს ზელდა,

ჭამდა ნაღველი და სევდა,

მაინც სიტკბოს ღმერთი სწევდა;

ჰქონდა მოუღლელი მკლავი, _

მუდამ ედგა დიდი ხვავი...

ვეღარ წავა აწი ტყეში,

ვერ მოუსწრებს სადმე თქეში,

კაცმა რომ თქვას, რა აქვს ხელში...

წევს და იყურება ჭერში;

უკვე ხედავს ჯამუ სულეთს,

მკვდრებს ცოცხლებში ისე ურევს,

ისე ჭრის და ისე კერავს,

მოაბრუნებს კაცი ძნელად;

ჰგვიან ეზოს, წმენდენ ფანჯრებს...

მესმის, ამბობს მეზობელი:

_ დასჭირდება ნეტავ, გამჩენს,

უჯამუოდ ეს სოფელი?..

არის, დაფასებაც არის! _

საჩეხეში ხარი ბღავის,

წკრიალდება ჯამუს სახლი,

მწარედ ყმუის კარში ძაღლი;

და მე ვხვდები... (ვხვდები, მგონი) _

ვიწერ პირჯვარს, ვანთებ სანთელს,

მე და სოფელს ორადორი, _

ღვთის და ჯამუს ვალი გვადევს.

* * *

შენ მიკრული ხარ საწერ მაგიდას,

ან მიწას _ გუთნისდედობ, ჯახირობ,

სახლის შენებას იწყებ თავიდან

და ცდილობ, კერა არ გააცივო;

ჩიტი კი დაგდევს და ეძებს საკენკს,

ხან ხნულს ჩითავს და ხან ნაცარს ქექავს,

სხვა არაფერი არა აქვს საქმე

და... ჩიჩახვსავსე ზის ტოტზე ეხლა...

ხან გსტუმრობს მშვიდი, ხან გზაში მოგდევს,

არსად უცდიან, არსად ელიან,..

სკუპ! _ და გადახტა ტოტიდან ტოტზე,

ხიდან ხეზე და... ცას შეერია.

მჭედლები

ეშმას საშიშარი როკვა...

ყელი... დანაზე გვაქვს ყელი,

ჯაჭვებს ყურშებივით ვლოკავთ,

მჭედლის აგრიალდა გრდემლი;

არა, _ აღარ არის ნება,

აქ სხვა ბედისწერა გვზაფრავს,

დარდი ღრუბელივით დგება,

ნაღველს აუშვია აფრა.

მოჰგავს, საქართველო მოჰგავს,

შხამით საუკუნოდ ფერილს,

ბორგავს, დასაბამით ბორგავს

მჭედლის სულ გრიალებს გრდემლი;

ჩემი აწმყოა თუ ნამყო,

ჭირის, ჭირთა ჭირის ტყვე ვარ,

იღბალს შვილებისას ვდარდობ, _

ბალღამს აღარა აქვს ტევა;

ღრუბლებს უსათუოდ მოძოვს

მზე ცად, ცა დაჩნდება ლურჯი,

ცოცხლობს ამირანი, ცოცხლობს,

ჩვენი იმედების ბურჯი.

ცოცხლობს საუკუნო ბრძოლით,

თევით, შავ ღამეთა თევით,

ომით, უსასრულო ომით,

თმენით, მარადისი თმენით;

წუხელ ვკვდებოდი და მოწმე

უცებ მტრის ბანაკად მოდგა,

ეს ხომ ცოტნე იყო... ცოტნე,

ფეხზე წამოდგომას მთხოვდა;

ფრთები გამომესხა ამაყს,

ნატანჯს, ნამკათათვარს მზეზე,

თურმე, ცოცხალია საბაც, _

საშველს ქართველისას ეძებს;

თურმე, უძველესი მოდგმა

წყვდიადს ძველებურად ფატრავს,

თურმე, გზას უნათებს შოთა,

თურმე, ახდენია ნატვრა;

ველი... რა იქნება ხვალე,

იბრძვის, ესე იგი: მოწმობს,

ცოცხლობს ამირანი, მარე,[1]

ცოცხლობს საქართველო, ცოცხლობს!

---

[1] მარე – სვანურად: ახალგაზრდა კაცი.

* * *

შენი სხეული ალოა,

ო, მაღალია ზენა,

ვნებების სასაკლაოა,

ამოა ღამის თევა;

გიზგიზა ცეცხლის კალოა

იღბალი, ბედისწერა....

წვიმიანი დღე

გეგმა მქონდა, არ მაქვს გეგმა, _

წვიმა მოდის, მართლაც, დელგმა;

სახლად ვრჩები, ვატყობ, დღესაც,

ჭიქა ღვინო მაინც შევსვა,

ვფიქრობ ბუხრის პირას მდგარი,

შემოაღოს ვინმემ კარი;

ღვინო მაქვს და სხვა რა მინდა,

ცხვება პურიც... თამამი ვარ,

მწნილი წითლად ღუის დერგში,

მეგულება შაშხიც ჭერში;

მაგრამ... წვიმა მოდის დელგმა

და ახალიც კვდება გეგმა.

არვინ არ ჩანს... პირით ჩემსკენ,

ბიჭოს! _ შუკად მოდის, გვეგვე,

აღებს ჭიშკარს.. იცნობს ძაღლი...

უცებ შეტორტმანდა სახლი.

ძიღვა

კაცს ვერ ვხედავ სახლის ამგებს,

ამკლებს მისას ვინ არ ხედავს,

ვხედავ: ჯახუც გადგა ცალკერძ,

ამბობს, ერთი მისი დედაც...

ვატყობ, ძველიც მიაქვს ლანქერს, _

/გვერდი რას არ მოეფერდა/,

ეს სოფელი არის სარკე,

გინა ქვედა, გინა ზედა...

მოსაშველე არის ვინღა,

დალაყუნობს უქმად გვეგვეც,

მხვდება გულმართალი ძიღვა,

ძველი მეგუთნე და მეხრე:

მეუბნება: წვეულება

უნდა, მერე... შვებულება(!)

უნდა: ყველას ერთხელ უთხრას

თუ რა წვავს და თუ რა ბუგავს;

თუ რა უშლის და თუ რა ანგრევს,

თუ რა კრავს და თუ რა ხუთავს,

ყველაფერი რომ თქვას მარჯვედ,

ჩემი დახმარება უნდა...

ზვარი მოჟამულა, მარე, _

ბინდი შეჰყოლია ნათელს,

«ლალე», აღარ ისმის «ლალე», _

სისხლი გაშრობია ქართველს;

არ ვი, ვინ უშველის წამხდარს,

ამ გზებს ვინ მოკირწყლავს ისევ,

ნატვრას ვინ ამიხდენს, ნატვრას,

დარდის ვინ მომისპობს მიზეზს;

დარით ვინ შემიცვლის ავდარს, _

ამ ჭირს ვინ გამიცვლის ლხინზე,

არ ვი, აღარავინ ალბათ,

რადევს?! _ არაფერი სინზე!..

რა დევს!. _ ეს ტყე-ველი ჩინელს,

ეს მთა, ეს წყარო და ჩიტი.

ეს ცა, _ საოცნებოდ შვილებს,

სხვა? _ სხვა, არაფერი დიდი;

ოდა-სახლაკები მცირე,

მწირი, უნაყოფო ზინდი[2]

ენა მიბლაგვდება, ენა,

დროსთან სიტყვაც რჩება ვალში,

დროის ფერსოში ვართ ყველა,

ყოვლად გაჭედილნი ბზარში;

ჩინელს შეტყობია წყენა(!)

გვეგვე არ მოსვლია თვალში,

---

[2] ზინდი _ ნაყანურევი. სოფელ მუხურის ახლოს.

მაგრამ... მაღალია ზენა

ძიღვა წვეულებას გაშლის.

იტყვის, _ ჩვენთან ერთად სიმწრით, _

იტყვის!.. _ მეგუთნეა ძველი,

უკვე მოუჭრია ფიჭვიც,

ფიჭვის აღუმართავს ძელი...

მიქელანჯელო

„ჩამომხედე ერთხელ მაინც ჩამოიხედე
ჩამოეხეტე ერთხელ მაინც ჩამოეხეტე
და დაინახე ის ხანძარი რომელშიც ვიწვი“. –

...ჩამობრძანებას
ის ღმერთს შესთხოვდა,
ო, უკაცრავად, –
ჩამოხეტებას!
ეხილა
მისი განაჩენი –
ხვედრი საზეო,
ხორცი და სული
რა ხანძარში
როგორ ეწვოდა.
ჩამობრძანებას
ის ღმერთს შესთხოვდა
ო, უკაცრავად,
ჩამოხეტებას!

სასჯელს სასჯელი! –
განაჩენი
იყო სასტიკი,
თრთოდა,
კვნესოდა,
ო, გმინავდა
ეს ღვთის არჩივი;

არსთა განმრიგემ,
რომ დიადმა
შურისმგებელმა,
ზედამხედველად

მიუჩინა პაპი-ბენტერა,
მისი ნამდვილად
მკვდარი ნაწილი!...

II
ჩაკეტილია იტალიის
სივრცე და გზები,
ხეებზე მშვიდად
სხედან ყვავები,
არ ანათებენ
მარმარილოს დაყრილი ქვები
არც საცხეებში
ჩამზღვლეული საღებავები;

ვის დაეკარგა
ამ წკვარამში
ესე ეული,
სველია თვალი,
თმები – დამხვრჩვალი,
სისხლის ტბორებში
ეს ვინ გდია,
ესე გვემული,
ესე დაშლილი,
ვაი-ვანჩარი!...

ავდარს ავდარი...
ავდარს ავდარი...

სად არის მისი იტალია
ჯერ არ უნახავს
ჯერ არ უგრგძვნია
იტალია.
როგორც ტაძარი

საობლო თუა
მისი სამშობლო...

ვერ მოიცილა
ფლორენციამ
ცივი ზამთარი,
გლეჯს იტალიას,
მირიალი
მკელი, აფთარი,
სპობს ტალიას
უსამანო
ცივი ავდრები...

გარიდებია
მის სამშობლოს
სათნო ღიმილი.
შური და ღვარძლი
დაძრწის ყოველგან,
როგორ დაშლილა
მარადისი
მისი ტკივილი!..

თუკი:
პირველი ღმერთი არის,
რაა – მეორე,
თუკი სამშობლო დაქცეულა,
რაა პირველი?..
მონატრებია
დილა ნინველი
დილა სანთლით
ავსებული იტალიისა!..

არადა, ჟამი
მწუთხე არის,
ცრუ და ორპირი,
დგას ყიამეთი
უგუშაგო,
ქვედამხობილი;

ამზღვლეულია
ღრუბლებში და
არ თრთის ეთერი,

გოდების
გინა მიმოქარგე
ასი კედელი,
გინა
აავსე პიეტებით
შენი სამშობლო...
როს დასევია
მირიადი
მგელი, აფთარი
ნატაძრალია
ყველა ტაძარი...

თითქოს
ბლაგვია საჭრეთელი,
მშრალი ყალამი!..

ბჟუტავს სანთელი.
ზღვა გოდების
მწიკვი ნათელი.

ბჟუტავს სანთელი,
ნათელია
თურმე ურვება,
თვალთაგან ცრემლი
ნაკადულად მოეწურვება,
რისთვის ან რატომ
ო, ამგვარი,
ნეტავ,
სასჯელი,
წრიალებს,
ბორგავს
ღვთაებრივი
მისი ბუნება...

„ვინ მომისაჯა
ხანძარში დგომა,
ქვასთან ჭიდილი
ამ ყიამეთში,
წვა და გოდება
კირთება, კრთომა
შავი მხოლოდრე
ლურჯშიც, მწვანეშიც...

ღმერთო, ვიხრჩობი,
ცის ნაგლეჯიც
სანატრელი
როგორ გამიხდა,
მწიკვი ნათელიც,
ჩემთვის როგორ
ჩახდა, ჩავიდა;
როგორ ამიხდა
ყველა ნაწყვეტი.
სიბნელემ ფესვი
კიბოდ გაიდგა,
ო, ღმერთო, ღმერთო,
თვალისჩინი
როგორ წარვიდა.

ო, რატომ, რატომ
სასჯელს სასჯელი?!...
ღმერთო,
სადა ხარ,

რა ისეთი
სამალავი გაქვს
არ დაატანე
ნუთუ ფანჯრები?!..

ჩემო სამშობლოვ,
არა, მე ვდგები! –
უნდა გაგიხსნა
სივრცე და გზები,
შენს დიად
გულ-მკერდს
მოვაცილო
ნისლი და ჯანღი.
უწმიდურთაგან
გაგიწმინდო
დიადი სახლი
შთაგბერო ძალი
ყველაფრით
დაღლილს!

ჩემი გოდება
გადაგარჩენს
ჩემი კირთება,
გაცაბრწყინდება
შენი დიდება!...

მე მომაქვს ყველა შენი წამალი,
რომ გამზიანო,
და გაყვავილო,
გუმბათის შუქი,
შუქი კამარის,
ყველა ხაზი და
ფერი საჭირო.

ჩემი ადგილი
აქაა, ვიცი,
შენი ეკალიც
თითქოს მეამა.

ო, იტალიავ,
საოცნებო
შენა ხარ ნიში,
და ერთად ყოფნაც.
ორივესთვის
ბედისწერაა.

მე შენ გეკუთვნი,
შენი მონა ვარ,
არა ამ ფუნჯის
და ამ საჭრეთლის,
მე ვხედავ, ვხედავ
შენს ხვედრ მომავალს
და მე ვარ ერთიც
კარის გამღები.

მაგრამ...
დღეს საით? –
ბედნიერებას
შენსას
რა შარა ერგო ასეთი,
საით წასულხარ –
მშვენიერებავ,
საით ო, საით
ერთად, სავსებით?

ცხადში
რად აღარ მეთილისმება,
შენი ზეგნები,
შენი ველები,
სად, სად წასულა
შენი ღირსება, ტკბილი ჰანგები
და სიმღერები?..

ჩემო ფერმკრთალო,
გიზგიზებ ჩემში,
ეს შენ თლი ქვებს და ხარაჩოებს ნელიად მართავ,
შენა ხარ ჩემი სასოება,
ფესვი და ნერჩი
ეს შენ, რომ არა
მე უპოვარს
რაღა მებადა!..

ჩემო დაღლილო,
სულის სალხენად,
სასიყვარულოდ
ვინ გამიმეტა
აქ უნდა ვენთო,
დაუზრახველად,
გაჩენილნი ვართ
ერთმანეთის
მწედ და იმედად;

ამ ღურღუმელში,
ამ ციებაში,
უნდა განვდევნო
შენგან სნებანი,
ცა ვაფართქალო.
შენი ფერადი,
გადაგილალო
ეგ ღრუბლები
ზრო და ლეგანი:

სულ ახლოსაა
შენი დილა,
დილა ნინველი,
რამ უცხო ფერის
მოჰქრის ფრინველი,
თუკი,
პირველი ღმერთი არის
რაა მეორე,
თუკი,
სამშობლო დაქცეულა,
რაა პირველი?!..

ვწერ

ვწერ,

ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული, _

უღრუბლო ზეცა,

მდელოზე კრავი,

წყალში თევზი,

კედელზე თოფი...

მარად, ცისფერი ხატაური

ტურფას რომ გეცვას,

და შერმადინი ერქვას ყველა

ძმასა და ძმობილს;

ვწერ,

სინანულის

ელვარებდეს მარადის თაღი,

სანთელ-საკმეველს

მისამართი ჰქონდეს თავისი,

ჰყვაოდეს მიწა _

დაკიდული სამოთხის ბაღი,

არსად ადგილი არ რჩებოდეს

სიმწუხრისთვის.

ვწერ...

როგორ ბრძანდებით!..

ხომ არ მოაკლდა თქვენს ბაღს ვარდები

და ეზო-ყურეს ჩიტთა გალობა,

სრად რომ ბრწყინავენ გირლიანდები,

ხომ კვლავ გარდმოდის ცათა წყალობა;

მარადისობა ხომ კვლავ თქვენშია,

დრო ჭირვეული ხომ არს მომთმენი

უპირველესი ხომ ხართ მომკელი,

ხომ არაფერი აღარ შემშლია.

როგორ ბრძანდებით, _ თქვენი იერი

ღვთაებრივია ხომ ძველებურად,

ხომ არ გაფრინდა უცხო ფრინველი

შემოგვეკედლა რამე ბეღურა,

დრო ჭირვეული ხომ არს მომთმენი

ხომ არაფერი აღარ შეშლია,

როგორ ბრძანდებით, _ მაგ სამოთხეში

ხომ ძველებურად თქვენი ეშხია...

როგორ ბრძანდებით, როგორ ბრძანდებით,

ჯგლერთა, გნიასი, კვნესა, გოდება

ხომ აღარ გწვდებათ გულის წამღები,

სიმხიარულე ხომ არ გშორდებათ;

ხომ აღარ გიპვრობთ ჟამი ამკლები,

ეს ცა და მიწა ხომ არ სწორდება,

ხომ არ მოჯარდნენ უიმედონი,

არმაგედონი ხომ არ მოდგება?!.

როგორ ბრძანდებით, _ ცა ხომ მოვდება,

სრად ხომ ბრწყინავენ გირლიანდები,

საწუთრო ხომ არ მოგელოკებათ,

ხომ არ მოაკლდა თქვენს ბაღს ვარდები:

როგორ ბრძანდებით, როგორ ბრძანდებით!...

გლეხი და თავისუფლება

გზა ოცნებაა, ოცნების ტყვე ვარ,

გზა ფიქრმა შობა ყველა,

...ახლა, სათიბში ბოლოზე ვწევარ,

ვნატრობ, შემეძლოს ფრენა;

ფრთები მქონდეს და ცაში მოვღალო, _

სივრცეს მივენდო ულევს,

არ ვიყო ერთი ვინმე ბოგანო,

(გზას ფიქრში იჭერ თურმე)

ჰა, მიფრთხიალებს სივრცეში ჩიტი,

მერე მეორეც მიჰფრენს,

თვალს გავაყოლებ... სულ ერთი მწიკვი

შემომტმასნია სივრცე;

ის გადაევლო უცაბედ ველობს,

მოწყდა საკენკს თუ ბუდეს,

ეს ცა და მიწა მისია, ზეობს, _

დიდი, გრძელი გზა უდევს...

იგი არ თესავს, არ მკის, არ ლეწავს,

ცის ნებიერი არის,

ის ოკრო-ბოკრო ამბებს არ ლექსავს,

არ აქვს არავის ვალი;

ის ჩემებრ მიწას აღარ ჩაბღუის,

და არც დღემუდამ ტყეს ჭრის,

გამოტენილი არ აქვს მამული

შურით, ღვარძლით და ეჭვით;

ის მიფრთხიალებს თავისუფლებად

და ანიავებს ამ ცას,

ო, სამშობლოში ჩიტის ბუნება

როგორ ვინატრო კაცმა.

II

მევალეს უკვე მივეცი ვალი,

წელს კარ-ფანჯრებიც ჩავსვი,

წელს გულიანად შევწამლე ზვარი,

არის! _ გავტეხე ნავსი,_

ზინდში ურუმი ახო გავტეხე,

სახრით გავიგდე საქმე,

მთვარე ჟამს, ანდა მთვარე ნაძლევზე

ვწერდი ჟამი-ჟამ საგებს;

დავეშურები ახლაც ამინდებს, _

დამრჩა კომბოსტო ზვარში,

ზუგდიდ-ქალაქშიც უნდა ჩავიდე,

თან წავიყვანო ბავშვი;

ვიყიდით შაქარს, ფქვილსა და სანდალს,

ან წითელს ან სულ სხვა ფერს,

სადადიანოს დავსხდებით ტაბლად, _

ზუგდიდ-ქალაქზე ვაფრენთ;

მოხარულები ვიქნებით ამ დღის

და გავიხსენებთ ხშირად...

რა დროს ეგაა, სუნი მცემს ავდრის,

არ წამოვიდეს წვიმა;

დღის ნაოფლარი არ წამიშალოს,

სწრაფად ვაგროვებ ნათიბს,

სხვა, უკეთესი რა შევიყვარო,

ვცოცხლობ ოჯახის ხათრით;

ფრიი... მიფრთხიალებს თავისუფლება

და ანიავებს ამ ცას,

ღმერთო, შეუნდე, ჩიტის ბუნება

თუკი ინატრა კაცმა!..

უნუგეშობა

აქ არაფერი აღარ შეცვლილა, _
სულ უნუგეშოდ წივის მზეწვია;
საწყალობელად სულ ბღავის კრავი,
ერთადერთ ნოტზე ყრანტალებს ყვავი;
ჯახუც დღეს ვეღარ აშენებს სახლებს,
ქვას თლის და აწყობს ხან აქ და ხან იქ,
გადახუნებულ უმაქნის საგნებს,
წმენდს და ალაგებს ყალიჩას ქალი;
აქ არაფერი აღარ შეცვლილა, _
ქვეყანა დადის თოხით და ბარით,
ჯახუც, ნუგზარიც, ჯამუც, ბექიაც
დახუნძლულია ისევე ვალით...
აქ არაფერი აღარ შეცვლილა...

რა დროს ვარდია, ღიღილო...

შენ, ჩემი სისხლის ყივილო,
მწეო გულის და თვალისა,
არის სტრიქონი _ მიმინო
და ლაბა ხარიც არისა.
ვარდის ფურცელი, ღიღილო,
ბრწყენა-თამაში ჩქერისა,
შენი სახე და პირიო,

ცამდე აწევა ჭერისა;

მე ის პირველი მირჩევნის,

ეგ მტაცებელი ჟღალია,

დაუნდობელი ფრინველი,

ცაში ქარივით მალია.

რა დროს ვარდია, ღიღილო,

ბრწყენა-თამაში ჩქერისა,

ვხედავ, ცაშია მიმინო,

უკვე გაზრდილი შენიცა...

რადგან ამირანი ცოცხლობს

შენი სიტყვა შვებას მომგვრის,

შენს სახეზე რწმენა ჰყვავის,

გაწყვეტს ამირანი ბორკილს, _

ქართლი ამირანი არის;

უეკლოა შარა ზოგის

და ქვეყანა ბაღი არის,

ეს ეკალი სხვის ვარდს სჯობნის;

ცოცხლობს რადგან ამირანი.

იჭვი

მწუხარე ღვთისმშობლის ხატი,

ტაძარი უქმია, უმღვდლოა,

ეზოში ბარდის და შამბის

ნამდვილი, ნამდვილი ურდოა;

ეშმაკი, ეშმაკი დადის,

ეშმაკი სიცოცხლის ქურდია,

მოსულა ქართველი დენდი,

და ტაძრის კარებთან ყუდია...

სად არის, სად არის ღმერთი,

ქართველმა დაკარგა? _ ცუდია!

დღეს

აწმყო _ სულ ერთი წამი, _

ხვედრი, სხვადასხვა ხვედრი, _

შური, გესლი და შხამი,

ჭირი, ციება, კეთრი;

ვისთვის, მშვიდი და სადა, _

ცად აწეული ჭერი,

ანდა, გაფრენა ცადა,

ზღვა სიხარულის ცრემლი;

აწმყო _ ვნებების კალო,

ყოვლის ძირის და ფესვის,

აწმყო... «შეჩერდი წამო»... _

ო, შეძახილი მესმის;

აწმყო _ მაღალი ქნარის,

მიწყივ სივრცეთა მოვლა,

ვისთვის ცრუ, ყრუ და ფარსი,

აუტანელი ყოვლად;

აწმყო _ თითქოს და ტესტი _

ნამყო მოიწყო როგორ,

წაუკითხავი ტექსტი,

გაუშიფრავი ლოგო..

ალტერნატივა ანუ ღამე მთაში

სულ ორი კაცი შემოვრჩით ტაბლას,

სულ ორი კაცი _ მკვიდრი ამ ხეობის,

ვუყვებით ერთურთს ცხოვრების ამბავს,

სუფრაზე მეტი სინათლე შემოდის...

ამბობს, ამ სახლში აპირებს სიკვდილს, _

(ო, წლებთან ერთად, იძალა ტკივილმაც),

საკუთარ ჭერქვეშ ტკბილია ძილი,

საკუთარ ჭერქვეშ სიკვდილიც ტკბილია.

ტკბილია დარდი და ტკბილია ვარამი, _

ცხოვრებამ ცხვირიდან ადინა ძმარი,

რა შერჩა _ ნაღველი, შვავი და არავი,

მწყურვალმა ვეღარსად დალია წყალი;

ვეღარსად იპოვა საშველი... გზები

კეცა, არბია სული და სხეული,

გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ წლები,

მოვიდა გამტყდარი, ჟამთაგან ძლეული;

საკუთარ ბუდეს აკითხავს ჩიტიც.

მოვიდა, _ კაცისგან რა გასაკვირია,

და... ვსხედვართ ახლა ჩეროში წიფლის

და სუფრა დედის გულივით თბილია.

სინანულია ცხოვრება ჩვენი,

სანანურია, ვინაც ეს არ იცის,

გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ წლები,

ათასი აისი, ათასი დაისი;

გაფრინდნენ, მაგრამ მოფრინავს ახალიც, _

ახალი მირკანი, ახალი ვარდობა,

არ ჩადის, არ ცხრება, _ მზეა კვლავ მაღალი,

ათასი, ათასი, ათასი მადლობა!

ათასი სხივი და სხივების კონა...

უფალო, გევედრებით, უფალო, გვიხსენ,

რა დროა, კითხულობს მოხუცი თომა

და ორი ჩამქრალი კრატერით გვიმზერს;

ცხოვრება არასდროს არ არის გვიანი,

ცხოვრებას ათასჯერ მოასწრებს კაცი,

ინებეთ წყალობა _ მწვადები ცვრიანი,

და უფლის სისხლით გამთბარი თასი;

ინებეთ, აქ არის, აქ არის დანდობა,

სიცოცხლის სილამაზეს ავუღოთ გეში,

ხმიადი? _ ო, დიდი, ო, დიდი მადლობა

შარბათი? _ შარბათით, შარბათით ხელში!

* * *

უოტ უიტმენის გენია პირველად ინტელექტუალური პერიკის მეტრმა ემერსონმა დაინახა და ამით შეწყდა კიდეც გენიალური პოეტის გაუთავებელი ღვარძლიანი კრიტიკა

ვერ გაგიგეს უოტ,
ვეღარ დაგინახეს -
მზის სხივების ულო,
გათრიეს და გძრახეს;

პოეზიის ბაღის
გარეთ დაგაყენეს,
საყვარელი ხალხის
გასაგონად წერეს:

უნიჭოა, მდაბალ
სტრიქონ-სტრიქონ ცრუობსო,
პოეზიის მაღალ
ჰავას ვეღარ ჰგუობსო!..

დაგატეხეს მეხი,
ქვეყნის ლათხში გზილეს,
ქარი ამოყოლილი
გაზაფხულის წვიმებს!

შენ კი წერდი მაინც –

შენებურად ხატავდი,

ღია გქონდა კარი –

საღამოებს მართავდი;

სტრიქონ-სტრიქონ უსმენდნენ,

ქართა გამო ქარებს,

სხვანაირად უცქერდნენ

ცას, მზესა და მთვარეს;

სხვანაირად ულხინდათ,

და იხდიდნენ ღალას,

სხვანაირად უვლიდათ

პომანოკის ჰავა!..

თვლა არ ჰქონდა კიცხვას,

განქიქებას, უოტ,

სიძულვილის სიტყვას,

სიყვარულის ულოვ!

ბნელის იყო ბოგანი,

კიდეც ლათხში გზილეს,

ქარი ამოყოლილი

გაზაფხულის წვიმებს!

მაგრამ...

ერთ დღეს ძღვენივით,

ჰო, სხივების ულოდ,

შენც მიიღე წერილი

ბობოქარო სულო!

გწერდა ბნელის მგმობელი

და მომმკელი ნათლის,

შენა ხარო მფლობელი

პოეზიის ბაღის!

პომანოკის ნაპირს

სულ სხვა ფერი დაედო,

ჯადოსნური ზღაპრის,

ან, სამოთხის, საერთოდ;

დაფრინავდა, თრთოდა,

ყრმა, რომელიც ჰგვემესო...

ემერსონის ყოლაც

ამერიკას შეეძლო.

უოტ, სად ხარ, მითხარი,

(თუმც ორივეს ვეძებ),

დავალ როგორ სიზმარი

საქართველოს გზებზე!

პომანოკი – კუნძული ნიუ-იუორკთან, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა უოტ უიტმენი

როგორ გავუძლო

ვისაც კი ადრე ჩამოათოვა,

ვინც მიატოვეს, ვინც მიატოვა,

ვინაც გაწირა, ვინაც გაწირეს,

და ოცდაათი ვერცხლი აძლიეს;

ვინც შურით სკდება, ვისაც ღვარძლი ჭამს, _

აქ მოიყარეს თავი რატომღაც,

ჩემთან მოვიდნენ, ჩემთან ცხოვრობენ, _

გაინაწილეს ჩემი კატორღა.

საბრალოები, ნუთუ სინათლეს,

აქით გამოყვნენ, _ ვიქმენ იმედად,

გამოერიდნენ ღამის ყიამეთს,

თავზე დატეხილ შურისძიებას;

ნუთუ, გამჩენმა სამაგიერო

ყველას აწვნია, ყველას მიუზღო,

ნუთუ, მანიშნებს ყოვლად ძლიერი,

სოდომ-გომორლებს სულზე მივუსწრო?!.

არა, ბატონო! _ მეც ეკალ-ნარით

დაცხაული მაქვს ფეხისგულები,

მწყურია, მაგრამ სად არის წყალი,

ვინ მომირჩინა, ანდა წყლულები?

უდაბნოს ხვატი ტანში მაციებს,

რა ვქნა, მანიშნე ახლა როგორმე,

როგორ დავიცვა მცნება ათივე,

ვით ავიტანო ეს სიობოლე;

ამ სიმარტოვეს როგორ გავუძლო, _

ვის რად ეგება ჩემი ნადავლი,

სად არის ერთი, სიტყვა საუფლო,

ანდა პატრონი მისი სად არის;

საბრალოები, _ ნუთუ სინათლეს,

აქით გამოყვნენ, _ ვიქმენ იმედად,

გამოერიდნენ ღამის ყიამეთს, _

თავზე დატეხილ შურისძიებას?!..

ციხის აღება

მე ვაპირებდი მერცხლებს და შაშვებს, _

ირგვლივ ბურუსი იწვა.

დღეს, თურმე, პური არ ჰქონდათ ბავშვებს,

დღეს მეზობელმა მიხსნა;

დღეს სიყვარულის ამაღლდა ცა,

დღეს სათნოება ბრწყენდა,

როცა მეზობლად გამიღეს კარი,

კარებთან იდგა... სევდა.

მე ვენაცვალე მათ წყლიან თვალებს,

მათ ოქრო გულებს, სიტყვებს,

თურმე ცად მბრწყენი კენჭები თვალეს, _

ცა წუხანდელი მიქეს;

დღეს ყველაფერი იყო ნამდვილი

განცდაც, სიმღერაც, თემო,

დღეს ბავშვებს ჰქონდათ კარგი სადილი

და ჩაატანეს გემო.

დღეს... ჩამესახა ისევ იმედი,

გულში წარსული ვძრახე,

დღეს... გაიზარდნენ ჩემი შვილები

უცებ დიდები გახდნენ.

აწ მამის სევდა ეცოდინებათ,

სიკეთის ფასი _ უფრო,

მათ თვალებს ახლა არ ეწვიმება,

სიტყვაც არა აქვთ უფხო;

თითქოს ერთ თარგზე ფიქრი მოგვეჭრა, _

ჩვენ ერთნაირად ვმსჯელობთ,

ო, დღეს იმედი მართლაც მომეცა _

გასატანია ლელო.

დღეს ეს წკვარამი უნდა გაირღვეს, _

პური გვექნება ხვალ ჩვენ,

უიმედობის ციხე ავიღეთ,

ნადავლს ვალაგებთ, ვარჩევთ.

უცაბედი შემოღამება

ცის მინდვრებზე დავფრინავდი, _

ცა მაღალი მიყვარდა,

გუბე-გუბე არ მიყვარდა,

ღრუბელ-ღრუბელ მიყვარდა...

მერე... უცებ დამიღამდა, _

ბინა მიწად დავიდე,

ჩემი ცოლი დაბინავდა, _

სევდა ჩამოვარიგე;

მიწად ვეღარ ვეტეოდი,

(დედაც დარდებს გადაჰყვა).

ჩამოვვარდი მეტეორი,

კუდი ელავს გადაღმა.

კაცი

ილია ქვლივიძეს

ფეხქვეშ გაგეგება კაცი,

მოგეფიანდაზება,

სუფრის თავში დაგიჯდება,

ღმერთმა მოგცეს გაძლება.

ხანაც ჯამით, ხანაც ყანწით,

ღვინოს ტკბილად შეგასმევს,

ყოვლად ბრძენი დინჯი ყოვლად,

ალალი და ენა მზე.

ხვდები... აქაც დღე და ღამე

წარსულს ქექენ გულდინჯად,

იტყვის: აბა ქართველს ერთი,

როდის აღარ უჭირდა;

მე რომ მკითხონ, თუმცა, ვინ ვარ,

ვინმემ რამე რომ მკითხოს,

მაგრამ განა სათუოა

საქართველო რომ იყო?..

ზვრებს და ბაღებს აშენებდა,

ციხე-ტაძრებს აგებდა,

წუთისოფელს ღვთის წყალობით

აღარაფრით დანებდა;

ხნავდა, თესდა, ლეწდა, მკიდა,

ძერწავდა და ხატავდა,

რაც შეეძლო იკაშკაშა,

ცა და მიწა ანათა;

ეს რა ვნახე, ჩაფი ღვინო,

ყანწში როგორ ჩავიდა,

ანდა, როგორ დალია და

სახლში როგორ წავიდა;

თქვა, რომ ქუჯის საქართველო

თავზე მეტად უღირდა,

გვერდით დადგა ფარნავაზის,

ქართლს როდესაც უჭირდა.

იცის კაცმა აიეტი,

აია და გეგუთი,

ეს ქვეყანა რომ მისია

და მის ნაგრამს ეკუთვნის.

თუკი შეხვდი?.. დევია და

ღმერთმა მოგცეს გაძლება,

ხვნა და თესვით დამაშვრალი

სიყვარულით გაძღება.

ორი რამ...

ორი რამ: _

დარდი და ცა დაბალი _

ორი გველაძუა ატამანი,

სისხლს მიშრობს

მძირკვავს და მაჩანაგებს,

და ვხვდები,

უსათუოდ გადამაგებს;

ეს ორი _

ერთმანეთის მწყალობელი,

ეს ორი _

მჯაბნელი და მწვალებელი!..

შესაწირს ო, ამდენს

რას თხოულობს, _

ამდენ ცრემლთა დენას, სატიალე,

წარსულ ფოლიანტებს გამოვითხოვ, _

დარდით სავსე არის მატიანე;

ეს ორი _ მგლისფერი ბედაურით

თარეშობს, _ ეს ორი მბრძანებელი,

ეს ორი _ გველაძუა მეთაური,

ეს ორი _ მჯაბნელი და მწვალებელი!

ორი რამ,

სისხლს მიშრობს და მაჩანაგებს,

ორი რამ,

უსათუოდ გადამაგებს!..

რა იყო, რა არის და რა იქნება,

«რაც იყო, რაც არის...» და გვაწრიალებს,

წარსულის ამდაგვარი გაფიქრება,

სისხლს ყინავს, გულს სწურავს, სატიალე;

დაჰქრიან ცის სკდომით და გავეშებით,

გადადებ ეტრატებს და გაჰკვირდები,

გამოაქვთ იოლად განაჩენი,

წინ გიდევს ათასი ნატირები;

ბილინგვა მრავალი გაძარცვული, _

დროება შხამით და სიყვითლეთი,

ეს ორი მეხვანჯე გაწაფული

მარადი, მარადი სიდიდეთი.

ორი რამ: _

სისხლს მიშრობს და მაჩანაგებს.

ორი რამ: _

უსათუოდ გადამაგებს!..

შაბურა არაბულის ხსოვნას

წყუროდა...

ვნახე: ცა გადაყლურწა,

შიოდა...

ვნახე:

ცა ვით ჩაკბიჩა,

...ის დასცინოდა ჩვენს დარდ-საწუხარს,

აქ შემოვიდა სულ სხვა სახლიდან;

ნათელი ადგა სულ სხვა ორდენის _

იყო მოსული სულ სხვა ძმობიდან,

ო, ნიჭი ჰქონდა დიდი მოთმენის,

ის საპირწონედ ჩვენდა მოვიდა:

შიოდა...

ვნახე: ცა ვით ჩაკბიჩა...

აწ, რა იქნება...

აწ რა იქნება...

მეუფობს ჟამი წკვარამი.

ზეცას რა მიწყივ დასცვენია გირლიანდები,

მწარე წუთს წუთი მიერთვება, ვარამს _ ვარამი,

მწუხარებათა დაშვებულა მძიმე ფარდები;

აწ რა იქნება...

ჩაუქრიათ ყველა სანათი,

დავეხეტებით უდაბნოთა წერად ქცეული,

შერი შურს ბადებს, გესლს _ გესლი და ღალატს _ ღალატი,

ო, სამშობლოში დაბარგანებს ეშმა წყეული;

აწ რა იქნება...

საგზალია ჩვენთვის ნაღველი,

ვით ამოგვართვეს სული მხედრის, სული მეომრის,

წივის ტყვია და ნეტავ, საით მივემართებით,

მშიერ-მწყურვალნი,

მხარქცეულნი,

უარსებონი?!

ეგებ...

...ნეტავ, სად ხარ, ვის სივრცეს ზვერავ,

ვის კარს დარაჯობ, ვის ჭერქვეშ გალობ,

ვის, ვის უქარვებ დარდსა თუ წყენას

კენარო, ჩემო თვალადო ქალო!..

ეგებ, თავხედი ყმის ხარ მორჩილი,

ეგებ, ცბიერის... უგულო ლაჩრის,

ეგებ, მზედ გადგას ეგ დალოცვილი,

ღვთისნიერი და უბრალო კაცი;

ხარ დედოფალი ეგებ სასახლის,

და ოქრო-ვერცხლი არ გიღირს ჩალად.

ეგებ... სულ ცალკე სადმე დასახლდით

და შემოღობეთ პატარა ყანა.

ეგებ... ხანდახან გნახულობ სიზმრად

და ცხადში შენს ფიქრს გავსდევ ზოლივით,

ეგებ, ნათლისა მეწვიე ხილვად

და სატანჯველად ხარ მოგონილი.

ბოლო დღე

გასრულდა... ბოლო დღე გამითენდა,

ბოლო დღეს ბოლო სცენა იდგმება...

შენს წასაყვანად ცათა ეტლებით

მოიჩქარიან უკვე ღმერთები;

ო, ამაოა, ჩემი ვედრება,

ჩემი წვა, ჩემი გულის ფეთება,

ჰა, უკვე ქარად იქცა ეთერი...

ჩემთვის ყოველი უკვე გადახმა,

და უდაბნოა სულისშემძვრელი,

ალბათ ბაღები ჰყვავის გადაღმა,

მალე სივრცეთა გაგვყოფს კედელი...

შენზე სიმღერა ვალად მედება...

შენ უკვდავება მოგცეს ღმერთებმა

და გაგიმზადეს უკვე ედემი...

მიჰყვები... შუქი, შუქი ღვარული,

შუქი ცხოველი, კონა სხივების _

მიგაცილებენ ჩუმი, ფარული

ამ სიყვარულის მონაწილენიც.

მე კი სინათლე უკვე მელევა

და მწუხარებას ვეღარ ვერევი,

შორსა ხარ ჩემო ბედნიერებავ,

მიწით გასულო საკვირველებით.

ასე სიკვდილი მე არ მენება!..

დაწვეს, დაბუგეს ჩემი სახლ-კარი,

ცას სწვდება მღვრიე ცეცხლის ენები,

ჩემს სიჭაბუკეს ჩასცეს ლახვარი,

გადამისერეს ხმლებით ვენები...

და მაინც ვამბობ, ღმერთებს დიდება!..

შენ უკვდავება მოგცეს ღმერთებმა

და მეც ეს ლექსი ვალად დამედო,

საცაა წავა, ცად იხედება,

მიწასთან, ერთი, რა აქვს საერთო.

მოდი, ჩქარა...

სიცივის ხე გაფოთლილა,

სიჩუმე ქვად შეკრულა,

შხამის თასი გამოცლილა, _

რა დავლიო ბედკრულმა;

დაბინდულა გზა-სავალი,

ჩაშრეტილა სანათი,

(რაღა არი დასანანი,

თუ დასრულდა ბარათი).

გამომშრალი სარეცხივით

მაფრიალებს ქარიო,

მოდი ჩქარა, სამუდამოდ

მომიხურე კარიო.

ო, მომიტევე!..

მე ვარ ადამი _ შვილი განგების,

მოსიყვარულე, სიყვარულისთვის;

კაცი მრავალი ცოდვის ჩამდენი

და მომიტევე, ო, ღვთის გულისთვის.

ო, ეს ფერები, _ ეს ოაზისი,

რად, რად მეზოძა ბოროტს და ცბიერს,

მკლავდნენ და ვკლავდი თვალებდათხრილმა

თითქოს საუფლო უღელიც ვწიე;

მერამდენეა ეს აბორგება, _

სიკვდილმა ვისი სახე დანისლა? _

მე ვარ ადამი და ჩემი სისხლით

მორწყული არის ეს დედამიწა!..

ო, მერამდენედ ვუკმიე ღალატს

ქუნდრუკი, შურს, ზიზღს, სულით დაცემას,

ეს მერამდენედ ვაქციე ზურგი,

ამომავალი მზით აღტაცებას;

მე ვარ ადამი! _ მეწვის იარა,

გამოძევებულს სამოთხით, ლტოლვილს, _

მიპყრია მუდამ შხამის ფიალა,

ამაღლებას და დაცემას შორის.

ვინ მომაჩეჩა ეს შავი ვარდი,

ასე უჭკნობი, გაუხუნარი,

მე ვარ ადამი, _ ჩემი დარდი

შენ კი მარადი ჩემი მკურნალი;

გხატე ქვაზე და კლდეებზე გხატე,

გძერწე, ათასი ძეგლი დაგიდგი,

უსათუთესი მოგეცი სახე,

სახე მწყაზარი და მიამიტი;

სახე მომწყდარი ღვთაებრივ სანთელს..

მაგრამ ღვთის ნებას ვინ გადაუვა, _

დღესასწაულზე წალკობას გნახე,

და გამახევა შენმა აურამ.

და მე ვინატრე კვესება ხმალთა,

სადმე დუელი _ აბჯრის ჟღრიალი,

თუმც შენი ქმარიც ანგელოზს გავდა,

თუმც... ჩემთვის იყო ვინმე ტიალი;

სიკვდილის ლანდი ოხერ-ტიალი,

გველეშაპივით გაწვა თვალებზე,

მე დავინახე ცა ლილიანი,

ვით დაეკიდა შენს წამწამებზე;

როგორ ტიროდი ქალი _ ყამარი,

მე დავინახე ტბა დადგა როგორ,

ვით დააგუბა თავფარავანი

ერთმა უბრალო წალკელმა გოგომ.

ვინ მომაჩეჩა ეს შავი ვარდი,

ასე უჭკნობი, გაუხუნარი

მე ვარ ადამი, _ ჩემია დარდი,

შენ კი მარადი ჩემი მკურნალი;

მე ვარ ადამი _ შვილი განგების,

მოსიყვარულე, სიყვარულისთვის,

კაცი მრავალი ცოდვის ჩამდენი...

და მომიტევე, ო, ღვთის გულისთვის!

გაღმაც, გამოღმაც...

ახლა ჟამია უთავბოლო _

სად რა მოხდება

არ იცის კაცმა.. ამ სიბნელეს რაღა გაფატრავს..

დგება ბედშავი ხატებთან და კვლავ ილოცება,

უფლის წყალობას

ვინ დაადო, აბა, ყადაღა!..

ქვეყანა მიაქვს ქარბორია

ავლსა და ხანძარს,

მიასვენებენ უმეცარნი ასე დროებას,

აწ არასოდეს აღუმართავს არავინ ქანდაკს,

აქ სულგრძელობას,

მოწყალებას და სათნოებას;

თუმც უსასრულო რაღა არის, ეს რომ გამოდგეს, _

ეს ჯოჯოხეთი... სინანულის ზარიც ჩამოჰკრავს,

დადგება ჟამი, უფალი რომ ყველას სწყალობდეს,

გფარავდეთ ყველას,

შეგწეოდეთ _ გაღმაც გამოღმაც!

ვერა, ვერ ვპოვე...

მე არ ვიცოდი, როგორ მეპოვე,

დღემდე ვიარე ხელის ცეცებით

და შენი სულის თანამედროვე

ვეღარ დავწერე, ვერ ვთქვი ლექსები;

ვერ გამოვწალდე ერთი ბილიკიც,

რა გაუვალი არე გამოდგა,

სახეზე ზამთრის მზე მცემს ირიბი

და ვხედავ, ახლოს სასაფლაოა;

ვერა, ვერ ვპოვე ერთი ნამცეციც,

თუმც ეგ ნათელი მეძვირფასება.

მწირი გამოდგა ჩემი სამკელი

და მიწევს ყოვლის გადაფასება.

აქ თვალი უკვე აღარ ტყუვდება

და ალბათ, ბოლო ზარიც დარეკავს,

ბაცი საგნების მიწევს ყურება

და შემომდნარი ხორცის ტარება.

ღირსება

უწმინდესსა და უნეტარეს, საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

...მომიტევეთო, _

პატრიარქმა ბრძანა და უმალ,

დამეცა მეხი,

შემომეგზნო ცეცხლი ყოველგნით

მისატევები,

უწმინდესო,

თქვენც რამე თუ გაქვთ,

მე, ღვთის სახლამდე, ო,

ცოცხალი როგორ მოვედი.

შემზარა ფიქრმა,

დამენამა მთლიანად ტანი, _

უნეტარესი

ჩაჩოქილი მრევლს სთხოვს შეწევნას,

მომიტევეთო, _

ო, ცოდვები მეც ჩემი ვცანი,

მიტევებისა

გქონოდეთო ყველას შეძლება.

არა, ბატონო,

წამოდექით, დიდება უფალს,

აქ, რომ ხართ ჩვენთან,

გულისცემა თქვენი რომ გვესმის,

ვინ გახსნის სივრცეს,

დღეს თქვენსავით ვინ გაშლის სუფრას,

ვინ, ვინ იცხოვრებს

ქრისტიანის რიგით და წესით!

მე კი ვილოცებ...

თქვენს კალთამდე მოსული... ესე,

შეცოდებებით,

ო, უგვანი ათასი ზრახვით,

მე, ახლა მიკვირს,

უწმინდესო,

ვით ვწერდი ლექსებს

განრიდებული ესე უბრად

მაცხოვრის სახლით;

სავსე ვარ ნაღვლით, _

მძიმე არის დღეს ჩემი ხვედრი.

თუმც მოვრჩი ომებს

და უამურ დღეების ჯგლერთას,

უძვირფასესო მოციქულო,

ცოდვილი გვედრი,

მომიტევო და მიწინამძღვრო

ხატთან და ღმერთთან,

თორემ გათავდა ეს ცხოვრება

ლიქნით და ზაკვით,

სისხლით, ცრემლებით

ყოველი დღე ისევ ივსება,

თუ რამ მიშველის,

ეს თქვენა ხართ და უფლის სახლი,

რომ ამ ჯოჯოხეთს

გამოვტაცო ჩემი ღირსება.

რა მოხდა?..

მერაბ მამარდაშვილს

რას გეუბნება, მერაბ ბატონო,
ამინდი წყნარი, მერაბ ბატონო,
რომც დაგაწვიმოს, რომც დაგათოვოს,
თქვი, გასაგებად, მერაბ, ბატონო!
საქართველოში დაბალი ცა და
ამინდი წყნარი, მერაბ, ბატონო,
დუმილის განზე გასწიე ფარდა,
ჩემო ბატონო, დიდო ბატონო!
რა მოხდა!.. ასე ვით გარდავეგეთ,
როგორ ვნებდებით, როგორ მოვეშვით,
მაციებს კითხვა, პასუხს დავეძებ
მიჯრით მიწყობილ საღამოებში.
და ერთფეროვნად გამკრთალ დღეებში,
დროის ორფერის ტყვე და წაწალი _
სახეში მირტყამს ქარი ხენეში,
კვალად გზად მარებს ბანცალ-ბანცალით;
თითქოს საქვეყნოს ვედგე ცოდო-მადლს,
მხრებით მიმქონდეს საერო ჯვარი,
თითქოსდა სოფლის დარდი ბობოლა,

მხოლოდრე ჩემი საზიდი არის.

რას გეუბნება, რას გეუბნება

ხატება _ ქართლის დედა-ბუნება,

სიმდაბლე ცას რად მოეგუნება,

მითხარი, ესე რად ჩატყდა ხიდი,

ველებს და სერებს რად ეკვრის ბინდი,

ან სიო რაზე გეჩურჩულება;

მსგავსი ქართულის რად არის «სიმდი»,

ანდა აფხაზი კაცის ბუნება.

დღეს ცრემლი სისხლით მომეწურვება,

ასე საბრალოდ რად უსტვენს ჩიტი?..

შეუთავსებლობა

პური მქონდა და... არა მაქვს პური,

ღვინო მქონდა და... გამოშრა ქვევრი,

სმენა მქონდა და... დამეხშო ყური, _

უცაბედ თავზე დამექცა ჭერი;

გამოსამარდა უცაბედ არე, _

აპრილში ხეში წყალი არ გადგა,

გადაიხვეწა ცით მზე და მთვარე, _

ცხოვრება შენთან მომინდა რადგან.

არაფერი მაქვს... არცა ცის ნამი

და მეჩვენება ჰაერიც მკვრივი,

რად მიჭყეტია ნეტავი თვალი,

და საბოლოო არ მოდის ძილი?..

ჩიტი

თბილი ქვეყნიდან, თბილ ქვეყანამდე

გადაგისერავს მაღალი მთები,

სივრცე უცვლელი, სივრცე მარადი

მოგითოკია ხატულა ფრთებით;

კვლავ მოფრენილხარ, ჩიტო, გულღიად,

ნათელი არის შენი მიზანი,

ჩემო, შენს მეტი ქარს წაუღია,

თავისი მიწის ყველა ხიზანი;

აღარ შეიტყო არასდროს დაღლა,

არცა სჩვევიათ დაღლა ძლიერებს,

ან თუ დაეშვი ოდესმე დაბლა,

მეტი რა უნდა მონადირეებს;

შენს გულს დაენდე, და სივრცეს მაღალს, _

ნუ მიენდობი ცხოვრებას საშიშს

ჩიტო, იფრინე, მუდამდღე ლაღად,

მარად მწუხარე მამულის ცაში;

გახსოვდეს მხოლოდ ბნელზე... ნათელზე...

აქ, მერე არ ღირს თავის მართლება,

ნუ იფრენ, ჩიტო, კაკანათებზე,

ნურც ჩამოჯდები კაკანათებთან...

ჩიტუნავ ჩემო, ხვალის იმედად,

მე, თუნდაც ბოლო ლუკმა წამართვი,

ცის დამაწყევარს _ შენთვის დილეგი _

ერთი უბრალო ხის კაკანათი.

* * *

მოდი და, გავჭრათ აქ რომ ახოა,

დავთქვათ დღეიდან, რომ ერთად ვსახლობთ,

ჩვენი სიზმრები ერთმანეთთან ისე ახლოა,

როგორც მოწყალე დებია ახლოს;

მოდი და... როგორც ორი წვეთი ერევა ერთურთს,

შევვერთდეთ ისე, მოვკვდეთ ერთად, ერთად ვიცოცხლოთ,

რომ ზურგზე მედგას შენი სახლი-ტაძარი უფლის,

მიწაზე, როგორც ლოკოკინამ ისე ვიცოცო.

გიყვარდე შენ და გიყვარდეს მიწა,

მე ვიყო თქვენი მეკავშირე, თქვენი გამყოფიც,

და მინდა ერთად რომ ვიყოთ იქაც,

თუ იძრა იგი და დააღო პირი სამყოფი

ჩემი და შენი...

აქ რომ ახოა

გავჭრათ და დავთქვათ, რომ ერთად ვსახლობთ,

ჩვენი ცხოვრება ერთმანეთთან ისე ახლოა,

როგორც მოწყალე დებია ახლოს.

ეს ზეცა ახლა ლურჯად რომ ფეთქვს...

...ვინაც იცოდა სივრცეთა ფასი,

სული ირწყულა ვინც ლაჟვარდებით,

გამოიარა ცხოვრება მკაცრი,

გადამბუგველი დიდი ხანძრები;

ვის ცხენიც აღარ ერგო ბეხრეკი,

და ამაოა თითქოს ჩავლილი...

ხეს აღარ შერჩა ვისთვის ნეკერი,

მინდვრებს მდელო და ბაღებს ყვავილი;

ის მწუხარებით ზეცას გასცქერის, _

იქ ინადიმებს, იქ იბრწყინვალებს,

ზღვად დაგუბული მისი ნაცრემლი,

გადაშლილია უფლის წინარე;

ხსნა მისი მხოლოდ, მხოლოდ იქ არის,

იქ უმღერებენ და უგალობენ,

სადაც სწყალობენ ნათლის მფინარებს

და უცოდველებს სადაც სწყალობენ;

ის წავა, წავა! _ დილის ნისლივით,

აიკრიფება და განათდება

და ვერ მიწვდება გველის სისინი,

ზიზღი, ღალატი და ანათემა;

ვერ შეაშფოთებს ომის ხანძარი,

თარეში ცრუთა, ჯგლერთა ცბიერთა,

მან ააშენა მისი ტაძარი,

მისი ტაძარი და მიღმიერთა;

მაგრამ ხმა მოსდევს _ ხმა უზაკველი, _

ჯერ, ჯერ ადრეა, _ აქაც ინათებს,

მართლაც ღვთისშვილის თუ გაქვს სახელი,

ნუ, ნუ დაგვტოვებ და იკიანთე!..

რომ, მიწას ჭრელი ქათიბი ეცვას,

ჰქონდეს მარადის ტანჯულთ და ურვილთ,

ეს ზეცა _

ახლა ლურჯად რომ ფეთქავს,

ეს ვარდი _

ახლა წითლად რომ ღუის!..

დუმილი

ჩვენ ვდუმვართ,

როცა დუმილს უნდა მოეღოს ბოლო,

ვაკეთებთ,

რისი გაკეთება ფუჭია მხოლოდ;

ვუყვარვართ მაშინ,

როცა სიტყვას არა აქვს ფასი,

ზოგჯერ კი...

რასაც ვლაპარაკობთ _ მისივე არსი,

არ გვესმის არცერთს

და ქაოსი იკიდებს ფესვებს,

და გაოფლილნი ბუნდოვნებით, მივიწევთ ესე!

საითკენ? _ უწყის, უწყის მიწამ ყოვლის შემძლემან?!__

...თუ იცის, მაშინ

ყოველივე ქარს არ ეძლევა:

დარჩება ერთი, _

დავიწყების სუდარას აგვიხსნის,

დამარცხებული არ ვიქნებით,

თუ ყველამ მარცხი გაიგო ჩვენი..

მერე... გავყვეთ ბრწყენს და მის ნებას,

დამარცხებაა ზოგჯერ კაცის დიდი ღირსება!

სხვა, რა გითხრა, სხვა...

ჩვენ აქითა ვართ,

ისინი _ იქით...

მათ არ წვდება

ჩვენი ყვედრება

წვა და ფიქრი,

ლიქნი და ზიზღი...

ჩვენ აქითა ვართ,

ისინი _ იქით...

იქით...

აღარ არის გოდება,

უეცარი

ცეცხლის მოდება,

ვალი და ვახში,

ამაო კამათი,

ქიში და შამათი,

გლოვა და ვაი-ვიში...

იქით...

სიმშვიდეა!..

დრო გყინულია

და არ იძვრის...

არავისი არ ისმის

ჩქამი, ნაბიჯი.

არც «ლილეა» და

არც «ლალე»,

არც «ჩელა» და

არც «ჩონგური»

არც ცრემლებია

მწარე,

არც ერთგული და

არც ორგული...

ისინი იქით არიან...

სადაც

არც ბარია და

არც მთა

არც წყარო და

არც ჩიტი,

არც დაბადება და

არც სიკვდილი...

უმეტესობა იქითაა. _

იქითა მხარემ

ჩაიკრიფა.

სიცოცხლემ

გულ-ხელი

დაიკრიფა _

არაფერი ქნა, _

ქვა ააგდო და

თავი შეუშვირა,

სიკვდილს

დამბადებელი

აღარ შეუშინა.

მანაც _

ხრა და ხრა!..

ჩვენ აქითა ვართ,

ისინი _ იქით...

_ სხვა?!

რა გითხრა, სხვა,

გრძელდება

წამება და წვა...

იქით?! _

აწ, რაღა გვიკლია,

_ გადაშლილი?..

_ იესოს წიგნია,

წიგნზე რიგია _

ზღვა ხალხი

გროვდება, ზღვა!..

მზენაკლული დღე

სიმშვიდისაკენ მიდრეკილი

ამ ვანსა შიგან

ჰზი!.. _ ერთადერთი,

ნუთუ, აღარ მოგწყინდა ხედი?!

ჩანს:

ბორცვი,

ჭალის ნაწილი და

ზეგანზე ჯიხა,

ზეცის ნაგლეჯი _

ლილოჭრელი ეგრისის ქედი;

სხვა არაფერი...

ყველაფერი ამ ჩარჩოს გარეთ

არსებობს,

ცოცხლობს,

ზრიალებს,

ბორგავს...

ათასში ერთხელ

შემოაღებს მავანი კარებს

და მასაც მეტად

საწუხარი ამბები მოაქვს.

იტყვის:

მრავალი გაცამტვერდა

ოჯახი ჩვენი,

მზენაკლულ დღეებს

დასასრული

არ უჩანს, ძამი, _

გასათლელია

არაერთი

მაღალი ძელი,

გასაკრავია

არაერთი

უგვანი თავი!

ასე ცხოვრება

ვის სჭირდება,

ამდენი ურვა,

ეს ყიამეთი, _

მოზარენი და უბედურნი,

სწუხხარ! _

გამტყდარა

ყელყარყარა, მაღალი სურა

სიცოცხლისა და სიყვარულის

წყალზე შედგმული.

მაგრამ ამ წუხილს

ვინ რად აქნევს,

ან სიტყვა წყობილს,

როცა ბობოქრობს

ქვეყნად ხანძარი,

გახვეულია

ახლა კვამლში სენაკი, ხობი,

ერთმანეთს ტყვიით

დარევია ხალხი არჯალი!..

სიმშვიდისაკენ მიდრეკილი

ამ ვანსა შიგან

ჰზი! _ ერთადერთი,

ნუთუ, აღარ მოგწყინდა ხედი,

ჩანს: ბორცვი,

ჭალის ნაწილი და

ზეგანზე ჯიხა,

ზეცის ნაგლეჯი _

ლილოჭრელი ეგრისი ქედი.

სხვა არაფერი...

და... წრიალებ სევდით ნაფერი,

გასცქერი სარკმლით

ჭალას,

ზეგანს მწვანით მოფენილს,

აქ ბაასს ახლა

იქ ტყვია სჯობს,

სხვა არაფერი _

გაცივდება და...

დამშვიდდება გული ოხერი!

გადარჩენა

სხვა სივრცეების,

სულ სხვა დროის მოვლენ მგზავრები,..

შურსა და მტრობას,

უსამანო ზიზღს და გოდებას,

ათას ნიაღვარს,

ათას გრიგალს, ცეცცლთამოდებას,

ჩვენ გადავურჩით...

დღე წყნარია დღეს შედარებით.

მოვლენ მგზავრები

ცა ექნებათ მაღალი, ლურჯი,

იცხოვრონ მშვიდად! _

ო, განმრიგე არსთა სწყალობდეთ,

ნაგრიგალარი,

ნაცეცხლარი,

ნანიაღვრალი.

არ შეეტყობა ამ არეებს,

ამ მიდამოებს.

სხვა ბედისწერის,

სულ სხვა დროის მოვლენ მგზავრები...

გალობს, ასე გალობს...

ყანა-ყანა გალობს,

ჭალა-ჭალა გალობს, _

ერთი თავის უფალი

ბეწო ჩიტი ვარო,

არც ვთეს, არც ვხნავო,

ჩიჩახვსავსე ვარო,

მეტი საქმე არა მაქვს

გული გავიწყალო...

გალობს ასე გალობს,

კი არ ენამწარობს,

წყალს დალევს და ცას ახედავს,

გადაუფრენს ყანობს;

გალობს, ცაში ვარო

უნდა გავიხარო,

ეს ზეცა და ეს მიწა,

უნდა დავიფარო;

სულ დაფრინავს ხე-ხე,

სულ ტოტი-ტოტ დაფრენს,

სადაც უნდა გაშლის,

პაწაწინა აფრებს.

_ არც ვთეს, არცა ვხნავო,..

სხვა? არაფერი, ციცია!

შენ ცას რომ გასცქერ ის ცა,

ცის ნაწილია, ციცა, _

როგორც ეს ხედი მაღალ

ფანჯრით რომ მოსჩანს ახლა,

ნაწილი არის მიწის,

ნაწილი არის ციცქნა!..

სხვა? _ არავისი ვიცი,

სხვა, არაფერი, ციცა!

ეგ ლაჟვარდები არ ვიცი,

ეგ ვარსკვლავები არ ვიცი,

ჩემი სიცოცხლის ხალისი,

ეს ნაწილია, ციცა!

ნაწილი ამ ცა-ცარგვალის,

ნაგლეჯი ლურჯის და მწვანის

ნაზავი ერთი ციცქნა!

სხვა? _ არაფერი ციცია,

სხვა, არაფერი, ციცია!..

ბედნიერება

თუკი სიცოცხლის უფლების ძალით

არ შეგეხება ურწმუნოს ხელი,

თუკი გექნება პური და წყალი

და ცოტაც... სულის საზრდელი ჩვენი;

თუ ღვთის რჩეული არა ხარ, ჯიმა,

სამოციქულო არ გიდევს გზები,

თუ ღამეს მშვიდი მოჰყვება დილა,

ჩვეულებრივად წვები და დგები,

თუ გარეშემო გიფარავს მშვიდი, _

სადმე ტყისპირას ჯალაბით სახლობ,

ჩვეულებრივად ხნავ, თეს და იმკი,

ჩვეულებრივად ხარობ და ნაღვლობ;

არ გემუქრება კაენის ცოდვა,

და ყველაფერი თავის გზით მიდის,

არ გეკარება ჰეროდეს მოდგმა, _

ბრბო უსულგულო, ხარბი და ფლიდი;

ხარ ბედნიერი... ეფერე შექმნილს,

თუ არ აგიწვავს სამსჭვალი ნეკნებს,

არ დაგედგმება გვირგვინი ეკლის,

მორჩილს, თვინიერ მომკელს და მთესველს;

თუ არ დაგივლის სხეულში ზარი

და არ იბღავლებს შენს თვალწინ პეტრე,

მამლის მესამე ყივილზე ძალით

არ გამოიწევს პილატე შენსკენ.

ბედნიერი ხარ... სიცოცხლის ძალით

თუ არ გეხება ურწმუნოს ხელი,

თუკი გექნება პური და წყალი

და ცოტაც... სულის საზრდელი ჩვენი.

შენ, სიყვარულის უჭკნობი ვარდით

შენ _ სიყვარულის უჭკნობი ვარდით,

ამოთოვლილი სონატის ტოტით,

აბრეშუმივით შრიალა ნოტით,

მე _ ჩემი მკვრივი, ყურუმი დარდით;

შენ _ უტკივილო, ნათელი შუბლით,

მოსილი მუდამ მწვანით, ცისფერით,

ხან მიწიერი, ხან ცისიერი,

მე _ გასანთლული, მაგარი ყულფით;

მე _ განუწყვეტლივ ნათლისკენ ფრთონვით,

ქარით და წვიმით, ყინვით და თოვლით,

განუწყვეტელად ოთხ კედელს შორის,

განუწყვეტელი წვითა და თრთოლვით,

შენ _ ნათლიერის მოსთვლილი სთველით,

მე _ დასაღვრელი ასმაგი ოფლით,

ასმაგი სისხლით, ასმაგი ცრემლით,

შხამი ვსვა, ერთი სხივისთვის გობით.

შენ _ სიყვარულის უჭკნობი ვარდით...

სურათი

გადაიხაფრა ამინდი ძუკნა...

ტყრუშულის ღობეს ამაგრებს კაცი,

ჭიშკართან დგანან ქალი და ბავშვი,

და მოშორებით ძაღლიც მათ უკან...

უსტვენს ბეღურა ჭახჭახებს შაშვი:

შრება მინდორი, ფიცხდება შუკა,

გამოიხედა ოჯახმა თვალში,

გადაიხაფრა ამინდი ძუკნა...

* * *

აღარ მინდოდა დანახვაც მისი...

ახლა განგებას მადლობას ვუხდი,

რომ მომეკვეთა ორივე მუხლი,

და გადამეკრა ბინდი თუ ნისლი...

რომ ვარ ცოცხალი...

მის სიცილ-კისკისს,

ისევ რომ ვგრძნობდი, ისევ რომ ვთრთოდი,

რომ გაყინული არ მქონდა სისხლი,

გულად არ მედო სამარის ლოდი...

აღარ მინდოდა დანახვაც მისი...

წილკანი

წკვარამ ღამეშიც ადგას ნათელი,

აღარ იღვიძებს თუმცა პატრონი,

აქ ლოცულობდა ძველი ქართველი,

ამოდიოდა მუხრანთ ბატონი;

აქ მოდიოდნენ კირითხურონი,

გუთნისდებები და მეზვრეები,

ამა ნათლისა შეკრეს ულონი,

ამა ნათლისა იყვნენ მძევლები;

ჰო, ყიამეთშიც ელავს გუმბათი,

ალბათ ღვთისმშობლის ადგას ნათელი,

დამიტანს დარდი გულისგულამდი, _

სად გადიხვეწა ძველი ქართველი;

აქ... შუაღამეს რამ მომიყვანა, _

რა ძალამ ნეტავ, ან რა თილისმამ,

ანდა ტკივილი, ერთი იარა,

რამ მაქალაქა, რამ მათბილისა.

ეზოში ფეთქავს მწვანე და ლურჯი...

ვითომ თავისი ცხოვრება ცვალა...

ეზოში ქალი არწყულებს ყვავილს,

მან გამოგლიჯა ამ დღეებს მწვანე..

წითლად და ლურჯად მცენარე ჰყვავის...

განა მე ფერი არ მიყვარს ლურჯი,
წითელი... მწვანე, _ ხასხასა სულ მთლად,
ვხატავ და... მხოლოდ შავს იღებს ფუნჯი, _
ზურგი მაქცია მწვანემ და ლურჯმა...

განა მე აღარ მომწყინდა შავი, _
თეთრი და შავი... შავი და თეთრი...
(ის ყოველ დილით არწყულებს ყვავილს,
თუ თავს იტყუებს, იმისიც, ერთი...).
თუკი ვერაფერს ვერ აღწევს ამით _
(და თუ ეს იცის, ამ ცქნაფა ქალმაც),
მე მირჩევნია თეთრი და შავი, _
არ მომატყუოს გულმა და თვალმა.
ეზოში ქალი არწყულებს ყვავილს...
ვხატავ და... ისევ შავს იღებს ფუნჯი,
ჟამი-ჟამ გარეთ გამირბის თვალი _
ეზოში ფეთქავს მწვანე და ლურჯი...

* * *

ამ სტრიქონებში კვნესის ჩონგური
და სამეგრელოს ხედები მოჩანს,
ჩანს ხავსიანი ციხის ქონგური,
მამის ვედრება და დედის ლოცვა;
ო, გული მარად მზეს დანატრული,
და სული, სული მარად ვნებული,
მთვარის კიანთი ჩანს გაბადრული,

ცას ვარსკვლავები შეშხეფებული;

აქ შარავანდი ადგას ყველაფერს,

ამ ყვავილეთის ასე გაფენას,

აქ ყოველივე თრთის და ელვარებს

ეს სტრიქონები მათი სარკეა;

ამ მიწას ბევრი ჰყავდა ლომგული,

კაცებს ეჭირათ მკლავებით ეს ცა,

აქ დასამარდა ქვეყნის ორგული

და დააწაფეს მომხვდური ქედაფს;

ამ სტრიქონებში მღერის ბაია,

ნუგეშინი და ჩვენი დიდება, _

დღეს მირიადი ჭიამაია

ცას ვარსკვლავებად დაეკიდება;

ის ხომ სათუთი ჩვენი ნარგია,

მასში ელვარებს სული მედეას,

მისია, მისი, რაც კი კარგია _

დედის ლოცვა და მამის ვედრება.

სად არის, რომელ ციხის ნანგრევთან,

რომელ სამანთან, რომელ გოდოლთან,

ჯარი, რომელიც ურდოს არბევდა,

მითხარით, რომელ ბჭესთან მოგროვდა;

მითხარით, რომელ ტბასთან მოვიდე,

ან რომელ ველთან შემოგიერთდეთ,

ვხედავ, ცოტნეებს, ვხედავ ჭყონდიდელთ,

ვხედავ, უფალი რომ არ გვიმეტებს;

მღერის, ბაია, იღვრება ჰანგი,

იისფერ ეთერს გულისხმა მიაქვს,

მისია, მისი, რაც კია კარგი,

ეს ოქროს ბაღი, _ ეს ოქროს წვიმა;

მღერის ბაია, ტკბილი ბაია,

ნუგეშინი და ჩვენი დიდება,

დღეს მირიადი ჭიამაია,

ცას ვარსკვლავებად დაეკიდება.

ოტია იოსელიანის პორტრეტისთვის

_ შინა ვარ და ფესვებს ვითვლი,

_ გარეთ ვარ და ფესვებს ვითვლი,

რა გზაზეც არ უნდა ვიდგე

ყველგან,

ყველგან, ფესვებს ვითვლი;

რომ შემეძლოს,

რომ ვიცოდე,

რომ მესმოდეს,

რომ მახსოვდეს...

_ ტოტებს, ფოთლებს და ყვავილებს? _

მე არ ვითვლი არასოდეს.

***

ბედისგან ასე უარყოფილი, _

ვარ ბედნიერი და კმაყოფილი,

რომ ისევ მოსდევს ზამთარს ზაფხული,

რომ ამაოა მარტის ფაფხური.

ვარ ბედნიერი და კმაყოფილი,

მზის ალმასები აცვივა მაღლარს,

შარშანდელივით რომ ბრწყინავს ახლაც...

კვლავ რომ იქნება ხე გაფოთლილი.

მოლოდინი

დღეს ძმა მეწვევა, ძმაჲ ალალი,

სავსეა ჩემი ჭური, მარანი,

მო, აზაფხულე ჩემი დარანი,

მაქვს სიხარული დაუფარავი;

მე ვარ თამამი, მე ვარ თამამი, _

სავსეა ჩემი ჭური, მარანი;

მო, გაგვიშალე სუფრა, ნინუცი,

დღეს ძმა მეწვევა, ძმაჲ სიურჩე,

არის მარადი რამ მშობლიურში,

რაღაც მაღალი ამსოფლიურზე;

მისი სახლია, მისიც, ალალი,

მო, აზაფხულე ჩემი დარანი;

ჩემი ძმა არის, მე ვარ, აბელი,

ის კაენია, დარდი მეორე,

ალადასტური არის, კაბერნეც,

დღეს რომ დავლოცოთ ერთიმეორე;

მო, გაგვიშალე სუფრა, ნინუცი,

არის მარადი რამ მშობლიურში!..

ჰო, ჩვენ ძმები ვართ... ძმაო, შემოდი,

მამის სახლში და მამის ეზოში,

მე აქ ყველაფერს ტყვილა ვჩემობდი,

დღეს მისხალ-მისხალ გავყოთ მე და შენ,

გელოდი, მართლაც გულით გელოდი,

მოხველ მშვიდობით? _ შევსვათ ზედაშე!..

ო, შენ კი არა, მეც ვარ უძღები,

ბევრჯერ ვყოფილვარ ელდა უცები;

გინა მამისთვის, გინა სხვათათვის,

გამიგზავნია წყენის ბარათი;

მოხველ მშვიდობით? _ მამის შვილი ხარ,

ჩვენ ერთი ძირით ორი ტოტი ვართ,

გულში ჩაგიკრავ, შენსკენ მოვდივარ,

არა ცერად და არა ირიბად...

ვიცი, მოგწყინდა მარტო ყიალი,

და ეტლით ჩქარით გვიახლოვდები.

მე უკვე მესმის ეჟვანთ წკრიალი,

ალბათ არასდროს არ დაგვშორდები,

აჰა, ცად მტრედმაც შეკრა ირაო,

მამის სახლად და მამის მიდამოდ,

ეგებ შენც სული დაიბინავო.

...ისეც და ასეც...

ქეთის და ნათიას!

მე ვფიქრობ ჩემთვის, რა უნდა ვიყო,

სადარი მღილის, სადარი მწერის,

მე ვფიქრობ ჩემთვის და... ჩემს თავს ვჯიბრობ,

რომ არ დაგაკლდეთ თმის ერთი ღერიც!

მე ჩემს თავს ვჯიბრობ და თქვენთვის მომაქვს,

მე ვფიქრობ, მომაქვს მრავალი ფერი,

მე... ვფიქრობ, მართლა ხარი ვარ, ლომა

და არა მღილი, და არა მწერი;

მე ვფიქრობ ისეც, ასეც და ისეც...

მე ვდარდობ თქვენთვის, ვიწვები თქვენთვის,

თქვენა ხართ ჩემთვის, ღმერთი არ მიწყენს _

ხატი და კერპიც და კერპზე მეტიც!..

რაღაც იცვლება

რა გველოდება, წინ რა ხანაა,

რა ფერის, რა ცის, ან რა მხედრების,

ო, დღეს მდინარე რა კამკამაა,

რა ჭვირვალია დღეს ეს ეთერი;

ან ეს ფრინველი რარიგ მალია,

გულიც, გულიც სცემს სულ სხვა ხმაურით,

რომ ვერ ვისვენებ, რისი ბრალია,

აქამდე სუსტი და უსახური;

რაღაც იცვლება, რაღაც, უთუოდ,

ეგებ თენდება, ეგებ... მთავრდება, _

ბნელი თავდება ეგებ, უგულო

და მზე ამოვა გირლიანდებად.

სხვა რა იქნება, რა უნდა იყოს

ეს მოძრაობა, ეს ამერცხლება,

რად დადგა ჟამი სამუსაიფო,

რად აღარ მესმის კაცთა ყვედრება;

რაღაც იცვლება, რაღაც უცილოდ,

გული მზევდება და იწმინდება,

ამ მერცხლებს მინდა ახლა ვუცქირო,

და მეც მათსავით ფრენა მინდება.

ეგებ... შენ იცი, უფრო განიცდი,

მეტად ჩახვდი და მეტად იგრძენი,

ეგებ... ყოველი ხდება თავისით _

თავს დაგვდგომია ჟამი ფხიზელი.

მხედარი

ვინ შემიკაზმავს ცხენს,

ვინ ამილესავს ხმალს?! _

მოსასწრებია დღეს,

გვიან იქნება ხვალ...

ვინც უნდა იყოს ის,

რომ ამილესავს ხმალს,

ვხდავ, თეთრონზე ზის, _

აქით მაწონებს თავს;

ამბობს, რომ გველის ცხუმი,

გვმართებს სიმტკიცე რვალის,

გვეყო ამდენი რული _

მოსახდელია ვალი;

ამბობს... უბელო რაში,

მკერდით მოაპობს ქარებს,

რა გამაჩერებს სახლში, _

წამიყოლიოს ბარემ;

ჩაბღუჯული მაქვს ვადა, _

ცა მეტადაა რუხი,

ერთ ომს აიტანს ნაღდად,

ჩემი ბებერი მუხლიც.

თავადვე ვლესავ ხმალს,

თავადვე ვკაზმავ ცხენს,

გვიან იქნება ხვალ,

მოსასწრებია დღეს;

დაკვრა ნაღარა-ბუკის, _

აკანკალება მტრის,

ციდან გადაყრა ღრუბლის,

გამობრწყინება მზის.

მურმან, დაგიფაროს ღმერთმა!..

მურმან ჯგუბურიას

მშიერ მურმანს ვხვდები როცა,

მწყურვალ მურმანს, მაგრამ გზიანს,

ცა და მიწას როცა ლოცავს,

მისთვის გასაყოფელს მნიად;

როცა ლექსი ულოდ მოაქვს,

სინათლისგან შეკრულ ულოდ,

რომ კვლავ ცბიერ, მზაკვარ დროჟამს

სულით გამოეზაფხულოს;

მაშინ თუმნიანი მინდა,

ჭიქა ღვინო, ყუა სიკვის,

რომ მას ისე, როგორც წმინდანს,

აღარ შერჩეს მწიკვი იჭვიც;

ამ ქვეყანას ნეტავ რა სჭირს,

თავის შვილებს რომ ვერ უვლის,

ფიროსმანს ან ბარათაშვილს,

როგორ ვერ აჩვენა გული;

ვით დაკარგა მაჩაბელი,

სხვა მრავალი... ზენა ქართა,

რაღა ჰქონდა გასარკვევი,

გულის სითბო ვით დაკარგა.

რატომ მტრობდა, ნუთუ მართლაც,

არ ესმოდა, არცა გრძნობდა,

ანდა, როგორ ზიდოს _ ჯვარცმა,

ჭავჭავაძის დიდი ცოდვა.

მე არ ვიცი, _ სუნთქვა მიმძიმს, _

რა სურს, ან რა მიზანს მისდევს,

ან ნათელი რად სძულს ნიჭი,

რითაც ეკეტება სივრცე;

მიწამ შემიჭამოს პირი,

(აჯობებდა მიწად ვიწვე) _

სამშობლოზე, რომ ვთქვი ძვირი,

ვიცი, გულის გულში მიწყენ;

მიწყენ, მაგრამ რა ვქნა, მურმან,

როს ქვეყანა სტყუა _ ყრუა,

როცა წყალს და მეწყერს მიაქვს,

მადლიანი რამე თუა;

როცა არ ჩანს მისი დილა,

ცის ღიობი არ ჰგავს ღიობს, _

ზეცას ერთი მუჭი ლილა,

რომ როგორმე ააბნიო.

ვიცი, მეტყვი! _ თმენით, თმენით,

წამებითა, წვითა, ტანჯვით,

წერით, სიმართლისა წერით, _

აქაც, იქაც ღმერთი განსჯის;

თვისი ღვთაებრივი სმენით,

თვალით, ღვთაებრივი გონით,

რატომ ესე? _ არა ერთი

ქართველს მოუგია ომი.

კი ბატონო!. _ ღირსეული

კაცი ხარ და მართლაც ზე ხარ,

მაგრამ, მურმან, დღეს სხეული,

ლამის გულზე შემომეხა;

ეშმა მამულს შესეული,

ყველა დავინახე ერთად,

მურმან, ბრაზი მეყვსეული?!..

მურმან, დაგიფაროს ღმერთმა!..

მე, მართლაც...

სიმართლეს, აბა, როდის აქვს პური,

აგერ მშივრებმა მოვხარშეთ ღოლო,

თუმც უნათლესი ჩვენია ბოლო. _

შეინარჩუნე ბოლომდე გული;

ცხოვრება იყო მწუთხე და ძელგი, _

მაინც მრავალი ჩვენ დავრგეთ ნერგი,

თუმც უშენებდნენ ერთმანეთს ძეგლებს,

აბა, სიმართლის ვინ ნახა ძეგლი;

მართალს იტყვი და... გაქრება პური,

სანატრებელი გახდება ნავთი,

მე, მართლაც დედა ვატირე მათი,

გამომეჭედა ტყუილით ყური.

სამშობლო

ხვავი მრავალი მედგა,

ოქრო წვებოდა ცამდი _

სევდა, მსოფლიო სევდა,

დარდი, მსოფლიო დარდი;

თუმცა, მეოხად, მწედა

უფრორე მასზე მყავდი _

სევდა, პატარა სევდა,

დარდი, პატარა დარდი.

ეს, ცა ვრცელი...

ღვთის ნებაა,

ღვთის ნებაა,

ეს თუ ბედნიერებაა;

ეს ცა ვრცელი,

ცა მაღალი, _

ულურჯესი მინანქარი.

ველები და ახოები

ტბები _ სავსე ხელადები,

ჩვენი სამოსახლოები,

ფერადები...

ფერადები...

ცები,

ლურჯი, ლურჯი, ლურჯი ცები,

ვარსკვლავები...

ვარსკვლავები...

პაწაწინა

მბრწყენი თვლები, _

ცაზე გამონაყარები.

ლიანები...

ლიანები...

მისი ანამზიანები,

ტყე-ტყე _ კორდი,

ტყე-ტყე _ ვარდი,

ხე, ხე, _ სუროს ხვიარები;

ველები და ახოები,

ტბები _ სავსე ხელადები,

ჩვენი სამოსახლოები

ფერადები... ფერადები...

ცები,

ცები,

ფრთები

ფრთები,

გზები...

უნათლესი გზები,

ოქრო-მოსაგერისები,

ხმები,

მოგალობე ხმები;

მივსდევ ყანებს,

ჭალებს, სერებს,

და გიკოცნი

თვალებს, ხელებს,

ვეფერები,

როგორც ქარი,

შენს თმებს ათასს,

ათასფერებს.

ცები,

ცები,

ცები,

ცები,

ვარსკვლავები...

ვარსკვლავები...

პაწაწინა

მბრწყენი თვლები,

ცაზე გამონაყარები;

ანათებენ,

ანათებენ...

ბრწყენენ,

მთელი ღამე ბრწყენენ,

სხედან ცად და...

ღაღადებენ

ჩვენს საზიდარს

როგორ სწევენ...

შუქი,

შუქი,

შუქთა ღვარი,

ცა?..

ცა აღარ იყვედრება,

წაიფარებს საბანს ქარი,

მთვარე ციდან იხედება.

შარა-შარა,

ყანა-ყანა,

მინდორ-მინდორ,

ჭალა-ჭალა.

როგორ გამახარა, როგორ,

გოგო-ბიჭის დანახვამა.

ამ ყიამეთ ღამეში

ამ ყიამეთ ღამეში

ცად ისე ბრწყინვალებენ შენი და-ძმები,

თითქოს აქ არაფერი ხდება...

გადაიფარონ ღრუბელი მაინც, _

სახეები ჩაიმალონ,

როცა ცრემლი მდინარედ გდის,

სისხლი ზღვად დგება.

მაინც რა აცეკვებთ,

ვით უთმენენ დაირის ხმას,

როცა შენს დამეწყრილ სხეულს

ერთი მზის სხივიც არ ხვდება!

წამოდექი, შე, ბედკრულო, წამოდექი,

ხომ ხედავ შენთვის არავინაა!..

შენს სახატეს ლამის დაემკვიდროს

უმეცარ თვალთა სიველურე, _

ადექი, ადექი და ირიჟრაჟებს!!!

გაიხსენე შენი წარსული,

შენი კირი, ნაგები კოშკი,

შენი ხოგაი და შენი ჯურხა, _

შენი ობლად დაყრილი ძმები...

წინაა შენი აღმართი

და აქაა ჯვარი, რომელიც

მხოლოდ შენს ტანზე და მკლავებზეა

დაზომილი.

წამოდექი!..

დაუბრუნე სიყვარული მსასოვართ, _

ეს მთები, ტყეები რომ ებოძა,

მდინარეები, ველ-მინდვრები...

გამოიტანე სული ძილ-ბურანიდან...

ხელს არავინ შეგაშველებს,

არც არავინ იტყვის «ეყოფა»!

მძიმეა, მძიმე შენი აღმართი, _

შენი არჩევანია ასეთი _

სხვას სამდურავს ვერ ეტყვი!..

ადექი, ადექი და ირიჟრაჟებს! _

ციდან ცაზე გადაფინე ნათელი

და მის ქვეშ ისევ გაატარე მეოცნებენი.

თაღს მიღმა გრაალია!

* * *

გამოიკეტნენ თბილ ბინებში,

არავინ არ ჩანს,

ყინავს და ფეხქვეშ გაყინული

თოვლი იმსხვრევა,

წასულა სხვაგან... ამ ხეივნის

ლიბა და ფარჩა,

იგი დავრდომილ, დროულ კაცებს

თუ ესიზმრება;

ჰოი, განგებავ, დე, დაუშვი

ფარდები ბინდის,

და გაამეფე ყურუმი და

მკაცრი სიწყნარე,

ანდა, უეცრად გაზაფხულად

იხუვლე ირგვლივ,

რომ შესამჩნევი აღარ გახდეს

ჩემი სიმწვანე.

უზაკველი ჭერი

მერაბ კოსტავას ხსოვნას

ვინც, ვინც იარა,

ცოტნეს სულით ეკლიან გზებზე,

ვინაც შეიძლო შესდგომოდა

ცა დაბალს მხრებით,

ათენ-აღამა ვინაც

ქართლის მყობადზე, ბედზე,

წევს კუბოში და

მის წინარე თავდახრით ვდგებით;

როგორ დამცხრალა

მობუბუნე ლომური მკერდი,

მკერდი სამიზნე, _

ურო-კვერით გამორკინული,

როგორ დამშრალა,

სიყვარულის წმინდა ბინული,.

ო, საქართველო,

შენი კვლავაც მძიმეა ხვედრი;

ერის სატკივარს მოუმრავლა

რომელმაც მრევლი,

თავისუფლება

ვისთვის იყო გულის სამხილი,

ვისიც წამითაც

არ მოხრილა მაღალი ქედი,

მთელი ცხოვრება

მოგვყიოდა «შეიბ მახვილი!»

წევს კუბოში და

დედებს ცრემლი გაუშრეთ ლამის,

ნუთუ ქართველის

ბედისწერა ასე მწარეა,

ვიღაც რუსთველზე

მოზლუქუნებს, ხარივით ბღავის, _

რომ საქართველო,

სატანური ტანჯვის მხარეა;

ძნელია, ძნელი

ბაგეს დასცდეს სიტყვა ნუგეშის,

რადგან მან იცის,

წამებაა ქართლის იღბალი,

მან იცის დღენი რომ მოელის

სულშემგუბველი,

და მირიადი

გადაუვლის კიდევ გრიგალი;

ო, საქართველო _ გალოკილო

მრავალჯერ ხაძრით,

სიმართლე სანთლით

ქვეყანაზე გიძებნა ვინაც,

არ მოკლებია

ვის შენსავით ქარი და წვიმა

და სამამულე

უწმინდესი ცრემლების ხარჯი.

არარის იგი,

სანანური ქვითინებს დედა,

ვინაც

აღზარდა საქართველოს უებრო მცველი,

არ არის იგი, _

უცაბედი დაგვეცა ელდა

და სინანულის

უზაკველი ამაღლდა ჭერი.

აქედან:

ქართლის აჯაგრული იშლება ხედი,

აქედან:

მალე საქართველო დაუსვამს წერტილს

მონობას, მალე

ნიაგარად მოსკდება იგი,

თავისუფლების, ო, სანუკვარს

დაიდგამს გვირგვინს:

აქედან:

ქართლის აჯაგრული ხედი იშლება...

სიზმარი

ბოლოსდაბოლოს რაა ცხოვრება, _

ერთი შეხვედრა და განშორება,

ერთი სიზმარი და შეკივლება,

ერთი დათმობა და შეცილება;

ერთი მოთმენა უსაზღვრო წყენის,

ერთი ცრემლისღვრა მდაღველის, მწველის,

ერთი კვირტივით დასკდომა ნერვის,

ერთი მოქნევა პირბასრი ცელის;

ამონათება მზის ერთადერთი,

დაგროვებული წვეთ-წვეთად შხამი,

მერე უკვალოდ გამქრალი ხედი, _

შავი და თეთრი, თეთრი და შავი...

თუმც კარგად უწყი... როგორ არ გესმის,

ახლა ღამეა, აკითხავ სენაკს,

ჯდები ბუხართან და იწოვს ცეცხლი,

სხივმოისარი თვალების მზერას;

უპოვო აზრი ცხოვრებას ვინძლო,

თორემ ასეთი სიცოცხლე შენს მტერს,

გადახეხილი თითებით იძრობ,

ფეხისგულიდან შხამიან ეკლებს;

ყველას, ყველაფრის შენ გადევს ვალი,

ზვიადის, ლაჩრის, მონის თუ მეფის,

ლურჯის თუ თეთრის, წითლის თუ მწვანის,

უკუღმართი თუ წაღმართი გზების;

და იხდი, თუმცა რას გადაიხდი,

იმდენს გავალებს ცხოვრება მკაცრი,

შლეგი და ხარბი, ბრიყვი, ღარიბი,

მართლაც ცხოვრების აზრიან აზრით;

მაგრამ... იცი, რომ შენი ვალია,

ჯვარცმა, გოდება, თმენა, კირთება, _

სიცოცხლე ჩვენი ხომ სიზმარია

და ულმობელი ცეცხლისკიდება.

* * *

ცაში ანგელოზებია,

ცაში მზე და ღმერთებია,

რატომ გაგიოცებია,

გული დაგიფეთებია;

ცაში ყველაფერი არის,

ცაში ცისარტყელებია,

უკვდავების წყალი არის

თავთუხების ველებია;

ცაში ჩემი მეურვეა,

ნუგეშინი ცაში არი,

ცაში ჩემი მეუღლეა, _

ჩემი ელდა უეცარი;

ცაში ანგელოზებია,

მიწად გული დამიმძიმდა,

ნუღარ გაგიოცებია,

თუკი ცაში, ცაში მინდა...

უდარდელი ჯიში

აღარ არის წიგნზე რიგი,

არც მოცარტი, არცა გრიგი...

არც რუსთველი, არც პლატონი

ქართლმა აღარ აბატონა, _

წიგნში ჩარჩა გალას თოვლი

მითხრა ერთმა ქალბატონმა;

ვდარდობ დროის დანატორი.

ვწუხვარ საქმე ამად როა;

იგმანება ყველგან სივრცე, _

ლამის აღარ დარჩეს ნიში, _

ატრიალებს ძლივას კისერს

ჩემი უდარდელი ჯიში;

მუჭში მომწყვდეული ჩიტის

გული თრთის და ისე მიცემს,

თითქოს გათანგული სიცხით

სადმე მომაკვდავი ვიწვე.

აღსარება

სხვისა არავის არა მაქვს ვალი,

შენი კი ბევრი მმართებს,

შენ მუდამ ჩემსკენ გეჭირა თვალი, _

ჩემთვის ანთებდი სანთლებს;

უაღრეს დღესაც შენა გაქვს ხათრი, _

მხოლოდ შენ დარდობ ჩემთვის,

შენა ხარ ჩემი მფარველი ნაღდი,

აბა, რა გითხრა მეტი;

ამ წკვარამ ღამეს ათენებ ჩემთან, _

ისევ იმედად მყავხარ,

ჩემო ძვირფასო, მინდოდა მეთქვა, _

შენ ქარი ქალი არ ხარ;

შენ ეს ოჯახი გკიდია ზურგზე, _

სახრით გაგიგდო ბედმა,

ეს მერამდენედ მომისწარ სულზე,

ჩემი შვილების დედავ!..

თურმე, რამდენი უნდა გეწვალა,

და რა სასტიკად გჯაბნა...

ცხოვრება ისე მაინც მესწავლა,

როგორც ლექსების ჯღაბნა.

ო, დღესაც ძველი ქარები მხმობენ, _

ჩემი ეს არის ხვედრი,

მე ვენაცვალე შენს გულს და გრძნობებს,

მაგ დარაია _ მერდინს.

გრადაცია

დაუცხრომელად ზეობდა მაღლით,

მთელი ზაფხული ჰყვაოდა ბაღი,

შუქი ღვარული, შუქი ცხოველი, _

აჩნდა ღვთაების ცისფერი დაღი;

ო, გარდუალო! _ დარეკა ზარმა, _

ჟამი დგას ისევ ლერწამთდადრეკის,

ნელა დაყარა ფოთოლი ბაღმა,

თავდება იგი და შენც თავდები,

რადგანც გადის მკაცრი ეს წელიც _

სევდა რამდენი, გვემა რამდენი...

ნატვრის ხეს აღარ რჩება კეწერი,

იმედის ძაფის გამოსაბმელი.

* * *

დამღალა, ქანცი წარიღო,

ელვამ და ჭექამ ცისამა,

მოვარდა წყალი ლანქერი,

პირი ვერ უყო მიწამა;

გადაიარა ღრუბელმა,

არ კი, რომელი ზღვისამა...

გასაუბრება

გული სულ რომ ღია მაქვს,

ალბათ ადრეც შენიშნე _

როგორ მომესალბუნე,

როგორ მომეგვერისე;

რა ცის, რა მზის თვალი ხარ,

რომ აფხაზეთს მიწვევ,

შენთან ყოფნა კარგია,

შე პაწია ბიზევ!

შე, მოცარტის სულისავ,

ბეთჰოვენო, რა თქვი?!..

_ ნუთუ ორ ძმას, ჭირიმე,

შეგვინახე ხათრი;

კელასურით მოფრინდი?..

_ ზღვის სურნელი დაგკრავს,

გსურდა, ალბათ, მორიგი

ნაღმი გაგენაღმა.

გადასერე ეს ცა,

ჯერ ცა გაამთლიანე,

საქართველოს, ბეჩა,

უაქიმე იარებს;

ჩაუტანე აფხაზს,

ჩემი გულის დარდი, _

მომენატრა ნახვა,

სუფრა გულითადი...

აქ...

აქ შემაგებე, უნათლესო, ამ მთებში რიჟრაჟს, _

როგორ ინათებს ჩემს მამულში, ჩემს საძვალეში

დიდი ქალაქის მოხრიალე კვარტალებს მიღმა...

აქ შემაგებე, უნათლესო ამ მთებში რიჟრაჟს,

ჩემი ნატრული ძმაკაცებით, ჩემი შვილებით,

დიდი ქალაქის მოხრიალე კვარტალებს მიღმა

მეუღლე ჩემი დამანახე იაიებით;

ოცდაათი წლის წინანდელი ცისფერი კაბით,

მრგვალი მუხლებით, ზეთიანი პალიტრით, ფუნჯით, _

და მის ტილოზე აყვავილე ფერები მძაფრი, _

მიწაა მწვანე და ზეცა ლურჯი!..

აქ შემაგებე, უნათლესო, ამ მთებში რიჟრაჟს,

ააედემე ეს ხრიოკად ქცეული მიწა!..

აქ დამანახე, ვით დაიპყრობს გარდმოსვლა შენი,

მოწყენილ სოფელს, ამ ჭალაკებს, გაძარცვულ ხეებს,

ვით მოედება მადლი შენი ამ მინდორ-ველებს,

და გაბრწყინდება ისევ ქართლი _ მამული ჩემი.

* * *

ერთი რომ ძერწავს

სწორუპოვარ ქანდაკს, ან, ხატავს,

მეორე ჩორკნის,

მასზე ვერა, ვერ იტყვი მხატვარს;

პირველი აღმა მიიწევა, _

მწვერვალებს ლახავს,

და წამიერი აღმაფრენის

ოსტატი გახლავს;

ბედნიერია ხელთუქმნელი

ნახატით, განცდით...

დგება წამი და...

ავიწყდება მრავალი მარცხი.

პირველის დარად,

ის მეორეც თუმცაღა ცდილობს,

მაგრამ... წამებას აუტანელს,

წყვილობს და შვილობს.

იქნებ დროა...

ცა ვარსკვლავებს იტევს,

მანათობლებს მირიადს,

სულით მდიდრებს სივრცე,

თითქოს გაყოფილი აქვთ;

თავთავისთვის ბრუნვენ,

თავთავისთვის ნათობენ,

თავთავისთვის ზრუნვენ,

და ერთმანეთს ხათრობენ;

აღარც ერთი ზვაობს, _

იხედება გადაღმა,

არცერთს, ჩემო ძმაო,

ღობე აღარ გადააქვს;

ერთმანეთის ხათრით,

გარეთ ბიჯს არ წადგამენ,

უსამართლო ძალის

არ სწამთ, მაშასადამე;

...ჩვენ კი... შურით, ჯიბრით,

გაგვეცალა ქანცი,

იქნებ დროა ფიქრის,

დაკვირვების, განსჯის...

იქნებ, დრო მოზარეთა

აღარ არის საჭირო,

იქნებ, შინ თუ გარეთა

რაც გვაქვს გავინაწილოთ...

* * *

რა მიწა აღარ გაგისკდა,

თავს აღარ გემხო რა ცა,

ბედმა რა აღარ გარისხა,

რა შხამი აღარ გასვა;

გადარჩი! რა, აღარ ვიცი,

მზე გითრთოლებდა ნიშანს,

ძარღვში გიდუღდა რა სისხლი, _

ბზარავდა გულის ფიცარს;

დგახარ ზვიადი ისევე,

შენი სიმდაბლე ვინ თქვა,

მტრები კვლავ შურით გიმზერენ,

ესე გულუხვს და მდიდარს;

ფიცხელ ომებში გიწვევენ,

დიდგორს, ბასიანს, შამქორს,

წყალსა და ხანძარს მიგცემენ

რომ წაქცეული გნახონ;

სიმაღლეს, შენ გენაცვალე,

შენსას შეჰბედვენ ვითარ,

ნატანჯ-ნაწამებს კისერზე

უღელი არ დაგიდგამს;

არ შეეპუე ყაენებს,

ხოთქრებს, ხალიფებს, სულთნებს,

თმაზე უმრავლეს მოძულეთ,

გულქვა მოსისხლეთ, უთვლელთ;

აშენე, ძერწე, ამრავლე,

წერე კვლავ უცხო ფერით.

ჰარალე, ჰარი-ჰარალე,

შენი ჭირიმე, შენი!

დრო

კატია მიროსლავსკაიას

ფურცელი სავსე თუ ფარატინა,

ერთია მისთვის, ჩემო კატინა;

მისი მარადი ხანძრის ათინათს,

გადაყვა დიდი რომიც, ათინაც;

რას არ ატყვია, არ ამჩნევია,

მისი ბუნება რას არ ირეკლავს,

უსასტიკესი, მძიმე ხელი აქვს,

არ ყოყმანობს და არ სცნობს დილემას;

და სანამ იგი გეალერსება

ვარდად აქცია ავლი, ნაცარი,

მოგელექსება, მოგეცეკვება,

გეგერისება სახენაცვალი;

მო, იყვავილე, მო, იკისკისე,

მო, იგიზგიზე, მო, იფეტიშე,

ეს ცა და მიწა მოითილისმე

და არაფერი მოიბოდიშო.

* * *

მე რომ მიყვარდა, სხვას გაჰყვა,

სხვა მოიყვანა იმანაც,

ვინაც პირველმა დაგნავსა,

იქცა სხვა გოგოს იმამად;

უყვარდა... წუთისოელი

ოდნავად გაიღიავა!

შენს გახარებას, ხარება,

ბზობა, აღდგომა, შობაო,

შენთვის არ დამენანება,

ქვეყნად არც ერთი, ობაო,

შენ ჩემო ცისფერთვალებავ

სამყაროს სულის წყობაო!

* * *

მე, განრიდება ყოვლისაგან

უცაბედ მსურდა,

ვით ვიფიქრებდი რომ ცდუნებას

დაღლილი ვძლევდი,

ლიქნი და ზიზღი _

ეს ცხოვრება ისერიგ მძულდა,

მეგონა უკვე ჩემი თავიც

რამ სნება, კეთრი;

ჰა გადავწყვიტე...

შეიცხადეს უცაბედ ვიღაც,

დავტოვე სახლი

და გავრბოდი იმათკენ ბრიყვი,

ვთქვი მეზობელთან

უნიათო სამძიმრის სიტყვაც,

შესანდობარიც

ერთი ჭიქა დავლიე იყი...

ჟინჟღლავდა, მაგრამ

მომეჩვენა ცა იყო სუფთა,

და ავიარე დაბნეულმა

პატარა ფერდი,

დაჩნდა სოფელი _

მიმოყრილი სამოთხის ხურდა,

მოტყუებული, დატანჯული

ადამის ხვედრი.

მე განრიდება ყოვლისაგან

უცაბედ მსურდა,

ვით ვიფიქრებდი, რომ ცდუნებას

დაღლილი ვძლევდი.

შემოდგომის ვარდები

მზე გარდასულა, დასავლისკენ მოიდრიკება

დგება სხვა ჟამი და თვალთაგან ჟონავს ნაღველი,

პეპელა-კაბა მაქმანებით როგორ გიხდება,

რად, რად მდუმარებ, ო, გახსენი გული, ბაგენი;

შენს სინატიფეს გარდასახვა ვით შეეხება,

ვერ გადაღებავს ის შენს სახეს, ვერა, ვერაფრით,

ვინ მიაშავა მას ამდენი, ტურფავ, შეძლება

და რომ იცოდე, ის არცაა ასე ვერაგი.

ლუი, ძვირფასო, სულს ისევე მოეხანძრები,

მიეშვავება გარეშემო თუმცა უკუნეთს,

როგორ ღუიან შემოდგომით, შეხე, ვარდები,

როგორ ბრწყინავენ, კეკლუცობენ, მოდი, უყურე!

დრო საშინელი

მოვა სხვა დრო და..

(თუმცა, დრო აქ როგორ ვახსენე),

წამოვა წვიმა,

გამხმარ მიწას კვლავ დაასველებს;

ხე და ბალახი

ერთიორად აღმოცენდება,

იქცევა ისევ

გარუჯული მხარე ედემად;

ბუნება ბრძენი

ატმის რტოებს ბევრჯერ დანაღმავს,

და... გაზაფხული

ვერც შეამჩნევს, რომ აღარა ვართ.

* * *

არა, ნამდვილად ის არის, ახლა

რომ აციალდა ცათა ბოლოში,

ან შეიძლება ის იყოს, გაღმა

რომ გაიელვა ხეთა კორომში;

უყურე!.. შუქთა შუბებით მაღლა

ღრუბლები აჭრა ნაწილ-ნაწილად,

ხო!.. ხო!..

ნამდვილად ის არის, მახა,

რომ გაგვანათა და გაგვაბრწყინა,

დიდება შენდა! დიდება შენდა! _

მზე რომ გიჭირავს ხელში დაირად,

მზე, სიყვარული, სიცოცხლე, სევდა,

ერთად რა ძალამ აგაყვანინა!..

შენთვის ვლოცულობ და გევედრები,

კვლავ დასდო მერმისს ჩვენსას ამაგი,

მეც გაწამებულს სიტყვა ყვედრების

აღარ დამცდება კუბოს კარამდის;

სადაც შენ, მეც იქ, მეც იქ ვიწყები,

ვჩანდი ფიქრიდან, ვჩანდი სიტყვიდან,

ო, შენს წინარე ცისკენ ვიწევდი,

როგორც მღვივანი თესლი მიწიდან.

თუმც არაერთი ცოდვაც დავიდე,

დამინდე.. მათგან ბევრი ამხსენი,

ო, შენი მადლი დღემდე მფარვიდა,

მხოლოდ შენშია ჩემი საშველი;

დიდება შენდა! დიდება შენდა! _

მზე რომ გიჭირავს ხელში დაირად,

მზე _ სიყვარული, სიცოცხლე _ სევდა,

ერთად რა ძალამ აგაყვანინა!..

სამადლობელი

გმადლობ უფალო, მადლობა დიდი,

ჩემგან მიიღე ქებათა-ქება,

რომ გარეშემო ისევე ღებე, _

წინ დამიკიდე სამოთხე ხედად;

მეოხი თუკი ვინმეა, შენ ხარ,

გულში აგიგე ათასი ძეგლი,

რომ ყოველს ნება მფარველობს შენი,

დიდება შენდა, დიდება შენდა!

ყველაფრისათვის მადლობას გწირავ, _

რომ შემაცანი რა ვარ, ან ვინ ვარ,

შენს სიდიდესთან არ ვჩანვარ მღილად,

რომ შენთა ფერხთა მტვრადაც არ ვღირვარ;

და რადგან უზღვავ სიკეთეს მიძღვნი,

ჩემი მფარველი შენა ხარ ბედად,

საფერებელი რადგანაც დიდი,

ჩემზე არავინ არა გყავს ქვეყნად:

გმადლობ, უფალო, _ გავედრებ ყოველს,

მთესველს და მომკელს, შემქმნელს და მოძღვარს,

რადგანაც ერთხელ მშვიდობით მოხველ,

რა საჭიროა მეორედ მოსვლა.

* * *

გამოზაფხულზე მოფრენილს ისევ
დახვდა გრილი და მტვრიანი ბუდე,
ნელა შეუდგა ფიქრივით ძირძველ
როლის თამაშს და... გრძელი გზა უდევს;
ბუდის კიდეზე ზის და გასცქერის,
ხედს, საიდანაც მოფრინდა მაცნედ,
გამოზაფხულის წვიმა ასველებს,
მოზღუდულ სივრცეს, _ დაგებულ ფაცერს.
მიკვირს, პაწია ფრინველის მკერდქვეშ,
რა გული უნდა სცემდეს ისეთი
მერიდიანი მიოიგდოს ფრთებქვეშ
მტვრისა და სიცხის, წვიმის, ნისლების;
არ შეეპუოს კუნაპეტ ღრუბელს,
ჰქონდეს მიზანი წესად და რიგად,
ასე უმცდარად მონახოს ბუდე
გამოღწეულმა ქარსა და გრიგალს;
არ ვიცი, ამას ვით ახსნის კაცი,
საოცარია! რაღაც ზღაპრული!
ღმერთო, აშორე ამ მისანს მარცხი,
მოეც სინათლე და ლუკმაპური.
თორემ წვიმს, წყალი დგება ლანქერი,

ზის მოწყენილი ბუდეში მაცნე

და ორთავ თვალი ბევრის მნახველი,

აკვდება ჯიქურ დაგებულ ფაცერს.

მადლი

ყველაფერი იბადება,

იზრდება და ბერდება,

სიტყვაც, მაგრამ ერთი სიტყვა

მუდამ მეხავერდება;

ერთადერთი ავგაროზი,

მუდამ შუქთა მფინარე,

სიტყვა დაუბერებელი,

მდგომი ყოვლის წინარე;

სიტყვა, სასწაული სიტყვა, _

ზღვათა ხიდი, კიბე ცის,

ერთადერთი ნუგეშინი,

ერთადერთი იმედი.

სიტყვა ამამღერებელი,

მიწად დაუტევარი,

სიტყვა მარადიული და

მარად თანამდევარი.

მისი ბრწყინვა, მადლი მისი

თუმცა გაილიესო,

ბოროტება, შური თუმცა

ვერსად დაიტიესო;
მის დიდებას მინდობილი
თუმცა ჯვარზე ჰგიესო,
მაგრამ იქაც ლოცულობდა
ამა სიტყვით იესო.

ლოცულობდა იგი ჩვენთვის
კვირტო ახლად ნაყარო.
მისი ნათლის ავსებულა
თურმე მთელი სამყარო;

გიყვარდეთო, აღავლენდა
თურმე ლოცვებს მარხული,
გიყვარდეთო, ღაღადებდა
თურმე ქვარზე გაკრული;
გიყვარდეთო, სიყვარულით,
სიყვარულით ამაღლა!
ცოდვა ჩვენი იტვირთა და
ჩვენით იაავადა;
თურმე კაცი ეგონათ და
ის კი ღმერთი ყოფილა,
ერთადერთი სიტყვის მადლი
დედამიწას მოჰფინა.
ჩემო დიდო იმედო და
ნათლით გარემოსილო.

სიტყვავ, ცისიერის სიტყვავ

კაცთა შვილად ხმობილო,

რადგან ერთადერთი ხარ და

მზის ძალა და ფერი გაქვს

რადგან ერთადერთი ხარ და

ქრისტე ღმერთის გენი გაქვს

მარად გაგვინათე გზები

მარად მოგვეალამდრე

ძეხორციელს საუკუნოდ

მადლი შენი ფარავდეს!..

წყევლა

საკუთარი სისხლით,

საკუთარი სხეულით,

ვაჭრობს ივერიელი

დახლად მგარი, ეული.

მამულს ჰყიდის სარჩოდ

წყევლაწამოწეული...

საკუთარ თავს ჰყიდის.

საკუთარ თავს იმეტებს,

ჰყიდის საბას სინდისს

და დავითის სიკეთეს:

ყელში დანას ისვამს,

ბადიშს მყოფადს სტაცებს.

საქართველოს ძირკვავს,

შლის და აქუცმაცებს:

თქვე: პონტის პირად

მუქთად, მართლაც ჩირად.

ყიდულობენ თურქები

რუსები და თათრები

მოებულნი ჭირად...

იყიდება მზაკვრულად,

ქურდულად და მალულად,

იყიდება მესხურად,

მეგრულად და კახურად.

აჭარულად იყიდება,

გორულად და სვანურად.

ნუ წერ _ ძიღვა მეუბნება _

ღირს კი აურზაურად?!...

ბაბაია ბაბა

როგორ არ ღრს თქმად მაინც,

რაღა მიდის წაღმა,

გამოღმა თუ გაღმა.

ავლია და ნაცარი:

შენც ფეხზე ნუ გკიდია,

დიდი გადევს ვალი,

არ მოსწყვიტო თვალი,

ეგ ორანი დიდია.

დრო-ჟამს როგორ დანებდი

ცრემლ-ნაღველში დალბა,

ქართლი სათაყვანები;

ბაბაია, ბაბა,

საით მიევანები,

საით მიევანები?!..

იყიდება... ვწრიალებ

მღვიძარე თუ მძინარე,

ღირს კი აურზაურად? _

პასუხია იმავე:

როგორ არ ღირს, აბა,

რაღა მიდის წაღმა,

გამოღმა თუ გაღმა,

ბაბაია, ბაბა,

ბაბაია ბაბა!..

დახლად მდგარი, მშვიდი

სვეტიცხოველს ჰყიდის

და გელათის დიდებას,

დრო კი ისე მიდის,

ცეცხლი არ ეკიდება.

ერთი მე _ მის სინდიუს

მუშტი დავკრა, მინდება,

ეშინოდეს რინდის

ნუღარ მომეფლიდება.

ნუღარ მომეფერება

ვერ ვიგუებ ეგეთს.

დაღამება _ თენებას,

მოჩვენებით ედემს;

ფრთონასა და ჭენებას

ამ გოდების კედელს

მუშტი დავკრა, მინდება

გული აღარ მშვიდდება

გული შერჩა ჩეჩენს:

ეშმაკს ღმერთი გაუწყრეს.

მისი ქცევა შემშლის,

ბოროტებას გაურბის

ფესვი, ნეტავ, ჩვენში,

ნიავდება საქართველო _

რაღა მრჩება ხელში...

* * *

აბიბინა ზვარი ლეჯად,

აფოფინა ეზო ბაღი,

რა მიიღო სიგელ-გუჯრად

რამე მარდი და ნაღდი?!

სხვაგან მიდის... სახით მშვიდი,

სიკვდილს ეგებება წყნარად,

უკვე გადაგკვრია ბინდი,

ბინდში უდევს გრძელი შარა...

ნიღბები

ნიღაბი ყველას, ჭკვიანის, ბრძენის,

ბრიყვის, სულელის, გიჟის ან ხეის,

ნიღაბი ყველას... და ნიღბებს მიღმა

მირიადობით ნიღაბის მცველი;

ნიღაბი კოხტად, ნიღაბი-მკვიდრად,

რომ არ გაიქცეს სახიდან უცებ,

ნიღაბი სტუმრად, ნიღაბი სახლად,

ნიღაბი _ ბურჯი, ჭერი და ფუძე:

ნიღაბი მეფეს, ნიღაბი ვეზირს,

ნიღაბი მონას, ნიღაბი ლაჩარს,

ნიღბები ყველას... ნიღბების ტევრი

როგორ იქნები უნიღბოდ კარგად:

სათნოს ნიღაბი ცბიერს და ბოროტს,

ნიღაბი ბრძენის გიჟსა და სულელს,

და ვხვდები ახლა, სიცოცხლის ბოლოს,

საქმე ნიღბებში ყოფილა თურმე:

და ვიღებ ნიღაბს... მოვდივარ ბრძენი,

გნებავთ სულელი? _ სულელის ნიღაბს

ვირგებ და... დედა ვატირე თქვენი,

ვდგები ათასი ნიღაბის მიღმა.

ხვალ რომ მზე არ ამოვიდეს.

ღამე დღემ არ შეცვალოს,

რას გახდები, გოლუაფირო...

რაცარ უნდა ეწვალო?...

შეაჩერებ განა ქარებს,

ყინვებს შეწყვეტ, ჭირიმე,

მოგვარდება იმით რამე

თუკი ინერვიულე?...

მასზე მეტი, რაც თავისით

გვარდებოდა, გვარდება,

ვისი რაა, _ არავისი! _

ახლა მზე რომ მაღლდება

სულ სიმშვიდე მიანიჭე

ღმერთი არ მიგატოვებს,

არ აშინებთ სიღარიბე,

ხედვ, ამ ჩიტბატონებს;

მხოლოდ დედამიწა ვლიდეს,

კამკამებდეს ზეცაო,

მხოლოდ მზე კვლავ ამოვიდეს

და დღემ ღამე შეცვალოს!..

მემკვიდრეობა

მე ამ ქალაქის

სევდიან და ფერმკრთალ ბინადართ

ვურჩევ,

სიკვდილი სათითაოდ სანამ მოუწევთ,

მემკვიდრეობა მოითხოვოს ყველამ თავისი...

დაუფრთხონ ძილი ბანოვანებს,

მათ ქმრებს, საყვარლებს

საუბედუროდ მათ შვილებსაც...

რა ვქნა ასეთი...

მემკვიდრეობის დაბრუნება ამას მოითხოვს.

ო, უმანკოთა გაღვიძებას,

გულის სიჩქარეს,

ნერვიულ წრიალს,

სამწუხაროდ, მეტსაც და მეტსაც!

ნუ შედრკებიან მათ ეკუთვნით გულთა ზეიმი,

ო, ერთხელ მაინც მშვიდი ძილი,

თბილი და წყნარი...

დილა მშვიდობის,

საყვარლებო, დროა რომ ადგეთ,

გამოიშალოთ ქოხებიდან,

ფიცრულებიდან,

ვაგონებიდან,

ნესტიანი სარდაფებიდან, გამოეფინეთ,

მოაშურეთ მთავარ მოედანს

და ყველამ ერთად შემართეთ მუშტი.

მემკვიდრეობა დიდი არის თქვენი ღმერთმანი!

უზომოდ დიდი,

არ შეჩერდეთ არსად არცერთი,

არც რესტორნებთან,

 კაფეებთან,

კაზინოებთან,

არც შუქნიშნებთან არც ბაზრებთან და

მოწყალების მოლოდინში არ დაიღამოთ.

ჩემო კარგებო,

მოითხოვეთ ის რაც გეკუთვნით,

მშობლის ალერსი,

თბილი ბინა,

სარკე,

სუნამო,

ახალი ჩანთა,

სავარცხელი,

ხამი პერანგი,

სუყველაფერი

რაც არის და რაც კი შექმნილა.

გამოიღვიძეთ საყვარლებო,

 დროა, რომ ადგეთ,

მზეს დაასწარით უსათუოდ სანამ ამოვა,

წყალი შეისხით სახეებზე,

 ძილი დაიფრთხეთ,

მემკვიდრეობა გელოდებათ თქვენი ნამდვილი.

* * *

ეს ლექსი იმას,

იმ წამებულს,

მოსარჩელეს პირველს, _

მამულისათვის დამთმობს ყოვლის,

ყველაფრის მწირველს;

ვინაც იწვოდა,

ვინც იწვის და

იარებს ამხელს,

ვინც თვინიერის ეგუება

ვერაფრით სახელს;

ეს ძეგლი იმას,

გულის რეჩხით

ნაძერწი ძეგლი,

ვისიც,

საფლავში შესაძლოა

არ იყოს ძვლებიც;

მაგრამ მამულის საკადრი,

რომ სიტყვა უთქვია,

მკვიდრად უგია,

ზღვა ცრემლი და

სისხლი უღვრია:

ვისი ნათლითაც ვიმოსებით,

მაღლები რომ ვართ,

ცა, რომ ქართული

ტანში გვივლის

ელდად და ჟრჟოლად;

....

დღეს ვხედავ თვისტომს,

სამწუხაროდ ქართლს ჩუმად ყიდის,

გზას ადგას მზაკვრის,

უახლებს სამშობლოს სიკვდილს.

* * *

გარეთ რაც არის,

თავისთავად ისედაც არის, _

ბრწყინავს,

ელვარებს

ჰყვავის, _

ანათებს...

ქვა რომ ქვა არის,

ო, რამდენი მინახავს იგიც,

ქვა _ მელოდია, ერთი დიდი,

დიდი სიმღერა.

მაგრამ...

რაც ჩემში თხოულობს სივრცეს,

ფესვს იდგამს კიბოდ,

და ყვავილის დარადაც ღუის,

ვინ იცის როგორ მოვა შენამდე,

ვით დაუძვრება ლოდების ხერგს,

რა სისხლის ფასად _

რა თვალებით გამოიხედავს.

რა სინათლედ შეგემატება.

მინაწერი ბაღათურ არაბულის ერთტომეულზე

...ეს შენი ნახაზები პირიმზეა,

შენი ყაყაჩოები, ნარგიზები,

შენი აისები, დაისები,

თრთოლვა და გაგიჟება, ბაღათურ!..

შენს სათქმელს სხვები ვით იტყვიან,

შენი სახადი შენ უნდა იხადო,

ეს შენი გაწალდული ბილიკია,

შენ ჩემო ქართველო, იდალგო.

ჰო, შენი ნახარები პირიმზეა,

შენს მიერ გაწეულ-გამოწეული ღრუბელი,

გსტუმრობ და თაია მიმიძღვება _

მირიადი ყვავილის სურნელი.

ეს კუნძული _ შენი პერიგეა

ნათელი რომ მოდის აპოგეა, ბაღათურ,

თაია, შენი თოლიგეა,

ათასჯერ, ათასჯერ დახატე!

* * *

ჩვეული გზებით ისევ მოდიხარ,

მიწას ამწვანებ და ამზიანებ,

ეგრე, ეგ გზები მეც მაცოდინა,

ო, გაზაფხულო, ყოვლის წინარე;

ბაღებში ოქროს წვიმად გაწვიმდი,

შუქი, შუქი და შუქი ღვარული,

შუქი ცხოველი... ესე აცრილი

ო, მე არ ვიცი სხვა სიყვარული.

* * *

ნაგრიგალევი ტყე იშუშებს ჩუმად იარებს,

ველი ვრცეული გაწოლილა, მნათი იალებს.

შორიდან მწყემს კაცს მიამსგავსებ ალბათ მეხამრიდს,

ძეხორციელი ილოცება ძამით, ხელადით, (?)

ლაპლაპებს წყალი, საწიერი _ ფერად-ფერადი;

მიწყნარებულა ღამეული ლიწინ-ლიწინი,

მოარღვევს სივრცეს საყვარელი ქალის სიცილი;

მიზნის სიშორით მოწყენილი მერცხალი მოჰფრენს,

და ცა მაღალი ესიზმრება კუზიან სოფელს.

* * *

...ჩემთან იყო, მიხაროდა.

ცა და მიწა ჩემი იყო მეგონა,

ანგელოზი მიგალობდა,

რომ სამოთხის გასაღები მეპოვა;

მოვა ნუთუ არასოდეს, _

აწი აღარ დამანახებს გამჩენი,

ერთხელ მაინც დამათრობდეს,

ისედაც ვარ ჯოჯოხეთში წამსვლელი;

დარდი ისე მემალება,

უსათუოდ ჩამომადნობს ვერაგი,

ძილი აღარ მეკარება

შავი გახდა ცა და მიწა ფერადი.

უსაზღვროება

ცეცხლთან რომ გათბა და

ცორცი რომ შეწვა...

ბრბოს გამოეყო და ცალკე რომ გავიდა,

მიწა შემორაგვა და რომ ჩადგა ქოხი,

იქიდან, აქამდე რაც ნახა წვალება,

რაც ღვარა ცრემლი და...

რაც იბედნიერა..

* * *

ცის და მიწის მქონდა ვალი,

მარტო ვიყავ, მეტი ვეღარ შევძელი,

ეტლი მყავდა მზის და მთვარის,

ღამეები ვარსკვლავეთში გეძებდი;

სინანულის ბრწყენდა თაღი, _

დავაპირე კიბე ცისთვის შემედგა,

თუ რამ მიხსნის ახლა, დაღლილს,

შენთან ერთი, მხოლოდ ერთი შეხვედრა;

წვიმა ხომ არ მოდის სადმე

და ხიდები წყალმა ხომ არ წალეკა,

ხომ არ გარჩა უცებ გზაზე

და ვერ მოჰქრის საოცნებო კარეტა.

* * *

დილაადრიან, ნამს როდესაც

ბალახზე სძინავს,

მე ვდგები, დედი,

ვაკვირდები შენს ნაფეხურებს,

მიმობნეულებს ცვრიან მოლზე

მსხლის ფოთლებივით.

გავა ხანი და...

ემსგავსება დიდი მინდორი სიცარიელეს

და მეშინია...

ამიტომ ვდგები დილაადრიან

და ვაკვირდები შენს ნაფეხურებს.

* * *

ეს ცა და მთები თავშლით,

ცივი ქარებით ბაღები,

ო, ეს ცხოვრება ფარსი, _

ქვიშის სრა-სახელი ნაგები;

ცარიელია კასრი,

დღეს ორნახადიც არარის,

ქარი გამჭოლი, ბასრი,

ო, ძლიერ, ძლიერ თამამი;

მიმაქვს შავი დრო ზურგით,

მიმაქვს, _ ნაღველი გუბდება,

ვით შავი კვამლი ბუხრით

დრო უამური ბრუნდება.

ცრის, ცას ცრემლები დასდის,

ცრის, გალეულან ბაღები,

ო, ეს ცხოვრება ფარსი,

ქვიშის სრა-სახელი ნაგები.

* * *

ო, არაფერი არ არის წაღმა...

ცხოვრებამ თითქმის დაკარგა აზრი...

ამაოების დამედო დამღა,

არარაობის ნიშანი გაზის.

არანაირი არა მაქვს ზრახვა,

დავწერო ლექსი, დავსტაბო წიგნი,

არც არავისი მინდება ნახვა,

არანაირი დარდი და ფიქრი;

არ მინდა არსად, გარეთ თუ სახლში,

არ მინდა თეთრი, შავი და თეთრი...

ეტყობა უცებ შევედი ხანში

გადამივლია სუყველა ქედი

და არაფერი არ არის წაღმა..

* * *

საუკუნე დავაბრუნე არაერთი. _

ნესტანთან და ტარიელთან მომინდა,

წვა და დაგვას, რომანტიკას ალავერდი,

თბილისიდან, გალის მადათოვიდან;

მომენატრა ფრიდონი და ავთანდილი,

მზებოდობა, თინათინის ელფერი,

ქართლის ღამე, მშვიდი ღამე არაბივით,

ქართლის დღეზე ჩუმად შურისმგებელი;

მომენატრა... ბედნიერი ასწლეული

დრო დროისგან უჭრილობო, უვნები,

ცა ქართლის ცა გაშლილი და აწეული,

სიყვარულით ავსებული გოლები;

მომენატრა ო, დენი კარალეთის

ლურჯა ცხენი, დოვენ-დოვლი მომინდა,

წვა და დაგვას, რომანტიკას ალავერდი

თბილისიდან, ცხალი მადათოვიდან.

რა უნდა სიკვდილს

ვთქვათ და... ვიცოცხლე

პაპაჩემმა როგორც იცოცხლა,

მარტივად, ისე ვით იესოს გვასწავლის წიგნი,

ვთქვათ და...

ნამდვილად აღვასრულე წესი და რიგი,

ბრძენმა სოფელმაც ნათლიერი კაცი მიწოდა;

ვთქვათ და...

სიცოცხლე, ფაფუ! გაღმა გავედი, იქით...

დარჩა გამოღმა ჭიქა ღვინო, ნატეხი ხიკვის,

დარჩა უზომო ტრფიალება, ქეთევან, ნათლის,

მეტი უფრორე... წყალ-ჭალები, მინდვრები ქართლის...

მეტი და მეტი...

თუმც რას ვამბობ თავადაც მიკვირს,

ჩემთან და შენთან, სანატრელო, რა უნდა სიკვდილს...

* * *

გაზაფხული დაბრძანდება,

დარბაისლობს გაზაფხული ქართლში;

მალე ბაღი აყვავდება,

ამწვანდება,

თაფლისფერებს ჩალის ფერებს წაშლის.

მალე ქართლი განათდება,

გალაღდება,

ცა ექნება შრიალა ვით მოვი,

ავი ქარი გაყუჩდება, განაზდება,

გამძაფრდება ყვავილების თოვლი.

მალე ქართლი ამღერდება,

აცეკვდება, _

განთიადი ახლოვდება ქართლის,

მადლი აღარ განელდება, გაბევრდება,

სიმართლის და სინანულის ხათრით.

აყვავდება, საბას ქართლი აყვავდება,

ნინოს ქართლი დავითის და ცოტნეს,

ქართლში მალე დაფარული გაცხადდება,

ილია რომ ვეღარაფრით მოკლეს.

მალე ბაღი აყვავდება,

ამწვანდება

თაფლის ფერებს, ჩალის ფერებს წაშლის,

გაზაფხული დაბრძანდება,

დარბაისლობს გაზაფხული ქართლში.

* * *

ყველაფერი ისე გაქრა

ბუნდად მახსოვს ახლა, მახა,

გაქრა ჩემი სიჭაბუკე,

სიყვარულის თუმც მჭამს მახრა;

ახლა... გრძელი დღეებია,

ახლა, ორი ფერი მართობს,

ღვინო დამიძველებია,

მაგრამ ვინ სვამს ღვინოს მარტო.

გაქრა... აქ სხვა ხმაურია,

ფასი ნათელს აღარ ადევს,

ვნახავ... დღესასწაულია,

ერთი ის თუ მალამაზებს;

მწუხრი მოდის დასავლიდან

რით მიშველოს, რა ქნას ღმერთმა,

თურმე ოქროს სრა-სახლი და

შიგნით ოქროს ტახტი მედგა.

ოთარ ჭილაძეს

ჯერ, ჯერ ადრეა ზვირთებს მინებდეთ,

თქვენიმ წილი ცა ისევე ჰყავის,

ჯერ დრო არარის რომ იძინებდეთ,

მარადიულის დაგერქვათ მგზავრი;

ესე იღბალი არის მცირეთა, _

ფერფლი და ავლი ხვედრია მრავლის,

თქვენ უნდა იდგეთ კაცთა იმედად,

კვლავ გადუხდელი ვალით და ვალით;

ყოველივეზე სამშობლო მხარის,

წეროთ, თქვათ, ისევ ვტირი და ვმღერი,

სინათლის დიდი თვისება არის,

მისცეს ყველაფერს კუთვნილი ფერი.

* * *

ნუთუ ეს მტვერი,

ბილიკ-ბილიკ, მინდორ და მინდორ,

თქვენი ძვლებია და თქვენი ხორცი?!..

აურაცხელნო მეფეებო, და დედოფლებო,

მამულიშვილნო, უმანკონო, უსათნოესნო,

ხმაი გამეცით, ერთხელ მაინც გამეცით ხმაი,

და მიპასუხეთ ჰოს მაგიერ როგორმე _ არა!..

თორემ ცრემლები წარმომსკდარი

თვალთაგან ღვარად,

წალეკავს რწმენას,

უსასოობის მცენარე ყველა

შეიფოთლება ერთბაშად ირგვლივ.

და ჩამოწვება ვით ასაკი ბებრის თვალებში,

მოსისხლე ბინდი.

...ნუთუ ეს მტვერი, ბილიკ-ბილიკ, მინდორ და მინდორ

თქვენ ძვლებია და თქვენი ხორცი?!..

* * *

ცუდად რად მოგხვდი თვალში, _

მომწვდა ეგ მზერა ირიბი,

ირმის ნახტომის კვალში

ვით შეგეშალე სხვაში,

მე ჩემი გავჭერ ბილიკი;

მე ჩემი მქონდა ნიში,

შენს მწარე სიტყვას ვტირივარ,

შავია როგორც ყივირილა

და დამდევს მისი შიში:

მე... ჩემი ახო მქონდა

ჩემი ეხი და ღარტაფი,

ვერ შევიგუე მოდა,

მოდისგან დავრჩი ღატაკი

აქ სულ სხვა ქარი ქროდა...

ცუდად რად მოგხვდი თვალში,

მე ჩემი გავჭერ ბილიკი,

არ ჩავვარდნილვარ ჭაში,

ჭაში ჩავედი პირიქით.

შენ თუ იქნები...

...აქ არაფერი არარი

და არც რა იქნება,

შენც თუ წახვედი _

აიკეცე შენაც თუ ფრთები,

გაუძლო ტკივილს,

ო, მაღალი არის ღირსება, _

ააბაღნარო უდაბნოთა დამსკდარი მკერდი;

შენ თუ იქნები,

მოფრინდება ფრინველთა გუნდი,

ფუტკრების ზრუნი დაგაამებს,

სულს დაგიყუჩებს,

მოვლენ წვიმებიც...

თვითეული წამი და წუთი

მიწას ყვავილებს შემატებს

და ზეცას _ სილურჯეს.

შენ თუ იქნები...

აჰა, ვანი მეუდაბნოის, _

ირმები წყალზე, ტყეში ნუკრი

ცაში ტოროლა...

შენ უნდა შესძლო,

ეს ნატანჯი და ეს ნაომი _

მიწა იხსნა და

არ წაგვლეკოს სოდომ-გომორმა.

* * *

შერმადინ ქალდანს

ძილად მოიქცა ეს ზაფხულიც _ სიზმარი ჭრელი,

ფერისცვალების უამური მკვიდრდება ჟამი,

სინათლისა და სინანულის მაღლდება ჭერი,

თაფლისფერ ველებს და სივრცეებს ეჩვევა თვალი;

არაფერია!..

რწმენა არის თვისება კაცის

(მომავალ დღეთა ნისლში ცურავს შორი კოცონი)

აწვიმს ყველაფერს,

ფოთლისხელა ჩვენს გულებს აწვიმს,

და ვდგავართ ქარში ვით ხეები უსამოსონი.

...ზამთრის მშობელი შემოდგომა ნელა მოიწევს,

შემოგვჯარვია ღრუბელივით დარდი ურიცხვი,

არა და არა მიბრუნება საღამოსკენ,

მოდი, ვილოცოთ, მეგობარო, გაზაფხულისთვის.

* * *

რა შეუმჩნევლად

გარბის წუთი, დღეები, წლები,

გვაკლდება ყველა,

მაინც ნათელ ფიქრების წყებით,

მივილტვით წინ და

ყოველ დილას, ყოველ საღამოს,

ჩვენი ცხოვრება

მარადი და დაუსაბამო

გვგონია, ძმაო,

და სიკვდილზე ფიქრიც აღარ გვსურს

არადა, ლტოლვა

აახლოებს მუდამ დასასრულს.

* * *

ღალატმა ბევრჯერ მიხელთა და

შუბი მაძგერა,

ფიქრი შენისლა უნათლესი ისევ...

ამჯერად,

მაინც სიცოცხლეს ვდარაჯობ

და ღამეს ვუთენებ,

სიბნელს ბატონს გაზაფხული

გადავუთელე

და უნათლესო, განახლების დიდო ტარიგო,

მზადა ვარ,

ისევ სიყვარული ჩამოარიგო.

* * *

ჩვენში არარის საუფლო იგი,

რომელიც ბრძოლით, ზარით და გრგვილვით,

თავისუფლების წესით და რიგით,

თავისუფლების დაიდგამს გვირგვინს;

ჩვენში არარის საუფლო იგი,

რომელიც მერე ნათობს მარადის,

და მიუწვდომლის, ოცნების ფიქრის

გვაწამებს სევდა კუბოს კარამდის.

* * *

მე, იქა ვარ, სად უფრორე

უჭირს სოფელს, თუნდაც სოფლელს,

და ვემხრობი მხოლოდ ნათელს,

და არა მის უარმყოფელს;

სად მნათობი მეწამული

ნისკარტივით კენკავს ჩრდილებს,

სად მაშვრალთა გასახარად

სიხაურლი მოაქვთ შვილებს;

მე, იქა ვარ, სად კეთილნი

აღამებენ, ათენებენ,

სად ძაღლები დღენიადაგ,

შეუწყვეტლივ ღავღავებენ;

სადაც კუბო დასავლეთით,

მიაქვთ ცისკრის ზარზე მდომებს,

სადაც მოაქვს დაფნა, ტანჯვა,

მწვერვალებზე შემოდგომებს.

სად მინდვრები თლემენ ზამთრის

სუსხით ქადაგებულები

მახარობლად მოფრინავენ

სად ცალთვალა გუგულები.

მე იქა ვარ... და სიცოცხლეს

საბოლოოდ გავეშვილე,

სად მნათობი მეწამული

ნისკარტივით კენკავს ჩრდილებს.

* * *

მოდის გაზაფხული მწვანით,

ცისფრით, წითლით, ყვითლით, ლურჯით,

დილას რიჟრაჟების კაბით,

გათენება აღარ უჭირს;

გაიწოვა ბოლო ჩრდილიც,

ელავს, ყოველივე ბრწყინავს,

ჩიტმა წამოკენკა სხივი,

დედამიწა ცისკენ მიაქვს:

* * *

თამაზ ბაძაღუას

არარსებული გზის არჩივო,

საით მიდიხარ,

რას მზერ შორეთით,

ელტვი რა ციალს?!..

ჩამოასვენე აქ სხეული,

ჯანღი ირევა,

ცას, ალბათ, მალე

თოვლიც დასცვივა!

ვიცი, რისკენაც

ესერიგად მიგიწევს გული,

მაგრამ ტყუვდები,

როგორც ყველანი,

ვიცი, ცდუნებას, _

მისწრაფებას, შენს წადილ-წყურვილს,

გადმოსაცემად არ ეყოფა

ქვეყნის მელანი.

მაგრამ... ყოველი არარაა,

ილუზიაა,

გზა არ არსებობს და

სად გინდა, ძმაო, წახვიდე.

მო, ეს კარავი

გათანგული კაცის ბინაა,

ეგ სველი სული

გასაშრობად აქვე გაკიდე!,,

არარაობის შემომყურებს

თვალი მაძღარი,

აქ დავშთი ესე,

ამ ვანად და არსაით ვჩქარობ,

ჭეშმარიტების ეგებ ვპოვო ერთი მარცვალი, _

აღსავლის ქარო!..

აქ ჭიდა ღვინო, ყუა ხიკვის,

არ გაჭირდება,

მსურს წვეულება გაგიმართო,

მქონდეს ნადიმი,

დარჩი ცოტა ხნით,

თუკი რამე გწყურის დიდება, _

აქედან ცა ჩანს

სულ შიშველი, ტანზე გახდილი.

ერთი «ილიადა» მაინც _

ელვარება კოლხურ ფარის,

ერთი «ოდისეა» მაინც _

ამოსვლა და ჩასვლა მთვარის;

ერთი «ენეიდა» მაინც _

ერთი, ერთი ზურგის ქარი,

შერჩენოდა კოლხეთს, კოკი,

ერთი მაინც შერჩენოდა

ლექსი «ვეფხისა და მოყმის»...

* * *

საიდანაც გავიდა

ისევ იქ დაბრუნდა _

ბეწვივით სუსტ და ჰაერივით მჩატე ტოტზე...

მკვრივი, მყარი რამ ეხება, _

ფეხქვეშ რომ ეგრძნო,

წელში რომ გამართულიყო,

ცისკენ რომ ნებიერად ახედა...

ვერ იპოვა...

თუმცა ჯერ კიდევ არ იცის

არარაობას მირიადი მოტივი

აქვს გამოსხმული და მათ შორის

რომ დაბორიალობს,

ტოტიდან ტოტზე...

მოტივიდან, მოტივზე...

* * *

ვინ დაიოკა

გრძნობები, მითხარი?

ვინ, ვინ უჩვენა

ქვეყანას ქვა სახე?

ქვა თვალი მიაქვავა

ქვეყანას ვინ?

ცრემლებს ჯეგირები

ვინ ამოუშენა?..

* * *

ჭროღა ღრუბლებში მოქცეულ ზეცით

მოფრინავს სხივი _ სიწმინდე წვეთი.

შუქი ცხოველი მოიწევს ციდან,

შუქი ცრემლივით ჭვირვალი, წმინდა;

ჰყვავის ბუნება _ იცვლება ხედი, _

ყველაზე მეტად მწვანე ფერს ურევს,

ეგ ყოვლისშემძლე გრძნეული ხელი,

სწორუპოვარი მხატვრის თურმე;

ო, შემოქმედო, მასწავლე შენებრ...

და ამაცილე ზარს სააგუოს,

ვით შვეახამო ფერები ფერებს,

სიტყვები სიტყვებს ვით შევაუღლო!

* * *

ახლა თუკი რამე მშველის:

ამ ღრუბლების,

ამ წვიმების,

ამ ტბორების,

ამ ნისლების

ზემოთ

რითმე თავის ჩენის,

რაინდული გზნება ჩემი...

* * *

გვერდით გადავდებ ბლოკს და ბრიუსოვს,

მინდა მომეშვას გულზე,

დღეს ბურუსიან ბუნინს ვკითხულობ –

დიდ, ბურუსიან რუსეთს.

არყის ხეების თვალი მტკივანი,

ნისლი, ულევი ველი,

იქ დაჩალიჩობს ახლა ივანი,

ძველი ძმობილი ჩემი.

ფიქრით მასთან ვარ, დიდი გულის მაქვს

და ვეკამათო მინდა,

არა, რუსეთი იცის ბუნინმა –

მარადიული კითხვა.

ო, ჩქარა, ჩქარა!

ო, ჩქარა, ჩქარა! – დარაბები გახსენით, სული

მეხუთება და მეხერგება ყელში ხერგები,

გაითბეთ რითმე მკერდები და მკერდებში გული

გათოშილები ისე, როგორც აისბერგები!..

გასწიეთ განზე დრო-ჟამი თული!..

გახსენით კარი, დარაბები, ფანჯრები, შუქი

ო, შემოუშვით! – გავისწორო ნათელში ფრთები,

მოძულეებო, სუყველაფერს ახსენით ლუქი, –

უსწორმასწორო, ოქრო-ბოკრო ვასწორო გზები!..

თქვენ, ძვირფასებო, დაჰკარით ბუკი!..

დაჰკარით ბუკი! – რიალებენ აქ რა ლანდები!..

აყარეთ საგდულ-საკეცები, წაშალეთ ზღვრები,

ვიხრჩობი! – ყელში მეხერგება სიტყვები – ქვები,

ვინ კეტავს ფანჯრებს, გამოაღეთ, ჩქარა, ფანჯრები!..

* * *

ვის სჭირდება თორემ ვიტყვი:
ეს ცხოვრება ისე მიმაქვს,
როგორც უსაშველო ტვირთი!..

არაფერი გზად და ხიდად,
რამე საოცნებო, დღემდე,
რამე მოსაწონი დიდად,
არსად, არაფერი, მენდე!..

მივალ.. გათენებას ვვესავ,
დღისით დაღამებას, ბეჩა,
უარსებოს ვჰლევ და ვკეცავ –
არსად არაფერი ძევსა!..

მივალ... საოცნებოს ვეძებ
ლათხში, არარსებულ გზებზე!..

არარსებულს გავცქერ შორეთს,
დაღლილს მომწევია ბინდი.
თურმე ვეღარ გავცდი ყორეს,
ახლა ყორედ ვდგავარ რინდი!..

მაინც ვმკი და მაინც ვთესავ,

თუმცა არსად,

თუმცა არსად,

არსად არაფერი ძევსა!..

არსად, ერთი მწიკვიც არსად,

გაღმა რაა,ვინ რა იცის,

და დაბმული ვირის მსგავსად,

ადგილს მხოლოდ წრეზე ვიცვლი;

ტვირთიც ჩემი წრეზე დამაქვს,

გარეთ ბიჯსაც ვეღარ წადგამ,

მაინც ცად და მიწად დავალ,

რადგან ოცნებების მწამდა!

იმედს რა გამოლევს კაცში,

პოვნის იმედს მარადისის,

თუმცა, ნელა შეველ ხანში,

თვალზე გადამეკრა ნისლი;

ჩამიწვეთეს შხამი ფლავში,

ჭამას მისას არვინ მიშლის,

ვატყობ, თქვენთან ვრჩები ვალში.

ზღვარზე ვდგები მარადისის.

მაინც გათენებას ვვესავ,

კარგად გათენებას, ბეჩა,

უარსებოს ვჰლევ და ვკეცავ.

ეგებ სადმე რამე ძევსა!..

მინდა ისევ გდიოთ კვალში

და არ მქონდეს თქვენი ზიზღი.

ვდგავარ ძველებურად შვავში

და მჭამს უმეცრების შიში!

* * *

აქ ნუკრები ფურებს წოვდნენ,

სუროდ ფეთქდა შაშვი,

გამვლელს მოკრძალებით სთხოვდნენ,

მობრძანებას სახლში;

იყო მართლაც უფლის კარი,

ეზო ჰგავდა ედემს,

ისხდნენ ტაბლად უფლისანნი

წმინდა ლოცვის შემდეგ;

არ ჩანს ახლა მათი ნარგი,

სხვაც არავინ არ ჩანს,

მორევია ეზოს შამბი

და დგას ოდა - ჯვარცმა.

აქაობა კრთოდა, თრთოდა,

დაფრინავდა ოდა,

ისე მამაჩემი ცხონდა –

ფრთები, ფრთები ჰქონდა.

* * *

ზის სველ ტოტზე სველი ჩიტი,

პირით არ ამოსდის კრინტი!..

არცა რამე გვრინი სოფლით –

სახლმა მოიკიდა ობი!..

მამა ბუხრად ზის და ყვინთავს,

რა დროაო, ცალყბად მკითხავს!

ამბობს თორემ... მათხოვარი, –

კარგად იცის, რა დროც არის!

წვიმა გახდა სივრცის კვეთი –

დრო უდროო მივალალებს.

შესაცვლელი არის ხედი,

ქვეყანაა მისახედი

შინ და გარეთ!

შინ და გარეთ!...

* * *

თურმე მხოლოდ დარდი ვძებნე,
თუ ვიპოვე მხოლოდ დარდი მარადი,
ვინ არ მხვდება, მტვრიან გზებზე
წუთისოფლის რა სტუმარი არ დადის...

რა ვიფიქრო, აბა, სვეზე,
რაღა რჩება, ერთი, კუბოს კარამდე,
შემოდგომა დაძრწის ხეზე,
მივფრიალებ თითქოს თავისთავად...

გადამეკრა თვალზე ლიბრი,
გასარკვევი რაღა რჩება, ნეტავი,
გზაზე უკვე წვება ბინდი,
აღარა ვარ ძველებურად მხედარი.

ჩემს ადგილზე რას იზამდი,
დარდს და სევდას როგორ მოიცილებდი,
სადღა გადის, ნეტავ, ზღვარი,
საბოლოოდ როდის კვდება იმედი;

მონუგეშედ მაინც დამრჩი,
შენთვის თუ ღირს იმედებით ცხოვრება,

გამიყარე მკლავი მკლავში, –

ერთადერთი შენ ხარ ჩემი ქონება.

მინდა ჭრელი ჩითი გეცვას,

ძველებურად დაღლილს მოგეელფერო,

სიყვარულის სურა შევსვა,

და ერთი დღეც გიყურო და გეფერო!

ბესას უცაბედი მონოლოგი

– მიკვირს, ასე ბეჩავები

როგორ გავხდით, ბიძიაო,

ჰაიტ! – სულძაღლს სიბერემა,

ეს რა ჩქარა მიწიაო!

ვინ რას აღარ ბედავსო,

მამულს ურცხვად ჰყიდიანო,

სივრცეს როგორ კეტავსო,

უძღებ შვილთა გილდიაო.

და ეს დარდი შემჭამსო,

გამაწამებს იქაცო,

შენ რომ გიყვარს საქართველო,

მეც ხომ ისე მიყვარსო!..

როგორ ურცხვად ჰყიდიანო,

ნაჭერ-ნაჭერ, ფარჩებადო,

ციანა და მიწიანა,

გზიანა და ხიდიანა,

ვრჩებით ვაი-ვანჩრებადო!

ფუი! – ასეთ იღბალსო,

დაყრილნი ვართ ლაჩრებადო,

ასეთი დღის ხილვასო, –

არ ვვარგივართ კაცებადო;

დავბანცალებთ ძლივასო,

არ ღირს სახლი დაწყებადო,

საქართველოს სძინავსო!..

და ეს დარდი შემჭამსო,

გამაწამებს იქაცო,

სამარეში მხოლოდ სევდა,

მხოლოდ დარდი მიმაქვსო!

* * *

ცხრა ზღვას იქით

დაეძებენ ბედს და იღბალს,

პოვნის იმედს, ალბათ, აღარ კარგავენ,

მშობლიური დარდი სწირავთ

და სავალ გზებს სევდისფერად ქარგავენ;

ბუდეს მოწყდნენ, აირივნენ,

წელს მეხუთედ დაზამთრდა და მოთოვა,

ხორცი ძებნად გაილიეს –

საძებარი ფულია და ოქროა.

კითხულობენ მშობლის ამბავს,

ესიზმრებათ ქართლის მთები, ტყე-ველი,

თვალწინ უდგათ მუდამ საბა, –

დიდი ღამე ქართლის გაუთეველი.

ოკეანის გაღმა ვლენან,

სად, ვის კარად ათენებენ, ვინ იცის,

ეომებათ ბედისწერა,

ამანათებს ელოდება თბილისი.

მომიტანეთ ჭიქა წყალი –

გულმა თქვენი მიშველება ითხოვა,

დამშვიდდება გული მამის,

თუკი სადმე ვინმემ რამე იპოვა!..

* * *

ვწერდი... ვენდე სტრიქონებს,

ვწერდი, გულით ვწერდი,

ვწერდი... დრონი მიქროდნენ,

ლექსი იყო ბედი;

დროთა ფერებს ვიგონებ, –
შავი, თეთრი, ლურჯი...
ცალკერძ ყველა ვიყოლე –
ყველა მეჯდა გულში.

აღარცერთმა დამინდო
მარბია და მწეწა,
ყველამ წესი ამიგო,
ჩემი სისხლი შესვა.

რაც შეეძლოთ მივალეს
რაც შეეძლოთ მთელეს,
ვერსად გადავიღამე
ვერსად გავითენე.

ვწერდი... ვენდე სტრიქონებს,
ვწერდი, გულით ვწერდი,
ვწერდი... დრონი მიქროდნენ
ლექსი იყო ბედი...

* * *

მან ნიშანი დასვა კითხვის, –
მოიშორა თავიდან,

უსაქმური, ერთი სიტყვით,
თავის გზაზე წავიდა;

უსაქმურმა, მაგრამ ბრძენმა
ჰპოვა თავისუფლება,
კითხვის დასმის, შენმა მზემან,
ჰქონდა ნაღდად უფლება;

ვუტრიალე კითხვას ბევრი,
ვეცი აქით-იქითა,
ვით გამოდგა ასე ძნელი,
ჭკუის კოლოფს მიკვირდა.

იყო თითქოს ორჯერ ორი
არა ინტეგრალური,
მაგრამ ჰქონდა გარემონი
უჩინონი, ფარული;

მან ნიშანი დასვა კითხვის
ამოიგდო თავიდან,
ბრძენთაბრძენი, ერთი სიტყვით,
თავის გზაზე წავიდა.

თემურ ქორიძეს

მე შენი კვალი დავკარგე და თავს არ ვპატიობ,
შენი მაღალი სტრიქონების მომყვება ხათრი,
კვლავ მინდა ქართლის ღამეები ერთად ვათიოთ...

ძველი დოსტები საძებარი გამიხდით სანთლით.
მსურს შენებურმა სინანულმა ცა რომ ასწიოს,
ო, შენებურად დაწურული მომინდა დარდი.
და მეგობრობის უშურველი ხარკი გაძლიო.

ეკალ-სპეკალი, ათასგვარი მომრავლდა ხნარცვი,
დიდია დარდი და სიტყვაში როგორ ჩავტიო.

* * *

მოეძმარება ვინც
ამ მიწას მოემწუთხება
ვის არად მიუჩნს მზის
და ვარსკვლავების სუფევა;
იგი, ახალი, ტახტზე ჰზის,
აქვს ნათლიერის კურთხევა.

მოესურვება მას

მირონი მოესხურება,

ის აღარაფერს ზღვავს

ცრემლი არ მოეწურვება;

დედა-სამშობლოს ხრავს

სულ იქეთ ადებს ვალს –

იღბალი მოეურვება!..

არ მინდა მეტი ვთქვა,

ისედაც ბევრი წამომცდა,

ჩემი ცრემლების ზღვა

ჩემს გულის პერანგს გამოცდა...

* * *

ლუგელაში ჩინელი

მიდი-მოდის,

საღამოა თუ დილაა ნინველი.

უფლება და ფული ჩინელს,

ტყე ჩინელს და წყალი ჩინელს.

ტყეში ოქროს ჩიტს ვეძებდი

ეს რა ჩიტი დავიჭირე.

ლუგელაში ჩინელი?!.

ლუგელაში ბევრი ჩარჩა-

არ იქნება პირველი.

* * *

არა, არ იღიობა!..

ბნელმა ველარ გათელა,

ბნელმა გააიობა,

ქართველი...

დაითმინა ქართველმა,

მიუტევა ქართველმა,

დაიტია ქართველმა,

ნათელი...

ჯამუს გახსენება

ხნავდი,

მკიდი,

შვილებს ზრდიდი,

ვლიდი საყდრად,

გწამდა...

რიდი

უფლის გქონდა,

დე, ყვაოდეს

შენი მოდგმა.

ვის არ ერგო

შენი მინდი,

მოწონება

დამაქვს დიდი.

მომენატრა

ხმა და გვრინი,

შენი დაწურული ღვინო,

შენებური

ლაღი ლხინი:

ვით გიყვარდა

თოვლი გარეთ,

შიგნით სითბო

მზე და მთვარე:

ბუხრად ტაბლა,

მაღლა ღმერთი

ტკბილი – ერთადერთი

ხვედრი.

„ლილეც“ მაგრამ

უფრო „ლალე“ –

ჩვენი ბედისწერა -

ბედი.

დავჯექ,

ვარსკვლავები ვთვალე

გამოვიდა ერთით მეტი...

* * *

ზურგი გვაქცია რახანია

მწვანემ და ლურჯმა,

დააფრიალებს გამხმარ ფოთლებს

ქარი ხენეში,

აცივდა ძლიერ, –

ზამთრისპირზე იმატა სუსხმა

ირგვლივ ლათხი და ტალახი,

ჭენჭყი - ველებში;

ზანტი ზმორებით

შემოდგომამ ჩაუშვა ღუზა

გამოწყობილმა

ჩალისა და თითბრის ფერებში,

იცოხნებიან ისევ ზანტად

ჩელა და ბუსკა,

და შეჰყურებენ გუთნისდედას

მწიფე ხელებში.

გახურებული ორნახადით

ღორს დაკლავს მურზა,

და ლღვება სისხლში

მოციმციმე ყინვის ქერეჭი.

* * *

აწ ძველ დიდებას –

დაღვრილ სისხლს და სისხლის ნიაღვრებს,

ათას სიმაღლეს,

უმოწყალოდ დანთქმულ სიმაღლეს,

სახეს, სახელებს

ჩაბრუნებულთ ფერფლად, არაკად,

ათას დიდგორად ჩარეცხილებს

ათას მარაბდად;

ჩამწვარ-ჩანაცრულ ძველ დიდებას

ვინ გაიხსენებს.

რა, სიბნელეა, რა წყვდიადი,

ღმერთო, მიშველე!

ღმერთო მიშველე,

ისტორიას ახლად იწყებენ,

სუფთა ფურცლებზე

აღარცერთი ხვდება სიძველე;

ცვლიან ყველაფერს, – უარყოფენ

მთელი არსებით,

მათთვის არარა აღარ დარჩა

წმინდად ნაგები.

ო, ფერნაცვალო სინამდვილევ,

ყარხარ მძორივით,

გჭამს ჭირთაჭირი,

ძველი სნება თანდაყოლილი.

ბრძენის მოსასხამს

უმეცარი ირგებს, რეგვენი,

სხიათ მანტია წმინდანების

დღეს დამაქცევართ,

ღმერთო მიშველე,

სამშობლოდან არ მსურს გაქცევა,

ბარიერები აღმიმართე

ოთხივ კედელი!..

* * *

ხან აღმა იტორტმანა, ხან – ჩაღმა,

კინაღამ გული გამენაღმა...

ღმერთმა უშველოს მიხას,

ყალიჩას ორნახადი მომიტანა,

ორნახადმა გული მომინახა,

სულზე მომისწრო იღბლად...

სიკვდილი გაბრუნდა,

არაყმა გააწბილა,

კუბოში ვეღარ ჩამწვინა, –

გული საგულეში დაბრუნდა...

მიხას შერმადინი მოყვა,

შერმადინს ალუდა,

ალუდას თორღვა -

სიკვდილი საბოლოოდ მოკვდა...

ღვინო აღარ დარჩა მარანში,

საპურეში – ლავაში,

დერგში – ყველი და მწნილი

გინა სულ უქონელი ვივლი, –

ეს მერამდენედ გადავრჩი...

ნამდვილად აღარა ვარ ზარალში, –

სიკვდილმა მომჭამა ჭირი.

გაზაფხული შედის ძალაში,

აკვანში ჭყლოპინებს ჩვილი,

ვწევარ ნებიერი კარავში,

სახეზე გადამდის ღიმი.

პოეტი

ვით მეუფეობს ცისქვეშეთში ესე ნებიერ:

ქარი სიმღერად ვით აქცია, წვიმა – მუსიკად,

დილა ჰანგებად ჩამოღვაროს ვით შეუძლია,

ვით შეუძლია მიმოშალოს ყველა ჯებირი?..

არა სახიერს ვით აძლევს სახეს,

არა ხატიერს ვით აჩენს ხატად?..

ლოთი, აშარი, ჩხუბისთავი, ხან ქვეყნის გლახა,

უჩინარ სიმებს, აბა, თვით ამხელს?..

ნეტავ ამ ქარში, ამ თავსხმაში, ამ ნიაღვარში,

ამ სიცივეში სად, სად ჰპოვა კორჩიოტები,

გამოზაფხულის ვით გაშალა მწვანე კარავი,

ან სად აკრიფა ღვთაებრივი ასე ნოტები!..

ვით მეუფეობს ცის ქვეშეთში ესე ნებიერ!..

ორი ბედშავი

– რა აზრი აქვსო მაგის წერას,-

უცაბედ მკითხა,

რა, ეგ ოხერი აიჩემე,

ცოტაა სხვანი?..

ვინღა დაგიდევს

დღეს, მითხარი,

საქმეს და სიტყვას,

ჩვენს მწირ სახლაკებს

შეუყენა სუყველამ წყალი;

უამრავს

კრავი უცოდველის

მოუსხამს ქურქი.

წერე ყველაზე

გეწერება რაიმე თუკი!...

როგორ, ყველაზე! –

განა ერთი არა ჰგავს ათასს,

წესი და რიგი

ათასისა, ხომ გახდა ერთი?!..

მერწმუნე-მეთქი,

ესე წერას გულის გულს ვატან,

გადამიდია თავი ჩემი –

მოწმეა ღმერთი;

განა, მდაბალი ჩვენი ყოფა

არა სჩანს ნათლად, –

როგორ გვეყრება

სანათელო ბედი და ხვედრი!..

ორ ძმაზე ვწერდი...

და ვაგრძელებ ღვიძლ ძმათა ამბავს,

ვუშველო რამე, რომ მომავალს, –

ნარგსა და ნარგავს;

პირველი:

ნაზირ-ვეზირებთან ტოლობს და სწორობს,

სიავეს მისსას

აღარა აქვს თავი და ბოლო;

ხოლო, მეორე:

გაწირული ბედშავად მისგან,

წვალობს,

ჯახირობს,

დღე და ღამე ჩაბღუის მიწას;

ქარში,

ქართოშში

გდება ერგო ტიალად, ბეჩა,

მას, უწინარეს, გაჭირვებად

სამშობლო ექცა.

პირველი:

ოქროს, ფუფუნებას

არის ჩვეული,

ეძებს, შოულობს –

სამშობლოთი

ვაჭრობს, წყეული;

ყიდის... დახლი აქვს,

განმკითხავი, აბა, ვინ არის,

ბედნიერია,

მხიარული,

ენაწყლიანი;

ხოლო, მეორე:

სინანულის თაღქვეშ შობილი,

ო, გულმართალი,

პირდაპირი,

არა ორპირი,

აშენებს სახლებს,

ეკლესიებს ახურავს კრამიტს,

სამშობლოს თვისას

კვლავ შეებას როგორმე კარი;

როგორმე

ღობე შემოერტყას ქვეყანას თვისას...

არ სძინავს ღამით,

მიუყვება თემშარას სისხამ;

აღვიძებს სოფელს,

მოდუნებულს,

სისხლისგან დაცლილს,

და კაცს

სოფელში ენატრება

მართალი კაცი!...

ორ ძმაზე ვწერდი...

– არ ვათხოვე არავის ყური,

ორ გზაზე, მრუდზე

და მეორე ლარივით წრფეზე,

შავზე და თეთრზე,

რას დაადო, არ ვიცი, წუნი,

ვთქვი შავზე - შავი,

ლურჯზე – ლურჯი,

და თეთრი – თეთრზე!

ორ ძმა ბედშავზე...

განა პირველს

არა ჰგავს ბევრი,

მამულის ღლეტას

განა ცოტა არის ჩვეული.

რამდენი ყულფი გავსანთლოთ

და გავრანდოთ ძელი,

რამდენჯერ უნდა გავაცინოთ

ეშმა წყეული?!..

ამინდი

ღრუბელი ყარიბია,

წვიმა – ყარიბი;

სუფრა ღარიბია,

ჩვენ კი - არიფები;

წვიმს.

მთლად გამოცდილი ამინდია,

ტაბლად მწნილი და მწვანილია,

პურის ყუა და მარილი:

არის გარინდება და წუწუნი,

წევა თუთუნის.

და არ არის ჰაერი;

ქვეყანა ღარიბია

ამინდი ალიბია,

არიფების ალიბი...

ზედმეტად გამოცდილი ამინდია...

* * *

რას დავაკლდები, ნეტავ,

ანდა, რას მივემატები...

ვიფქრობ: – აქეთა ლეთას

ღირს რამე გულის ხეთქვად,

ეს ოცნებები, ნატვრები,

ცრემლის და დარდის ხარჯები,

შიში, წრიალი, ხეტვა...

ან:

იქეთ როგორ დავდგები,

გამყვება, ნეტავ, ავდრები –

რაც მე ვუგინე დედა;

ან ოქრო ბაღის ვარდები

და ბულბულები ზედა...

რას დავაკლდები, ნეტავ,

ანდა რას მივემატები,

ესე: დარდ-ნაღველს ვადნები,

არაა დანამადლები

ცრემლის და დარდის ხარჯები,

ტიალ-ბეჩავად გდება...

* * *

ამ ყალბ ლოცვა-ვედრებას,
უარყოფილ ნამდვილს,
ამ ბნელეთთან კვეთებას,
ამონთხევას ბრაზის;

ველი – ცეცხლი მედება –
მობრუნებას ნაღდის,
ამ დღის გადაფერდებას
ჩასვენებას ამ დღის;

ცა და მიწა ერთდება
და იშლება ზღვარი
ახლა გულთა ფეთება
ხსნა, საშველი არის!..

გაჭედილი ქუჩები,
აწყვეტილი ყალყი,
შემართული მუშტები,
ნიაგარა ხალხი...

ველი ღამის გალევას,
ამონთებას ცისკრის,

ბნელის დასამარება

ვიცი, ხდება სისხლით.

დაე, ნარგმა ღელვილმა

ვარსკვლავები თვალოს,

ტყვიამ გამოფრენილმა

აღარ ჩამიაროს!

* * *

ბნელის და ნათლის საზღვარი –

ერთი – სიმბოლო ზენის,

შენი ხატების მსაზღვრავი,

ნათლით ბნელისა ძლევის;

ნეტავი, საით დადგები,

ნეტავ, რა ბედი გელის,

მარჯვნივ? – ამრავლო ნათელი,

მარჯვნივ, – ჭირიმე შენი!

მარჯვნივ და ორი იქნება

და ორჯერ ორი – ოთხი,

მარჯვნივ და... ხიდი იდება

სიყვარულის და ძმობის.

მარჯვნივ და... სამი გაჩნდება,

სამჯერ ათასიც, ნაღდად,

ო, მირიადიც დადგება

შემწედ, მეოხად, განძად.

ნეტავი, საით დადგები,

ნეტავ, რა ბედი გელის,

მარჯვნივ? – გემრავლოს ნათელი,

მარჯვნივ? – ჭირიმე შენი.

* * *

დათრგუნულნი, უხვიები, –

უკვე მკვდარი ვნებანი,

ჩამომხვრჩვალი სურვილები,

მოთოკილი ნებანი;

საშოდ მკვდარი ორგიები,

ხუნდები და ბორკილები

დე ეულად გდებანი...

ძველი მოგონებანი...

ჯვრებად დგანან წყურვილები,

ნდომანი და ვნებანი,

ჩამომხრჩვალი სურვილები,

ჩაწიხლული ნებანი,

ძველი შეცოდებანი...

მწუხრია და კვდომანი

რომანების ნდომანი,

იღვიძებენ ვნებანი

ვნებანნი და ნებანნი...

ჰა, თასი და ებანი,

ჰა, თასი და ებანი!...

იჭვი

დღეს გალამაზდა რატომღაც ცოლი

(ნელსაცხებლები იშოვა ცოლმა).

შენ გახსენდება ათასი ჭორი,

მერე რა, თუკი თუშია, წოვა;

სულაც არაა, ეგ თურმე, ცომი -

გამოიღვიძო ნამდვილად დროა (!)

იჭვზე კი არა, შენ ახლა ფიქრობ,

რატომ ჩაიცვა მან კაბა ვიწრო,

რად აიწია ესერიგ მკერდი, –

(შეხედავ, არის ნამდვილი ლედი);

მაღალ ქუსლებზე რად შედგა ქალი,

რად წარიხოცა სიბერის კვალი?...

თეატრი იცის და აღარც კინო,

ჩვრიდან დღეს ქალი გამოხტა უცებ,

შენ ახლა ფიქრობ... ანდა რას ფიქრობ,

იჭვებმა ალყა დაგარტყეს გულზე;

რად აიწია ესერიგ მკერდი,

რაღა დღეს გახდა ნამდვილი ლედი?!..

მაღალ ქუსლებზე რად შედგა ქალი,

რად წარიხოცა სიბერის კვალი?!..

სულ მალე ცოლი ბრუნდება, პურით,

პურით და ძეხვით, მწვანილით, ყველით...

უცხო გუგუნით გუგუნებს ყური,

საფეთქლებია თითქოსდა გრდემლი;

და იხდის კაბას... გაგირბის თვალი...

უყურებ, – ახლა არაა ლედი,

მაღალ ქუსლებზე არა დგას ქალი,

და აწეული არა აქვს მკერდი.

მღერის ჩიტუნია, მღერის

ახლა დრო არ არის მდურვის,

მაინც ვამბობ ნაღველს ჩემსას,

ბრაზი – საკუთარი გულის

შავი ღრუბელივით დგება;

ვერ ანელებს ცეცხლი არყის,
ვეღარ ფატრავს, ვეღარ ფანტავს,
ზამთარს როდის არევს მარტი,
ცა ყვავილებს ჩაიხატავს;

როდის!.. – სული საშველს ითხოვს,
როდის!.. – მიფრინავენ წლები,
როდის!.. – მივქცეულვართ თითქოს,
ვანად მივდრეკილვართ ძმები.

მაკითხავენ უფრო ღამით,
მაკითხავენ ღვინით, იყით,
დაცხაულნი ეკალ-ნარით,
გათოშილნი ქვეყნის ყინვით,

მაგრამ სინანულით, სევდით,
თავის გამოჩენა უყვართ.
ცეცხლი მარადისი შველით,
ცეცხლი მარადისი ბუგავთ;

ესე ყავლი გასდის ღვიძილს,
მარტვილს, ოცნებებით მრთავენ,
მიჭირს, გამკლავება მიჭირს,
ნელა მიტორტმანებს ღამე,
ტაბლად მარტვილელი ბიჭი

გაშლის გაზაფხულის კარვებს.

ვუსმენ... აქ თოვლია, გალას
რარიგ ეურჩება ქარი,
უცებ ლადოსკენაც წავა, –
ცოტა როდი ადევს ვალი.
მაგრამ ქართულია ჰავა,
არის პოეზიით მთვრალი;

დადის გუმბათებზე დარდის, –
წკვარამს სტრიქონები ფატრავს,
ახლავს ზეციური მადლი.
ნეტავ, არ უმუხთლოს ჩანგმა;
ნეტავ შეიფაროს ნარგი,
დიდმა პოეზიის ბაღმა.

დილამ ჩამოჟონა სარკმლით,
თითქოს – უსარგებლომ ყოვლად,

სუფრის გაგრძელება სწადით –
ვინმე მეღამური მოვა,
ვინმე თბილისელი დენდი,
ანდა, პოეზიის თომა.

მე კი... თვალწინ მიდგას ლედი -
მუზა გაცნობილი ახლად,

მისი აზნექილი მკერდი

ახლა სანატრელი გახდა;

ხვედრი, სხვადასხვაა ხვედრი,

ჰგავდა რენუარის ნახატს;

უკვე დაბარბაცებს დილა,

აღმართს მივუყვები, ვერის.

ძღვენი ერთადერთი მიმაქვს,

ჟინი მეღამურის ხელის;

წვიმას, გადუღია წვიმას,

მღერის, ჩიტუნია მღერის.

* * *

დამესიზმრა – იდგა ობლად ?

ჩემი ხატაურა ოდა;

ნათელს ერეოდა ბინდი,

იჯდა ოწინარზე ჩიტი;

დავინახე, კაცი მოდგა,

თეთრი თმა და წვერი ჰქონდა.

ამარიდა კაცმა თვალი...

ღია იყო ოდის კარი;

აღარ ჩანდა არსად დედა,

ჩიტი ოწინარით სტვენდა...

* * *

ხსოვნას შერჩა ოდა ყავრით,

ქოხი ისლით, ღობე ხერგით.

გვიჭრიალებს მარნის კარი -

ჩვენიც შეიცვლა ხვედრი;

ჩვენს ეზოშიც გალობს ჩიტი

კოინდარი გაჩნდა გვიმთან,

სიმინდს ახლა იქით ვყიდით,

ვცხოვრობთ ისე, როგორც გვინდა.

* * *

მარი იოსავას

მარი, მარიამობას?..

უდაბნოშიც წვიმა მოვა,

თეთრი ვარდი ამოვა;

უფრო მეტიც, გულუაფირო,

ვარდის თოვლი წამოვა;

მარი, მარიამობას?..

ღრუბლებიდან მამაღმერთი,

დაეშვება, ჩამოვა.

– სიყვარული?...

რა თქმა უნდა,

უსათუოდ გამოვა.

უცებ ელდა გაგაქვავებს,

ზღვა ჟრუანტელს მოისხამ,

რადგან ამურს ეყვარები -

შეუცდომელ მოისარს.

ჩემო დაო, მარიამო,

ეგ თვალები მეტი აღარ დაინამო,

აწი უნდა აიზესხო, აილამო...

უდაბნოში წვიმა მოვა,

თეთრი ვარდი ამოვა,

უფრო მეტიც, გოლუაფირო,

ვარდის თოვლი წამოვა.

* * *

საიდან ისმის ჩუმი მოთქმები,
ვინ გაუშიშვლა ქალაქს ნერვები,
აქ ვინ გამართა ეშაფოტები
და უჩინარი სახრჩობელები;

ვინ გაიმეტა ჩემი თბილისი,
ვინ მოახვია სიმწუხარენი,
ვინ გააშავა ეს ცა-ფირუზი
და ლაჟვარდები მოკამკამენი.

ვინ გამოთანგა... როგორ ვიღლები,
ნეტავ, როდემდე, ამ მყრალ მორევში,
ეს რა ხალხია, შავი ნიღბებით,
რა არსებანი სისხლის ტბორებში.

ვინ მოგისაჯა ეს სატანჯველი,
აქ ვინ იბღავლა,
იქ ვინ იკივლა...
რისთვის ასეთი, ღმერთო, სასჯელი –
რა დაცინვაა, რა ქილიკია!...

„მზე დედაა ჩემი...“

ჩვენ მზის შვილები ვართ –

უამრავი პატარა მზე!...

...უკუნეთში, ფრთხილი ნაბიჯით,

მაკითხავს დედა...

აჰა, ისევ გამოჟონა მისი გულის სითბომ, –

მოდის და... წინასწარ ვიცი, რით მომიკითხავს, –

ჭიქა წყალი და მჭადი, რომელზეც

ჯვარია გამოსახული...

შესამჩნევად დათბა ოთახში, –

საცაა კარზე დააკაკუნებს...

მას შვილი მიწაში უწევს

და მაინც მოდის, –

მოდის ჩემთან, ვისი მეგობრებიც

სანგარში სხედან...

ჩვენ ვსაუბრობთ გულითა და თვალებით, –

ენა, ჩვენს მწუხარებასთან უძლურია!..

კარგახანს ერთად ვიქნებით...

რიჟრაჟზე, საწოლზე ჩამომჯდარი,

ისევ აიკრეფს მუხლებს, მხრებს და წავა

და...

დავრჩები მარტო

ლეგიონერების მოლოდინში,

რომ ჩემი თავი მიართვან პილატეს...

მან გაიხურა კარი და...

ვიცი მისი გზა.

იგი ჯერ შვილის თბილ სამარესთან მივა,

მერე, ლოგინზე მიკრულ მოხუც მეღლეს

ჭიქა წყალსა და მჭადის ნატეხს მიაწვდის

და მათ ეზოში მთელი დღე ხე არ შეტოკდება,

მზე არ შემოიხედავს,

ნამი არ აშრება!...

II

სიზმრად მექცა დედა,

ჩემი და – ვარდის ფურცელივით თხელი ბაია!

ის რომ მღერის, გეგონება

ოდა-სახლი, ჭადრები, ჭიშკართან აშოლტილი ნაძვი –

ყველაფერი მაღლა იწევა...

როგორც კი ჩონგურის სიმს შეეხება –

წვიმა თუა, მისი წკრიალი წყდება,

ქარია და... ჩერდება,

ყინვაა და... უცებ, უცებ დათბება.

როცა მღერის, მდინარე ყუჩდება,

ცა მირიად გირლიანდს გამოისხამს, –

როცა მღერის, როცა მღერის, ჩემი ბაია!

მერე, სულ სიყვარულზე მღერის...

ახლა, ალბათ, ზის ცეცხლთან მოწყენილი

და კიდეც თბება და არც თბება...

რამ უნდა გაათბოს?!...

რაც წამოვედი, უკუნეთი ჩამოწვა,

ღელმა და ლესტერი, მეხი და მერეხი დაეშვა,

რაც წამოვედი, დაღამდა და აღარ გათენებულა,

გაწვიმდა და აღარ გადაუღია,

გათოვდა და გაყინა ქვეყანა!...

დედას სიხარული წაერთვა,

დას – სიმღერა;

ახლა, აღარ მღერის ჩემი ბაია!

მესიზმრება, რომ მღერის,

მაგრამ ვერ იმღერებს,

რომ ცეკვავს,

მაგრამ ვერ იცეკვებს,

რომ ცისკენ იწევს ეზო-კარი,

მაგრამ მის გაყინულ გულ-მკერდს

ახლა, აბა, რა წამოსწევს?!

დედას სიხარული წაერთვა,

დას – სიმღერა!..

ყველაფერი ტყვიასავით დამძიმდა, –

ტყვიისფერი გახდა, –

ცა – ტყვიისფერი,

მიწა – ტყვიისფერი,

ზღვა – ტყვიისფერი,

ჰაერი – ტყვიისფერი;

ველარ მღერის ჩემი, ბაია!

გაქრა მისი ყვავილეთი,

ჩაინაცრა, ჩაჭკნა მისი ნარგიზი,

განიძარცვა მისი ბაღი...

ზის ცეცხლთან, დახურულ დარაბებს მიღმა და...

თბება და არც თბება...

რა გაათბობს?!...

ქვეყანას მაღლა ეწეოდა,

ქვეყანა დაინგრა,

ცას უგალობდა, –

ცა არც კი მოწმენდილა,

ყვავილებს უგალობდა, –

მიწამ უყო პირი,

დედას უგალობდა, –

დედას სიხარული წაერთვა!...

სიზმრად, სიზმრად მექცა დედა, ჩემი და –

ვარდის ფურცელივით თხელი, ბაია!..

ახლა, ამას, რომ ჰკითხო, –

ასე, ჩუმად უნდა ვიყო, არაფერი ვთქვა,

არავინ არაფერი მითხრას,

ამას რომ ჰკითხო,

შეიძლება თქვას, მაგის დარდი რა მოსატანიაო, –

საკუთარ დარდუბალაში ჩაგშლის...

თუმცა, არა!..

აბა, მაგას ეგ სად შეუძლია!..

შველი მოუკლეს, მაღალი და ლამაზი,

ცასავით სუფთა და...

სანამ მისი მიძინების დრო არ მოვა

არაფერს იტყვის...

ან რა უნდა თქვას?!..

მის სათქმელს ხომ მზე ამბობს,

რომელიც არ ამოდის,

ცა ამბობს, რომლის გულიდან

ღრუბელი ჯერ არც კი გადაყრილა,

მიწა ამბობს, რომელიც

ნაღვლით გაიჟღინთა!..

მის სათქმელს ხომ ჩიტები ამბობენ,

აქედან გაკრეფილნი,

იადონები – მდუმარენი,

ძაძებით მოსილნი,

რომელთაც ჰყავდათ და არა ჰყავთ

მაღალი და ლამაზი,

ცასავით სუფთა შველები.

აბა, მაგას ეგ სად შეუძლია!..

ჰო, ჰო, ეს მისი ცასავით მაღალი

შვილის საუფლოა,

ჰო, ახლა ეს გაყინული ყაიმეთი,

ჰო, ახლა ეს ჩამოქვესკნელებული ცა,

ჰო, ახლა ეს თოვლითა და ყინულით

გადაგლესილი წყალ-ჭალა!..

თურმე ის რომ დაიბადა,

ღამე უცაბედ განათდა, –

მთვარე დროზე ადრე ჩავიდა,

დროზე ადრე ამოვიდა მზე!

ცამ აიწია, ქვეყანამ ცას ახედა!...

III

სისხლს – სისხლი, სიკვდილს – სიკვდილი,

ავდარს – ავდარი მოსდევს,

არა, პირიქით – ავდარს – დარი,

ღრუბლებით დაძონძილ ცას,

მოწმენდილი, ცა ბარჩხალა!...

ასე რომ იყოს, შიში არ შეგჭამდა,

ყინავს და ყინავს,

თოვს და თოვს,

და ღამეა, უსაშველოდ გრძელი ღამე...

ამ წკვარამსა და ღურღუმელს რა გაფატრავს,

რა სხივი, რა ძალა მოერევა?...

ისე რომ იყოს, ამ გამოლიგვილ

ყიამეთს რამე ოდესმე გულს შუაზე გაუპობდეს,

რამე ოდესმე გასრესდეს ჰო, მაგრამ,

აბა, რა იმედი უნდა ქონდეს

ამ მირიად, ერთმანეთზე ასმაგი ნასკვით

გადაბმულ წკვარამში,

ამ თვალდავსებულ ცის შემყურეს?!..

თუმცა...

ჟამი-ჟამ, ათასში ერთხელ სადღაც იელვებს,

იელვებს და სინათლე გამოჟონავს, –

თითქოს ვიღაცამ სარკმლის სიახლოვეს

ასანთს გაჰკრა, ან თითქოს ვინმე

თაფლით მოსილმა ჩაიარა და ისევ

ყიამეთს მისცა თავი.

როგორ უმოწყალოდ გვსჯის?!..

რა ისეთი ცოდვა დავიდეთ – აუზღვავი?!..

რა ისეთი წყვდიადი დავიგუბეთ,

რომ ასე ჩამოაბნელა ცა და მიწა?!..

როგორ მოხდა ეს ამ ენამზე ქვეყანაში?..

თუმცა... რა ქვეყანა! – ერქვა და არც ერქვა,

იყო და არც იყო...

რა ყოფნაა ცის მაგიერ,

ცის ნაგლეჯით რომ გართობენ, –

შენი მთვარე რომ არ ამოდის და შენი მზე!..

სანთელი ვერ დაგვენთო,

პირჯვარი ვერ გადაგვწერა!..

ჰო, გამახსენდა...

როგორ ამოუგლისეს კირით

ღვთისმშობელს თვალები და

და ღვთის საბრძანისში

თავლა რომ მოაწყვეს...

ჩვენ მისი თვალების სინათლე გვაკლია...

მისი გული დღესაც გვლოცავს, მაგრამ

ნათელდაშრეტილნი კარგად როგორ ვივლით?!..

იმ დღეს გვექცა მხარი, –

იმ დღეს ჩამობნელდა.

ადრეც, მაგრამ, იმ დღეს

ქვეყანამ ფერი იცვალა –

დაიწრიტა, დაშთა სინათლის სადინარი,

გამოხმა, ხავსი და ფუტურო მოიკიდა...

ნათელი ხომ ეგ იყო ჩვენი, ნათელი, –

ერთმანეთისაკენ რომ მივდიოდით,

რომ ვეკვროდით, –

ერთმანეთის მაჯაზე ხელი რომ გვედო...

მე ახლა რასაც ვფიქრობ, იმას ვწერ,

რაც შემომრჩა, იმას ვიხსენებ

რაც უნდა ყოფილიყო, ის მინდა...

ჰო, ჰო, მხოლოდ ის – აწეული

ლაჟვარდი, მოჩურჩულე ტირიფნარი,

დის ცეკვა და სიმღერა, დედის სიხარული...

IV

მზე არ ამოსულა, –

რა ეჩქარება,

აქ რას დაინახავს,

რა ისეთ რამეს გამოიტანს ამ წყვდიადიდან, რომ

გულზე მალამოსავით მოეცხოს...

მე თუ მკითხავთ

არც უნდა იჩქაროს, –

ერთბაშად ბავშვების ჟრიამული

არ მივაგებოთ,

საპატარძლოთა სიზმრებით გათავებული

ეზო-ყურენი,

ერთბაშად ცისკენ აზნექილი

ბაღები არ დავახვედროთ!..

აქ რა დარჩენია?!

მე თუ მკითხავთ,

სულაც არ უნდა გამოვიდეს!

თუ არ დაეზარება

უბეში ხელი ჩაიყოს და

ამ მოხუცის ეზო-კარს

რამდენიმე კონა სხივი მოაბნიოს...

რომ...

სხვა აქ არაფერია, –

გული რომ მიუვარდეს,

სუნთქვა რომ შეეკრას და...

გადმოიხედოს...

ერთხელ რომ არ ამოვა,

მიხვდებიან, რომ არა ერთიმეორეს,

არამედ მას ესროლეს, მიხვდებიან და...

ქვეყანას სინანული ჩამოურბენს.

V

ჩვენთვის ახლა თოფი ყველაფერია!..

ახლა აქ ჩხართვებს არავინ ესვრის, –

დიდ-პატარა იმაზეა გაფაციცებული,

რომ მზეს კაკალ გულში მოარტყას...

ეგ დალოცვილიც გრნობს და არ ამოდის...

რა ეჩქარება,

მე თუ მკითხავთ,

სულაც არ უნდა ამოვიდეს, –

ბოლოსდაბოლოს, მზეა და

საკუთარი თავის ფასი ისწავლოს„

გვებუტება!...

მამაჩემი ომიდან რომ დაბრუნდა,

ცხრა ნაიარევი ჰქონდა.

ქვეყანას ჯიღასავით ადგას ეგ დალოცვილი და...

წკიპურტებიც ვერ მოუთმენია...

ხომ იცის, რომ ასეთები ვართ, –

მთიელი კაცის ცელივით გულგამოპირულები, –

კარგად რომ ვჭრით იქა,

ცუდად რომ ვლამბავთ!...

ჩვენი კარგად გამოჭრილ-გამოკერილი

ვინ რა ნახა, მაგას რომ ენახა?!..

კაი, გვარიანი ბუტია გამოდგა! –

ამოვიდეს,

ამოვიდეს და გაგვანათოს!..

რა ისეთი ბედმოუწევრები ვართ, –

ჩვენი სიკამკამე მაგის ნათელზე ბევრით ნაკლებია?!.

ახლა, წესით, აპრილი უნდა ბრიალებდეს, –

რაც ხდება, აინუნშიც არ უნდა ჩაეგდო,

ხეში წყალი დროულად ჩაეყენებინა,

ალუბლებს ხანძარივით შემონთებოდა,

მერცხლები დროზე მოეყარა...

– თქვენთვის არაფერი დამნანებია,

ედემად გადაგეშალეთო, –

სისხლს არ გვპატიობს, – იბუტება! –

ცას ჯანღს არ აშორებს და

მიწას - თოვლსა და წვიმას.

VI

უკუნეთი – უკუნეთია,

წყვდიადი – წყვდიადი!

გაღმაც სამარე ითხრება და გამოღმაც,

გაღმაც გლოვაა და გამოღმაც...

უკუნეთი უკუნეთია,

წყვდიადი – წყვდიადი!..

აბა, იმათაც შეხედე და ამათაც,

შეხედე, ერთმანეთზე როგორ ნადირობენ...

ფეხი, ფეხი არ დაუცურდეთ,

წრიაპი არ გაუწყდეთ, –

ერთბაშად შუნებს არ დაუდარაჯდნენ!..

სხედან ეს მამაოხრიშვილები მიწაყრილებში

და ერთმანეთის ნიშანში იღებენ...

თუმცა... არც სულ ესაა –

სინანულის უიმისობა!

ეს მაშინ, როცა არემარე მიწყნარდება,

თოფს როცა ხელი მოეშვება,

როცა მაშხლები ცას ჟამი-ჟამ გახაზავენ,

როცა...

უჩუმრად შემოდის ცვლა...

მაშინ არავის უნდა ომი, –

არც გაღმა და არც გამოღმა.

უხარიათ, რომ უვნებელნი ბრუნდებიან...

ძილად მიყრილებს შეყვარებულები ესიზმრებათ,

მღერიან და ცეკვავენ, –

საომარი რა იყოო, ფიქრობენ...

სატრფოებს ბარათებს წერენ,

და-ძმებს ეალერსებიან,

ყველას და ყველაფერს სიყვარულში უტყდებიან

წერენ, წერენ და... გული არ უსკდებათ!...

ახლა კი...

სხედან ღრმა მიწაყრილებში და

გაფაციცებით მსხვერპლს ეძებენ, –

ეგებ, ვინმემ უნებლიედ წამოყოს თავი,

ეგებ, ნამეტნავად თავმობეზრებული

სანგრიდან ნიაღვარივით გადმოსკდეს

და... დაბლა, მდნარისკენ გრიალით დაეშვას...

სხედან და...

თვალებით კლდეებს ჭამენ,

თითებს იკვნეტენ, რომ

სისხლის სუნი გამეტებით იკრან...

ეს მანამ სანამ ცვლა მოვა,

სანამ მაძღრები ლოგინებში ჩაეყრებიან,

სანამ სიზმრებისა და ბარათების წერის

ჟამი მოაწევს...

ახლა კი...

მუშტებით შუბლს გაგიხვრეტენ,

ნეკნებს სათითაოდ დაგაცლიან, –

ახლა მათთან რა ძალა მოვა!..

დაბადებას განანებინებენ,

ეგ, უნანური მონანიენი,

ეგ, გაღმა-გამოღმა

გაყრილ-გამოყრილი ძმა-ბიჭები!..

აბა, ერთი, ჩაფიქრების ჟამს,

მარტომ თუ გესროლა, ხელი თუ მოგიქნია?!.

მარტომ:

ამ ჭალებსა და ხევ-ხუვებს იქით,

ამ მდინარეებსა და ზღვას იქით, –

სხვა მხარეში,

სხვა ქვეყანაში!..

შეიძლება გადაგეხვიოს,

ძმასავით მოგიკითხოს,

მაგრამ აქ...

აქ ყველაფერი სამიზნეზეა!..

სხედან და თვალებით კლდეებს ხვრეტენ!..

მათთან რა ძალა მოვა!..

VII

წყვდიადი განა ყოველთვის წყვდიადია? –

ანათებენ კიდეც!..

– სისხლს ღვრიან და ნათელსაც ჰფენენ!..

აბა, კარგად დააკვირდეს,

დააკვირდეს და მიხვდება:

უიმისოდაც გავიტანთ თავს.

აბა, ამდენი ნათელი რომ მოგროვდეს,

არ გააბრწყინებს ამ წყალ-ჭალებს?

– გაყინულ მდინარეებს არ გაალღობს?

– ხეებს ფოთლებს არ გამოასხამს?..

ეს ახლა სინათლის ნატრული წყალ-ჭალა,

მზის საბრძანისი იყო!..

სანამ ჩავიდოდა, ყველაფერს ვასწრებდით,

ვასწრებდით კი არა, მის ცქერაში

ისე ვიღლებოდით, მთელი ღამე მკვდრებივით

ვეყარეთ...

ახლა არც თენდება და არც ღამდება...

ეგ დალოცვილი არ ამოდის და,

აბა, როგორ გათენდება...

განა ამდენს მოითმენდა!..

გვიყურა, გვიყურა და...

რომ მიხვდა უსაშველონი ვიყავით, –

ხელი ჩაიქნია...

თუმცა... ნამეტანი ბუტია გამოდგა.

IX

ვის რა უნდა მოჰკითხო, –

მიასვენ-მოასვენებენ ცხედრებს...

ო, ეს გამურული ყიამეთი, –

წამისად დამხობილი ლუსკუმი!!!...

ეს დედაბერი კი მოდის და

მჭადსა და წყალს მაწვდის!..

მეტი საქმე არა აქვს?!..

წავიდეს და შვილი იტიროს,

ქვეყანა იტიროს,

თოვლივით სპეტაკი კაცი ფეხზე წამოაყენოს, –

მერე რა, რომ სააქაოდ არც იხედება!..

ეგ ზარმაცი, დაუნახავი, უქნარა!..

უბეში ხელი ჩაიყოს და ამათ ეზო-კარს მაინც

რამდენიმე კონა სხივი მოაბნიოს,

ეს მაინც რა დიდი საქმეა?!..

არა, მთლიანად გვივიწყებს და ეგაა!..

გვივიწყებს და დაგვივიწყოს, –

რა ისეთი ბედმოუწევრები გვნახა, –

ჩვენი სიკამკამე მაგის ნათელზე, განა,

ბევრით ნაკლებია?!..

ხომ უნდა ამოვიდეს, –

თვალი ხომ უნდა აგვეხილოს!..

ბოლოს და ბოლოს ხომ ვნანობთ,

ხომ ვიცით, ეს ველ-მინდორი

ჩვენისთანებს მრავალს დაიტევს!..

X

ეს მოხუცი რომ მიდის,

ასე მგონია,

სხივების შეკრული კონა მიბარბაცებს...

ოთახში რომ შემოვა, მეშინია,

ისეთი ნათელი დგება...

აბა, რამდენი ტიალი დადის,

დაინახავს შუქს ფანჯარაში და...

თუმცა...

ერთხელაც იქნება და, თუ უცებ არ დამახალეს

ვიტყვი:

ერთმანეთს კი არა, მზეს ესროლეს!

ისიც კვერს დამიკრავს – არ ამოვა!

არ ამოვა, სანამ არ დაფიქრდებიან

და არ იტყვიან, „მზე დედაა ჩემი“...

მერე...

ირიჟრაჟებს, ირიჟრაჟებს და ამოვა კიდეც!..

XI

ნეტავ, ისე ვანათებდე, როგორც ეს დედაბერი,

რა ძალა აქვს, რა ცეცხლი,

პირი იქითა აქვს და მაინც როგორ ანათებს!..

ეგეთი რომ ვიყო, კარდაკარ,

სანგარ-სანგარ ვივლიდი

და ქვეყანას თვალს ავუხელდი!..

ისე..

ერთხელ რომ ამოსულიყო,

საქმე წაღმა შეტრიალდებოდა...

მაგასთან, აბა, ჩვენ რას მოვალთ, –

ჯიღასავით რომ დაადგება ქვეყანას,

ყველგან რომ ძვრება და მიედინება,

ყველგან სითბო და სინათლე რომ შეაქვს!...

მაგასთან, აბა, ჩვენ რას მოვალთ, –

ასე დანაფოტებულნი,

თვალ-ყურ დახშულნი!

ეგაა ჩვენი ძირი და ფუძე,

ჩვენი ჭერიც ეგაა, ეგ ბუტია, ეგა!..

რა, მართალი არ არის?!.

დაგვაკლო რამე?!..

ახლაც, ყველამ ერთად თვალში რომ გამოვიხედოთ,

განა არ ამოვა, – განა არ შეგვირიგდება!

ამოვა კი არა,

ჩვენი სიყვარულით სულ არ ჩავა, –

წამისად ააფეთქებს ნუშსა და ტყემალს,

წამისად მერცხლებს მოჰყრის,

ვაზს ააცრემლებს –

ამ ყინულეთს თვალის დახამხამებაში გაალღობს!..

მერე და... როგორი მოფერება იცის, –

ფრთებს, ფრთებს გამოგასხამს!...

XII

კედელი, რომელსაც ახლა მივშტერებივარ,

პარალელური ოდნავ შესამჩნევი ხაზები

რომ არა, იტყვი

ერთი უზარმაზარი ხისგან გამოუხერხავთო...

თუმცა...

ასეთი ხეებიც მინახავს, –

ბიჭები მკლავებგაშლილნი რომ

ვიდექით და წყრთა რომ დაგაკლდა..

ასეთი ხეები, ამ წყალ-ჭალაში

ახლაც ბევრი დგას,

ბერმუხები, ბერი ჭადრები!...

ასეთი დიდი, დარბაისელი

ბერიკაცებიც ჰყავდა აქაურობას, –

პაპაჩემის ხნისანი, მისი ოდენები!..

ცხენითა და ურმებით გადმოდიოდა, –

ძღვენი და მოსაკითხი რომ მოჰქონდა,

განა, ისინი არ მოდიოდნენ,

განა, ჩვენი ბანიდან არ ისმოდა

მათი მოძახილი?!..

...ეს იყო ზათრის პირი,

ან პირწმინდად ზამთარი,

არა გამოზაფხული,

არა – თაკარა თიბათვე.

ან მობარბაცე ღვინობისთვე,

არამედ ან ზამთრისპირი,

ან პირწმინდა ზამთარი...

მოდიოდნენ და მზეს ფიცულობდნენ!..

მიდიოდა პაპაჩემი და სიყვარულით დაღლილი ბრუნდებოდა!

– ეს იყო მისი კინო და თეატრი,

მისი გზა და მანძილი,

მისი წლის გართობა...

ჩვენ არც მაცილები ვართ

და არც ტაკიმასხარები, –

ჩვენ მზის შვილები ვართ, –

უამრავი პატარა მზე!..

როგორც დიდ მშობელს ეკადრება,

ისე მოვიქცევით!..

მერე რა, რომ ახლა

ჩვენი დანახვაც არ უნდა, –

გულს მოიბრუნებს...

იცის, რა ბედმოუწევრებიცა ვართ

და ვაგლახად არ დაგვყრის!..

თუმცა, რაღა ბედმოუწევარნი?!..

რა არ მოგვცა,

რა ოცნებას არ გვაწია,

რა ყანა არ მოგვაყვანინა,

რა გემო არ გამოგვათლევინა

რა ხომალდი არ აგვაგებინა?..

რა ცად არ გვაფრინა?!..

ამდენ ამაგს წყალში არ ჩაყრის,

გულს მოიბრუნებს, – შეგვირიგდება!..

მშობლიურს ვერც ეგ გაწყვეტს,

მან იცის, რომ სხვა ყველაფერი შეიძლება,

მისი გაწყვეტა – არა!...

ჰოდა, გადაიწევს თალხი,

დაჩნდება ცა და სივრცე თვალს დაეზომება,

სინათლე დაურბენს ირგვლივეთს

და შეიმოსება დედამიწა –

მაღლა, მაღლა აიწევა მისი გამთბარი მკვერდი და...

ისევ აგალობდება ბაია, –

მის სიმღერას არ ექნება დასასრული,

როგორც ცას,

როგორც სიყვარულს,

როგორც უფლის მიმტევებლობასა

და მზის გულუხვობას!..

* * *

საორბელოში თათრულ ბაიათს

მღერის საღირა, ოქროსკბილება,

გულში ტკივილი ხანჯლად გამიარს –

მის მზისფერ ასულს ნუ ეწყინება;

ნუ შემიძულებს სტუმარს, დარდისთვის

არ მღირსებია თავსასთუმალი,

ასი ათასი დღეს მაქვს კრწანისი

და სტუმარს ვსტუმრობ ახლა, სტუმარი;

მღერის საღირა... გადმოხვეწილი,

მთვრალი სურნელით ჩემი მამულის,

ჩაის დამისხამს მზით დაფერილი

ქალი – საღირას დღესასწაული;

მღერის... სამღერი რა აქვს ამდენი,
ან საცეკვაო და საღიმილო,
ჩემს ცოლს არ მოსწონს მისი ნამღერი,
მომტმასნებია, როგორც ღიღილო.

რისი შიში აქვს ნეტავ, ფიქრიას,
რომ შარაგზისკენ თვალი გაურბის?..
– თურმე საღირას ათი შვილი ჰყავს,
ათასი ცხვარი ველზე დაუდის...

აქ უპოვია ტკბილი ნადიმი –
ცა ჩამოშლილა ოქროს წვიმებად,
დღესასწაული, მართლაც ნამდვილი,
შემოხვევია შვილიშვილებად...

იმ ბერწ ქალაქში, ფიქრი, რად იწევ,
ნეტავ, რისი გაქვს იქ მოლოდინი.
უზარმაზარი სრა აქვს მასპინძელს,
ჩვენთვის ექნებათ ერთიც ლოგინი.

ამ ღამით ეგებ დაგყვეს იღბალი,
და საპირწონეც ნახოს საღირამ,
ჩემო ძვირფასო, დღეს ხომ მითხარი,
ჯერ საორბელო ჩვენი სახლია!..

* * *

ბარაქალა!

მოდის, მოდის –

ძალა ლომს და

ძალა აფთარს, –

უცხო ტომის

კაცი ქონდრის,

ვინღა არჩევს

მტყუანს, მართალს!

ზამთარ-ზაფხულ

გვძიძგნის, გვძირკვავს,

ქვას და ღარტაფს,

სტოვებს ხრიოკს,

ქონდრის კაცი

მასზე ვინც თქვას...

არ გვიტოვებს

ხვალის ღიობს.

ბარაქალა!

ჩვენს სისხლს უღრენს,

და კისერზე

გვადგამს უღელს,

ბარაქალა! –

ჩვენს მომავალს

გამეტებით

ნაჯახს უქნევს.

ულხენს

უცხო ტომის კაცი, –

გვჯიბრობს,

გვქიშპობს,

წყაროს გვიშრობს, –

ბედს გვიმზადებს

მონა საწყლის,

ჩემო

უდარდელო ჯიშო!

* * *

ო, არაფერი, არაფერი აღარ ყოფილა,

შენს სინათლეზე, თვალთა შუქზე უფრო ბრწყინვალე,

– შენ გასული ხარ ამა სოფლიდან,

ამა სოფელში ვერასოდეს ვერ იციალებ;

მინდვრებს ანათებს განა მიწყივ მთვარე ეული? –

მათ შენთა თვალთა ელვარება შერჩათ ოდნავი,

დაქრის ფრინველი ღამისეული,

ისმის მდინარის ნელი შფოთვანი;

გარინდებულა ველი უკიდო,

და სენაკისკენ სიბნელეში მივემართები,

ქვეყანა ასე რად გახადე უგზო, უხიდო.

და დაგვიშრიტე თვალთა ნათელი;

ამა სოფელში ნეტავ როდის გარდმოვა მნათი,

შენ აიკეცე რადგანაც ფრთები,

დგას მარტოსულთა გვრინი და ხაფი

და იხლართება ერთმანეთში დუნიის გზები.

* * *

ყველა მოვიდა,

თითქმის ყველა,

ვისაც ველოდი.

ყველამ ადგილი მონახა, –

ზოგმა წინ,

ზოგმა შუაში,

ზოგმა უკან.

ერთი მთლად კუთხეში

გაილურსა...

იქ ურჩევნია,

ხელს არავინ

აღარ შეუშლის,

იქ ურჩევნია,

სადაც ჩრდილი

ბლომად ეცემა...

* * *

ახლა სევდა ლოდად მაწევს, –

ღამე ქართლის ქურუმია,

ახლა... ვიღაც ამბობს ქართლზე, –

კითხვა ამოწურულია.

ვაი, მაგის რჯულს და პატრონს –

ყრუია და ურუმია..

* * *

რათა გვახსოვდეს

ერთმანეთი

რათა გვახსოვდეს,

რათა გვიყვარდეს

ერთმანეთი

რათა გვიყვარდეს,

აუცილებელი არაა სულაც,

რომ ერთი დიდი

ჭერი გვეხუროს,

ერთი დიდი

მინდორი გვქონდეს -

ზიარი ყანა,

გაუღობავ-გაუმიჯნავი.

* * *

მთელი თვეა რაც ცა სტირის,

ისიც თითქოს ჩვენსას ჩივის,

დღე და ღამე ძლივას გამაქვს, –

ცაზე ბურთი აღარ ღვივის;

მოწყენილი ვსხედვართ შინა,

გორა დარდებს ვებღოტებით,

ჟონავს სახურავით წვიმა

და ცის გახსნას ველოდებით.

ბოლო ციხე

რა გვიშველის? – ახლოვდება

ბოლო დღე და დარდი მახრჩობს,

დრო მიდის და წამოდება

თუმც ნაღველზე არ ღირს სანჩო;

ბოლო ციხე-სიმაგრეა

ასაღები, მაგრამ როგორ,

არ არს სურო-ლიანება

არ აქვს ფერი, ტესტი, ლოგო;

არც ის ვიცი, საით არის, –

რა ნათელში ან წყვდიადში,

ვაგრძნობინო ერთხელ მაინც

ჩემი გულის ხვაშიადი;

ლანდი მომეყიამეთა,

სიზმრად ეშმა ქირქილებდა.

აწი არ მოგვიწევს, ალბათ,

ბრძოლა ქარის წისქვილებთან;

ბოლო ციხე-სიმაგრეა

ასაღები, მაგრამ როგორ,

არ არს სურო-ლიანება,

არ აქვს ფერი, ტესტი, ლოგო.

* * *

მტრების ჯინაზე

ვხვდები გოგი გაჩეჩილაძეს...

შევხვდები ხვალეც,

ქვეყანა რომ დადგეს ყირაზეც;

ზეგაც,

მას ზეგაც,

იმის ზეგაც და იმის ზეგაც,

არ დამჭირდება იმედის ძებნა...

მტრების ჯინაზე,

ის ტირილის არაა მომხრე

„ტირიფი ტირის,

ტირილის ხშირის“...

მტრების ჯინაზე,

რომ ქვეყანა დადგეს ყირაზეც...

მოდის გიორგი გაჩეჩილაძე,

და არად აგდებს დროსა და მანძილს,

მატერიკიდან მატერიკამდე,

ოკეანედან, ოკეანემდე;

ო, სასწაულად გაშლილი კაცი!...

* * *

იცვლება ჰავა,

სვანეთისაც იცვლება ჰავა,

და ამ ცვლილებას

შეეჩვია, არ ჰკვირობს მავხშიც,

გააქვთ

ვეება მანქანებით სვანეთის ძალა –

მირიადობით სრა-სასახლე

შენდება ბარში.

„მიშგულადეღ სი“ –

თავს იწონებს ერეკლე ბიჭი –

ტყე დიდად დიდი

სიმდიდრეა ოდითგან სვანის,

მაგრამ დღეს ვატყობ,

რომ თანდათან მართლდება იჭვი –

ასე თუ კაფეს

ვაი, მაშინ სვანეთის ბრალი.

მაღალზე ვდგავართ

და ახსენებს ერეკლე თამარს,

ამბობს – ამ არეს

მოუხდება დედოფლის ძეგლი,

ენგური გრგვინავს,

მიტკალივით ჰკიდია ქარაფს

და სჩანს სვანეთის დათოვლილი,

მაღალი მხრები.

* * *

სიმწარის ჟამმა მოაწია, –

აწ მე ვინა ვარ,

თვალს ცრემლი აღარ შორდება და

გულს – სიმძიმილი,

ო, დაცლილია სავსე თასი –

შხამის ფიალა,

მიყუჩებულა ყველა დარდი,

ყველა ტკივილი.

წევხარ რა მშვიდი,

სერაფიტა ჩვენი დროისა

და გასუდრულნი,

გაყინულნი თავთით გადგავართ,

გვიახლოვდება

უკვე მწუხრი საღამოისა –

ჩაესვენები მიწაში და

მნათიც გადავა;

აწ რაღად ვაქნევ

ამსოფლიურ ავლადიდებას,

ნეტა არც ვიყო –

გვემული და ასე წყეული,

თვალთაგან ახლა

ცრემლის წვიმა ისე წვიმდება,

სული ცა იყოს და

ღრუბელი ჩემი სხეული...

* * *

ამ დაღამებას,

ახლა ისე ღამდება, მარე,

მთვარე მოჰყვება,

გაანათებს ქვეყანას, მთვარე.

გათენდება და...

მზე ამოვა თეთნულდის მხრიდან,

გირლიანდები

მირიადი დასცვივა ციდან:

ვედრება ჩემი

მძიმე ნაღველს დაუსვამს წერტილს,

იქნება მზე და

მზის ქვეშეთი იქნება შენი...

შენ იმეუფებ,

მზის ნათელში, ნათელში მთვარის...

და ამ წკვარამი ღამეების

არ შეგჭამს ჯავრი!...

ამ დაღამებას

ახლა ისე ღამდება, მარე,

მთვარე მოჰყვება,

გაანათებს ქვეყანას მთვარე...

* * *

ერიდას ემონება ერი და

ზეიმობს, ერიდა!..

ყვავილობს ღვარძლი და შური,

ქვეყანა შურისაა ჭური...

ქარდება ისე ვით ნაფაზი, –

სამშობლო ხანძთელის, საბასი;

შაურიც არ ადევს ნამუსს,

ქართველები ჰყიდიან მამულს...

ქვეყანა დავითის და შოთას,

მოთქვამს!..

* * *

ზღვა

რომ წუხელ გუგუნებდა;

ცა

რომ წუხელ გრუხუნებდა

ეს ქვეყანა, ვით გადარჩა,

ღმერთი თუ არ უყურებდა?...

* * *

შენ რომ გინდა,

შენ რომ გინდა,

გაზაფხული კარავადო –

სული ხორცთან,

სული ხორცთან

რითმე უნდა აალამდრო.

შენ, რომ გინდა,

შენ რომ გწყურის,

სანავარდო სათავადო,

არამ არტო სათავადო

სანავარდო არა მარტო,

სურვილს

სული თუ არ აჰყვა,

წავა ყოვლი არავადო!..

* * *

ცა, ქართლის ცა ტირის,

შენ გინდა, რომ შველოდე,

შენ გინდა, რომ სიყვარული ზეობდეს;

შენ კი გინდა, მაგრამ

სიბნელეა და ყურუმი ზამთარი –

შენს სამშობლოს შესევია უთვალავი აფთარი.

გინდა ისევ ბაღად იქცეს,

ქართლი ბაღად გესიზმრება,

მოგიზგიზე ბაღად;

შენ პაატას გული გიცემს,

შენ გიორგის გული გიცემს,

შენ დავითის გული გიცემს, ალბათ.

ძელი, წაქცეულა ძელი,

ქვეყანას რომ შეყრიდა,

ქვეყანას რომ შეარყევდა, შვილო,

ცა, ქართლის ცა ანგრეულა

და ღრუბლების გადაწევას ცდილობ;

შენ არ გინდა ღვარძლი იყოს,

შენ სულ სამშობლოზე ფიქრობ,

და ეს ფიქრი ვერ გაჰყვება ღადარს,

შენი დიდი პაპა იყო,

იყო, გუშინ იყო თითქოს,

დარუბანდის კართან.

იყო, აფხაზეთი იყო

იყო, ნიკოფსია იყო,

იყო, დიდი ტაო იყო, შვილო,

შენ არ გინდა შური ჭამდეს,

შენს ქვეყანას დარდი გლეჯდეს

და ღრუბლების გადაწევას ცდილობ;

ცდილობ, ევედრები გამჩენს

სანთლებს ანთებ,

შველას შესთხოვ ღვთისმშობელს,

შენ რაცა გაქვს,

ჰქონდა ხანძთელს,

ჰქონდა თამარს, ჰქონდა დავითს,

ნუ შეგაკრთობს და ნუ დაგღლის

შენი მიზნის სიშორე;

შენ ხომ სისხლი გიდუღს მათი,

შენ ხომ იმათ ნათელს მისდევ,

შენ ხომ გთუთქავს შენი ქართლი,

შენ ხომ ცოტნეს გული გიცემს,

გევედრები, იდროვე!

* * *

ბროლის კოშკი ამიგია,

ცას ვწვეულვარ ოცნებით.

ახლა... ვეღარ გამიგია,

რად ხამს ბროლის კოშკები.

მოშრიალე ეს ზაფხული,

ქრება ჩემთა დღეთა,

შემოდგომა – დასასრული

მომეყიამეთა...

* * *

სვანეთი –

მშვენიერი სიზმარია,

სვანეთი -

ცაში ნავარდია,

არ ქრება –

ის, რაც ცინცხალია,

არ კვდება

ის, რაც მარადია.

თავისუფლებაზე

ზღაპარია

ჩახვეული

შორეულ ნათელს,

საქართველო

მასაც აბარია –

სამრეკლო მაღალი მნათე.

ღმერთო,

აშორე ლამარიას

ქარნი

ავნი და ბნელნი,

სვანეთი

საქართველოს ლამპარია, –

საქართველოს

გვირგვინია ძველი.

* * *

სულაც არ მინდა ვერსიები,

ჰიპოთეზები –

მილიონობით კაცის შრომა წყალში ჩავყარო.

მე, უსაქმურმა,

ლოთმა,

აშარმა,

ქალის მუსუსმა,

ო, ვინ არა,

ღმერთო, შემინდე!...

არ მინდა სულაც,

მაგრამ, როდესაც

კაცობრიობის დასაბამზე წერენ გულცივად,

თხზავენ ათასგვარ სისულელეს,

არ შემიძლია,

არ შემიძლია

დაკვირვება ჩემიც არა ვთქვა.

სატრფოზე ფიქრში,

ვინც პირველმა ათია ღამე,

დასაწყისიც და დასაბამიც

ის არის, სწორედ!..

* * *

ყველა, ბენგურიონია,

ყველა, მოშე კაცავია,

ეს ტიალი ჰურიები,

ჭკუას ვის არ ასწავლიან;

ესე მითხრეს: – დასაბამით

მათ ათასი ყური ებათ, –

გულს სძინავსო, – რა გითხრათო,

მეტი, აბა, ჰურიებმა;

გული თურმე არ ღვრის ნათელს,

თურმე კარგად არ მუშაობს,

საქართველომ თურმე... ქართლელს,

ერთი, უნდა გაუშალოს...

წინ გაიგდოს, არბენინოს,

რომ ამ ქედებს გაბღაოდეს,

ერთი ორად აზღვევინოს,

რაც იძინა აქამომდე:

დამიხუჭეს ორივ თვალი –

დამიხატეს ყიამეთი,

მომაჩეჩეს საფიქრალი, –

მართლაც, ხომ არ სძინავს-მეთქი...

* * *

ყველაფერი თქვენი არის,

არაფერი მიმაქვს,

ჩემი ყველა ნატერფალი,

წაუშლია წვიმას;

დარდი არის ეს ცხოვრება, –

არის გულის წყვეტა,

თითქოს ოქროს ვაშლი მედგა,

ტყვილა... ჰაი, დედას.

არაფერი,

არაფერი,

არაფერი... ვფიქრობ,

სულ მეგონა,

სულ მეგონა,

სულ მეგონა... – იყო!..

* * *

მწერლებთან ერთად მე ვიყავ ჩარგალს,

და ვაჟას ქოხთან ვიდექი დიდხანს,

მომიახლოვდა და ერთმა ბრიყვმა

სახლი ვაჟასი სად დგასო, მკითხა.

მე დავიბენი, ვიგრძენი ზაფრაც, –

ესეც თუ მისი ხვედრია-მეთქი

წამომეშალა ფშაველი ცქაფად,

ვაჟას რა აქვსო, სახლების მეტი.

რომელს კითხულობ, ამას თუ იმას, –

სახლებს იმერით თუ ამერ სახლებს,

ვაჟას აქ აქვსო მარადი ბინა -

მარჯვენა გულზე დაედო ფშაველს...

მწერლებთან ერთად მე ვიყავ ჩარგალს...

* * *

ბევრი იგინება ქალაქს,

ეს გოგონაც – ღიღილება,

შვებას ვეძალებით - არაყს,

სუფრა კვამლში იძირება;

სხვა საშველი არა, არ გვაქვს, –

ცა, ქართლის ცა იბღვირება,

ესე:

სუყველაფერს გვპარავს,

გვძალავს, მწარედ იკბინება;

ცა დაბალი რას არ ქელავს,

რას არ ქირდავს, აწრიალებს,

გოგოს ტყუილებით ბერავს

კაცი, ვინმე სატიალე;

ეს გოგონაც, ღიღილება,

სწუხს და მწარედ იგინება,

შვებას ვეძალებით - არაყს,

სუფრა კვამლში იძირება...

* * *

თავისუფლება პირობაა,

არა – დემონი!..

მისი სახელით,

თუმც გაძარცვეს ჩემი სამშობლო,

მისი სახელით,

ჭაბუკები ჩაწვნენ მიწაში,

მისი სახელით

ტყვია წივის, კლავენ და კლავენ...

მისი სახელით,

მატყუებენ თუმცა ყოველდღე,

მაგრამ

იმედიც გვიბევრდება მისი სახელით,

მისი სახელით,

ცა იწევა მაღლა და მაღლა,

დილა თენდება, მზე ამოდის, მისი სახელით,

მისი სახელით ისევ ვდგებით ბარიკადაზე...

მისი სახელით

ვხვდებით ხოლმე, რომ ვართ ცოცხლები

და ამ პირობას, მოცემულობას

ენერგიულად ვიღებთ ყოველ დილა ცისმარე...

ილიას ეტლი

ვბერდები, მაგრამ
ჯერჯერობით მივარღვევ წკვარამს,
უდაბნოდ მარებს
ვერ მაბრმავებს უდაბნოს ქვიშა,
და ვიხდი ღალას
გადაუხდელ ვალსა თუ ღალას,
რომ ეს სოფელი
ხელეორედ იძრას და იშვას!..

აქა ვარ... თავი შეგახსენეთ,
ვფუსფუსებ სკაში,
აქა ვარ,
ჭიქა ღვინოთი და ყუათი პურის,
დავდივარ ტყეში,
ვეხმარები ბეჩავებს მკაში,
აქა ვარ;
ვინმეს ცარიელი არ დარჩეს ჭური;

აქა ვარ, რიდით,
სულ მცირედით,
აქა ვარ კრძალვით,
აქა ვარ,
დიად გათენებას სხვებივით ველი,
აქა ვარ,
ღმერთის საუფლოზე მიჭირავს თვალი,
რომ მას ვერასდროს
ვერ წაავლოს ეშმაკმა ხელი;

დიდება დედებს, –
ღვთისმშობელის დარებს და მგვანებს,
შვილებს, –
სინათლის მეუფება ქვეყანას ამცნონ,
სალამი ჩემი
გაზაფხულებს, – ლურჯსა და მწვანეს,
დიდება ბეჭედს
დამბადებლის ხელებით ნაჭდობს;

სალამი ჩემი,
წრფელზე წრფელი.
გვეგვეს და თიღვას,
ჯამუს და ნესას,

ყალიჩას ქალს, – კერიის მაფას.

სალამი მტრედებს,
სინედლეს და ალიონს სისხამს,
სალამი სტუმარს, –
იტორტმანოს მარადის სახლმა!...

აქა ვარ!...
თავი შეგახსენეთ, – ვაკავებ წყვდიადს,
ძეცთომილებო,
ო, გულმკვდარი ათასგზის თქვენგნით,
დილა მწყაზარი ახლოსაა, –
ცის კიდე ღვივა,
გზად რომ ბუღია,
მიგრიალებს ილიას ეტლი.

* * *

ვახტანგ ხარჩილავას

რომ შრიალებს არის ქვიშა,
რომ ჩხრიალებს, – კრამიტია,
ჩვენ თუ არა, აბა ვინ ზღვავს, –
უამური ამინდია.

დანარჩენი? –
ბჟუტავს ჭრაქი,
ოდნავ გრილი საღამოა,
ერთმანეთის
კვლავ გვაქვს ხათრი, –
ჭიქა ღვინო საამოა;
ამაოა, ესეც, მაგრამ
უებარი მალამოა!...

* * *

ბედობის დღეა; –
ვინ რას ნატრობს
ოცნებობს, ელის...
ვაი, ჩემს პატრონს,
საწერკალამს
მოვკიდე ხელი...

* * *

ბევრს ალაგეზე
გადასვლა უჭირს...
მთა-მთა ვიარე,
გამოდგა ფუჭი;
ზღვა-ზღვა ვიარე
და რა მაქვს ხელში, –
ვერ გავიმართე
ვერაფრით წელში;
ვწალდე და ვთელე
უვალი გზები,
რა ვპოვე, აბა,
დაღლილმა ძებნით;
აღარაფერი...
ვარ უფასური
ამათოების კერძი უცილოდ,
ცოცხალი, მაგრამ
აწ, ყავლგასული,
გაღმა გამსვლელი,
თითქმის უჩინო...

* * *

მითქვია ბევრჯერ,
სანატრელო,
გამოღმაც, გაღმაც,
რომ:

არაფერი არაა წაღმა...

მითქვია ისიც,
შებრუნდება
ბორბალი სოფლის,
ესე, რომ ამინდს
არ ურევდეს
ჩვენს შორის ზოგი...

მითქვია ბევრჯერ
სახელებიც,
გვარებიც, მაგრამ
რა გითხრა აბა?!..

* * *

ჩემი გულისთქმის მე ვიცი,
ჩემი დარდის და ფიქრისა,
მოდი, ეს ღვინო შემისვი,
ღვინო წმინდა და ლიცლიცა:

დალიე, გული გახსენი,
შენი სამღერი იმღერე,
თორემ ტიალი სიკვდილი,
ვინ იცის როდის გვიყელებს;

ააჩხაკუნე ფანდური, –
დარდმა შეჭამოს მიწაო,
მოვიდა ჩემი ნათლულიც
უფალი დაიფიცაო,

მოვიდა, გვერდით მომიჯდა,
ალადასტური იამა,
დაილოცა და დაგვლოცა.
თქვა: დარდმა გადამიარა;

წავიდა, როდის ეგ მოვა,
ერთი ზაფხული გავაო,
ეზო და კარი, ბარბაცით
ახლახან გაიარაო,

დალიე, გული გახსენი,
შენი სიმღერა იმღერე,

თორემ ტიალი სიკვდილი,
ვინ იცის როდის გვიყელებს.

* * *

– ამ უჯიათ ამინდს
გადვურჩებით, მამი?...

ამინდივით ბავშვიც
თითქოს უჯიათია,
ზანზარი და ზათქია, –
ცა ჩამოდის ფეხად,
ლესტერი და ლეღმა,
გაუვალი ლათხია,
მილეული მადლი
და კარი-კარ სატანა,
თითქოს გამჩენს ჩვენი
დაუკარგავს ხათრი
და ჭირს მეტის ატანა...

მაგრამ...
მამა დენდია,
ღვინო ერთი კვარტი...
თითქოს ზეცის გახსნაზე,
თითქოს მზეზე მეტია
თეო თეთრი ბანტით;
დედას მამის ხათრი აქვს,
ჭრაქიც უკეთ ანთია
ასი ათინათი...

* * *

შენი ცა ვრცეულია
შენი მიწა ფართოა...
როცა მტერი ძლეულია,
ლხინი როცა წვეულია.
ბედი მაინც წყეულია, –
კაცი მაინც მარტოა!..

შენი ცოლი სათნოა,
დედა სიტყვა გზიანია,

შენი ბიჭი სანდოა,
გოგო სახე მზიანია;

გინანია ბევრი,
მტერზე აღარ გინანია,
სინანულის ჭერიც
შენი არა მთლიანია;

შენი ეზო ფართოა,
შენი ზეცა ვრცეულია,
გაზაფხულმა გათოვლა,
გაზაფხული წვეულია?..

* * *

სითბო გახდა სანატრელი –
სიცივე და დარდი მომესაყდრა,
სახლთან ვდგავარ დარასელის,
ვანიონის, მერე, ზაზას სახლთან;

შეწუხება არავისი არ მიყვარდა,
ის თუ მყავდა მეგობარი სანდო,
– რაო, ბიჭო ქარი ადგა,
ქარში ხომ არ გახსენდები მარტო...

სიყვარულით მკლავებს მომხვევს
რიდის აღარ დამიტოვა ნავლიც;
ახლაც მახსოვს სიტყვა – მოხვალ?
და ღიმილით ჩანაკრავი თვალი;

ეს ცხოვრება, ო, რარიგად გაითალხა,
ვით დაიმცრო სიყვარულით სავსე
„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ“...
ვის რა ბედი მოაწიე, რა სვე;

გათანგული იწვა კაცი,
არ მიმიღო... ხასიათზე არ ვარო,
ტყუილია, ყველაფერი არის ფარსი,
ჩემი გზა მაქვს და ჩემს გზაზე წავალო...

სამდურავი ალბათ ჰქონდა,
ქვეყანა არ პატრონობდა თავის შვილს,

მეც ტკივილი დამიგროვდა.
დარასელის მოგონებას არ ვიშლი...

სულყველაფერს ქარი წეწავს,
მაღალ ხეებს ხანჯლავს ქარი უბირი,
მისებურად დავილოცო მინდა დღეს და,
მეგობრებსაც მისებურად ვუღიმი.

* * *

ვინ იცის, ერთი უბრალო კვალი,
ეგებ გაგვიღე წმინდა ხნულისა,
ეგებ ანთია პატარა კვარი
ჩემი შენდამი სიყვარულისა;

უსაყვედურო შენი ლხინი ვარ
დამთმენი შენთვის ჭირთა მარადის,
ეგებ, მეც ლექსი დაწერილი მაქვს
შენი საფერი, შენი თანადი;

ეგებ, მეცა ვარ სხვა გზად მარები,
შენთვის ვნებული, შენთვის მარხული,
ეგებ... ესე რიგ ნაკამკამები
მეც მოგიყვანე ეს გაზაფხული.

ეგებ... არც ენთო ჩემი სანთელი,
(შენ თუ უშველი ჩემს გაორებას)
არცა მქონია რამე სათქმელი
და უფხო იყო ჩემი ცხოვრება;

ეგებ, ტყუილად ვხარჯე მელანი,
ვერ გადმოვეცი გული ლექსებად
ეგებ, სხვა შარა, სხვა გზა, ვერანი,
და ბედ-იღბალი უნა მეძებნა!..

* * *

ჟამი მწიფობს, ლერწამთდადრეკის,
შემოეპარა ბაღებს, გამზირებს,
თამაში... ისევ ხელი წამგები, –
წაგებას თავი ვერ დააღწიე;

ვიწრო ოთახი – ჩიტის გალია
გაჟღენთილია „მახორკის“ კვამლით, –
წაგება ისევ... დასანანია
როცა იმედებს გაუდის ყავლი.
მაინც ბოლომდე... შენ პიჯას იხდი
ფანჯრებში როცა ზრიალებს ქარი,
მერე პერანგსაც, – ეს ნიშნავს სიკვდილს, –
ვერ დაუსხლტდები სქილას და ქარბიდს...

II

სასამართლოა, ხარ დამნაშავე
არავინ გიცავს და არც გიცდია,
ან რაღა დაცვა სჭირდება სიზმარს
ან სიზმრის დაცვა ვის შეუძლია,
ვის შეუძლია მიზეზი ახსნას,
ითამაშე თუ იქურდე, – მორჩა!
ჰა, იმარჯვებენ ჟანგიან სასხლავს,
მაღლა იწევა კანონის დროშა.
ეს ორი დღეა საკანში გდიხარ,
გამძიმებს შენი სხეული – თიხა,
მოღუნებული და მოშვებული
თითქოს ფოლადის ეკლებზე ზიხარ;
და გესიზმრება მამის სახლ-კარი,
ბროლის სასახლედ და ციხე-კოშკად,
მწვანე მინდორი, წმინდა ცარგვალი –
დედის ვედრება და მამის ლოცვა;
გზა ნაგზაური, ხიდი ჩამტყდარი –
პაპის საფლავზე მოსული შამბი
და ჩაძირული ნისლში ლატალი,
აცოცებული კიბეზე ბარდი;
შენ გესიზმრება დალის ნაწნავი
და კლდის ბილიკზე ბეთქილის ლანდი
და საფლავიდან – სუფთა ცასავით –
ამდგარი მამა ეზოში დადის...
მერე იღვიძებ... ისევ საკანი,
ქვედამხობილი ქვითინებ მწარედ,
დაურწევია აპრილს აკვანი –
კვირტების რია-რია დგას გარეთ;
სარკმლის გისოსზე თავმიდებული
ტირი, ირღვევი, სხეული გითრთის
და გიკვირს: გული დამძიმებული,
არ სკდება ისე, ვით თოთო კვირტი...

* * *

ქვეყნად სხვებივით ნეტავ მეცხოვრა...
ახლა, რაც ხდება ჩემზე, ახია,
ჩემი გზა მუდამ ღვთის გზა მეგონა,
რომ ჩემი სული, ჩემი სახელია...

ჩემს მოუბადეს, სული ეცხონა...

ჩემში ვიწევდი, არა-პირიქით,
ეს რა გამოდგა, რა ეკლიანი,
ვერ გამოვწალდე ერთი ბილიკიც,
უკარო ციხედ რჩება, ტიალი.

მესმის ათასი ქარის ქილიკი...

ბებერი საზამთრო მსხლის სევდა

ამ გაზაფხულზე
დამიჩნდება
შიშველი ტანი.
და მოჭრაც, ალბათ,
დიდი ჯაფა დაჯდება ჩემი,

მესმის ჟამი-ჟამ, –
მამაოხრის სად წვდება წვერი,
მიბჯენილი აქვს
ცისათვის თავი...

გულმავიწყობა, ო, უზომოდ
გამხდარა დიდი,
დღეს არვის ახსოვს
პურზე რიგი, სიმინდზე რიგი,
არც ამას, ახლა
მამაოხერს მიწოდებს ვინაც,
ვის სახლად მუდამ
სახურვიდთ ჟონავდა წვიმა;
ვის კარად ედგა
მუდამ ზარი,
სიცივეს, შიმშილს,
ო, სიდუხჭირე

ვისიც მუდამ
ძმა იყო ღვიძლი...

ჰო, აღარ ახსოვს
ნალიაში შენახულ ხილის
გემო, ან თოკზე
გაკიდული გამ ხმარი ჩირის;

უფრორე მეტიც,
დაოკება შიმშილის ამით,
ხეჩავებს მართლაც,
რომ იოლად გაჰქონდათ თავი;

ახლაც მაგიდას
რომ უმშვენებს ნაყოფი ჩემი,
შენც ხომ გესმოდა –
„მამაოხრის სად წვდება წვერი“! –

გულმავიწყია
ეს ქვეყანა
ნამდვილად დიდი,
ზუგდიდ-ქალაქად
ვეღარ ახსოვს მარცვალზე რიგი;
ან გემო მჭადგი გარეული
დაფქული მსხალის,
ან ცხობას მისსას
მილეული გული და თვალი
ამბობს გამძღარი
მამაოხრის
სად წყდება თავი,
ამ გაზაფხულზე დამიჩნდება
რადგანაც ტანი!...

მაგრამ...
ჯერ ვდგავარ
და მეცემა პირველი წვეთი
წვიმის და თოვლით
მეთოლვება ტოტები პირველს
თუ დამეცემა, დამეცემა
უადრეს, მეხი,
როცა ქვეყანას
გახირული
თვალში აქვს დირე;
ჯერ ვდგავარ, ვდგავარ,
ჯერჯერობით ცას ვწვდები თავით.

თუმც სინანულის
აღარცერთი
არა ჩანს კვალიც;

თუმც დაფასების
მილევია სოფელსაც ღონე,
უმადურების შედგომია წყალი თუ შხამი;
თუ წელს გადავრჩი,
დავჭირდები, სუყველას, ვგონებ,
გავედრი ყოველს,
ღმერთო,
შენსკენ მიჭირავს მიჭირავს თვალი!...

* * *

გადაიარეს
სამშობლოზე
მძიმე ავდრებმა...

რამ საიმედოს ვერ ვხედავ სვეშიც,
ფიურერობას რადგან
ყველა მიენატრება
და ფიურერის
თანამგრძნობიც
ბევრია ჩვენში.

* * *

ო, სიამეებს
ამ ქვეყნიურს ვეღარ გავექეც,
ამურის ზღვაში
გდებასა და ყვინთვას ნიადაგ,
ღმერთო,
წუთითაც არ ვყოფილვარ,
მე შენს მხარეზე,
მობოდიშებაც,
ნახე,
როგორ დამაგვიანდა.

მაგრამ სჯობს გვიან
და გულწრფელი ვიყო ნამდვილად,
რომ პატიება-მიტევების
მემცნოს სიგელი,
არ დამივიწყო,
თუკი ახლაც, დილაადრიან
დავლიე ღვინო ძველებურად,
არ ვარ ფხიზელი!..

შემომეგება
მობარბაცე ჩემი ნათლია.
ღვინო თუ არა –
დავლიოთო –
სხვა რა გვიშველის,
გზაზე, რომ მიდის
ჩითის კაბით, ვისი ვარდია,
შემოაბრუნოს
წამით მაინც აქით კისერი.

* * *

წყალში გავიდგი ფესვი,
ღრუბლებს ზემოთაც ვიფრინე,
ღრუბლებს ზემოთა წყლებში
ისე, ვით ქვემოთ ვიბრწყინე;

ტანი ვიზარდე თქორში,
მსურდა წყალივით მედინა,
ვიცხოვრე წყლების დროში,
წყლების მკლავებზე მეძინა;

წყალი, ღრუბელი ფესვი,
ვერ ვთქვი მიწა და მიწყინა,
ფთილა მეკავა ხელში
თეთრი, თოვლივით ფითქინა;

ვიყურებოდი ჭერში
თეთრმა ღრუბელმა მიცინა
ვიდექ ყელამდე სთველში, –
ვიცი და არა ვიცი რა...

* * *

როგორ ვთქვა ახლა,
არაფრად არ ღირს
სკვერი თუ ბაღი
მწვანედ, რომ ფეთქავს,
არ შველის მეთქი
ჩემს ქალაქს დაღლილს,
როგორ ვთქვა ახლა,
როგორ ვთქვა ახლა.

როგორ ვთქვა, არა,
არ შვენის მეთქი
ჩემს ქალაქს ძეგლი,
ფანტანთა ჩქერი,

როგორ ვთქვა, როგორ
კალა-მეიდანს
არ დასტყობია ოსტატის ხელი!...

როგორ ვთქვა,
როგორ ვიცრუო ერთი,
მითხარი,
კარგზე როგორ ვთქვა-ცუდი,
არა, არაფრით! – შემწეა ღმერთი –
არცერთი წამით,
არცერთი წუთით!..

მაგრამ... ვით არ ვთქვა,
სათქმელა მძიმე,
სახატად მძიმე,
საწერად ძნელი,
რომ:
დღეს სამართალს
თვალში აქვს დირე,
რომ ჩამოგვექცა
თავხე და ჭერი!..
ვით არ ვთქვა ახლა,
ვით არ ვთქვა ურვით,
ბევრგან დგას ზარი.

ცრემლები მოძმის
ვით არ ვთქვა ბრაზით,
ვით არ ვთქვა მდურვით,
ვით არ ვთქვა, წყენით,
ვით არ ვთქვა, წყენით!...

ვით არ ვთქვა, მკაცრად,
ვით არ ვთქვა, მკვეთრად,
სირცხვილი ქვეყნის,
ნამდვილი ჭირი,
რომ ისევ ქურდობს,
რომ ამდენს ბედავს,
დამაქცევარი – უძღებო შველი!..

ვით არ ვთქვა,
გინა დამექცეს ერთად
ზეცა;.. და მიწაც
ფეხქვეშ, რომ იძრეს,
არ ვთქვა, სხვაც ბევრი
სნებათა ჩვენთა,
სნებათა ავთა
განი და სიგრძე!

არ მინდა ნიშნი,
არ მინდა კიცხვა,
არ მინდა ბრძოლა
წისქვილთან ქარი,
მაგრამ ამ კითხვებს
მავანის შიშით,
ვით მოვუხუჭო
ფხიზელი თვალი!

როგორ ვთქვა ახლა,
მუქია ლურჯი,
თეთრია შავი,
შავია თეთრი,
არ იცით მეთქი,
არ გესმით მეთქი,
ხომ არ გრძნობთ მეთქი
არ ხედავთ მეთქი.

პარადოქსი

ეძებეს და კიდეც ჰპოვეს,
საგურამოდ დასახლდნენ,
დაუწუნებ, აბა, რომელს,
ეზო-კარს და საახლეს;

სამართალი გაიტყუეს,
მაგრად დააპანღურეს,
რომ ვთქვი, მხრები აიწურეს
გახდა ერთი საბუე;

ეს ქვეყანა ლათხში სძირეს,
მართლაც იყვნენ მგლებიო,
მეფე ამბობს: ივაზირეს,
იყვნენ კარგი ყმებიო...

* * *

ჩვენ გავიარეთ
რუსთაველის შაირი ერთად,
საბა-სულხანი წაგვაკითხა
გულდინჯად ღმერთმა;

გურამიშვილის სულ დაგვდევდა
მწუხარე ლანდი,
გამოგყვა დღემდე
ტატოს დარდი, ილიას დარდი;

ჩვენ გავიარეთ
სინანულის თაღებქვეშ მეფის,
ვთელეთ ერთიან
მაშრიყის და მაღრიბის გზები!..

ახლა კი ახლა
საკვირველად ჩამივლი, უბრად,
ჩამივლი ცივად,
სუფრა თუა არ ჯდები სუფრად;

მე ვიწევ შენსკენ,
შენ გარბიხარ,

ვით გველი გაკრთობ,
დადიხარ მარტო,
მომიცია, გზა არის ფართო;

მაგრამ თქვი ერთხელ,
სად დამიცდა ვაგლახად ფეხი,
რამ დასცა
ჩვენს დიდ მეგობრობას
საზარი მეხი!

იქნებ... გზას ავცდი,
– ცალკერა
ხორცი ვამეუფევე,
ქვეყანას
ცეცხლი ეკიდა და სული ვუბერე;

იქნებ, ეშმაკი
შემიჩნდა და მისი კერძი ვარ,
არ მახსოვს ღმერთი
და ტაძარშიც აღარ შევდივარ;

იქნებ... პირიქით,
– გავარკვიოთ –
იქნებ პირიქით,
ნახილიკარი სანამ
გახდა ერთი ბილიკიც.

* * *

რა მეშველება ნაღდად არ ვიცი,

დაიწყო ჩემი სულის კრწანისი;

არა მქონოდა რამე მიზანი,

სურვილი რამე, ანდა ხალისი;

არ შემეხედა ნეტავ ცისათვის

დღისით მზისათვის, ღამით მთვარისთვის,

რა იქნებოდა რომ არ მენახა,

რომ ეტკარცალა სადმე თავისთვის;

რა მეშველება ნაღდად არ ვიცი

დაიწყო ჩემი სულის კრწანისი...

ჩვენ და წეროები

ჯერ კიდევ მშვიდი
ჰორიზონტით ერთობა თვალი,
ჯერ კიდევ სძინავს,
ღვიძილამდე დრო არის, ქარის;

ჯერ კიდევ ღრუბელს
ცარიელი მიმოაქვს ცური,
ჯერ კიდევ სუფევს
იდილია საამო, სრული;

მშვიდია დღე და
შემოდგომის მზე თბილად ღვივის,
არ ითხოვს შველას
ცას გაკრული წეროთა მწკრივი:

ჯერ კიდევ, მაგრამ...
აიწყვეტენ ქარები თავებს,
ნისლები ზანტად,
დაეშვება მთებიდან მარე;

წვიმებს წვიმები
მოჰყვება და დადგება ღვარი,
გაქრება თბილი
ჰორიზონტი, მოიწყენს თვალი;

მოიწყენს სული, –
შემოდგომა თავის გზით ივლის,
შერჩება ხსოვნას
ცა ლურჯი და წეროთა მწკრივი!...

წვიმებს და ქარებს,
მეხთატეხებს, ზათქსა და დგანდგარს,
ჩვენ აქ შევხვდებით.
წეროები არავართ რადგან

რადგან მიკრულებს
ამ მიწასთან, – დასჯილებს ამით,
გვგონია,

მისი უსაზომო, რომ გვადევს ვალი;

და ვიხდით ჯაფით, –
ვეფერებით მშობლიურ მიწას,
რომ სიყვარულსაც,
უსაზომოს, ვატარებთ მისას!..

ვთქვი წეროებზე,
თუმცა გაასწრეს წვიმებს და ქარებს,
გათევა ღამის
რა უჯდებათ ვინ იცის, მარე?

ვინ იცის, ეგებ,
არც მისულან მიზანთან ახლოს,
ველარ მონახეს
ვერც ტყისპირი, ველობი, ახო;
ეგებ, ნანობენ! –
წეროებზეც ვიფიქროთ უნდა,
ეგებ, საზარი
ღამეები, დღეები უდგათ!

ეგებ...
სივრცეებს შეერივნენ, ძაფივით წვრილი,
გადიფრენს იქნებ,
მოლანდებად წეროთა მწკრივი!..

* * *

ვაჰ, სად ვიყავ, რა ცოდოში,
ბედმა როგორ მაგლოვა და მატირა,
დღე ვერ ვნახე სამშობლოში,
სამშობლოში ვნახე ბევრი ატილა;

აწეწილი ვნახე ქართლი –
გოდება და უღიობო ცარგვალი,
გალეული უფლის მადლი,
გაცრეცილი, უნიათო ნაგრამი;

არ მცილდება სახე მათი,
არ მშორდება, ძილია თუ ღვიძილი,
სასო როგორ ქრება ქართლში,
ქართლში როგორ გაიაფდა სიკვდილი;

წუთისოფლის ბრუნავს კევრი,
ჩვენზე ბრუნავს, ვილეწებით ერთიან,
გამიწოდე ძმურად ხელი, –
მოსახვევი ვიწროა და მკვეთრია!..

გამისწორე რითმე თვალიც
და ნაძარცვი დაუბრუნე ქვეყანას,
მომაწოდე ჭიქა წყალი,
მოშველებაც იყოს შენი ბეგარა!...

ახლა მაინც ვიყოთ ერთად,
ახლა როცა მეუფეობს წკვარამი,
ეგ ქონება, იცის ღმერთმა,
არარაა, შვავია და არავი!..

სამშობლოა, გაეც ხარკი,
ტოილოა, და ვეხვევით ტოილოს,
საით იწევ, გხედავს ნარგი,
ცრემლი ცვივა, თვალზე ხელი მოივლო!..

* * *

ედგა სახლაკი ტყისპირს,
გადახურული ისლით;

ბაღი ეკვროდა სახლაკს
ედემის ბაღი, მართლაც...

ედგა მარანიც კეთილს,
შავიც ესხა და თეთრიც...

თუ ხნავდა
მშვიდად ხნავდა,
მოძალე არვინ ყავდა;

თუ თესდა,
მშვიდად თესდა,
ჩიტი სულ თვალწინ ეჯდა;

თუ მკიდა
მშვიდად მკიდა,
ცა დაჰღუოდა წმინდა...

მას დილა ჰქონდა წყნარი,
და შეღამებაც წყნარი,
ცოლიც სადარი შეხვდა,
მშვიდი, მწყაზარი ქალი.

– სუფრა?
უყვარდა სუფრა,
ეფერებოდა ჩხავერს.
მარჯვენს იდებდა გულთან,
ღიმით ჭუტავდა თვალებს.

ღმერთმა, ვარდივით შლილი,
მალე უბოძა შვილი;
უფრო ამაღლდა ჭერი
თუმც საზრუნავი ბევრი
გაჩნდა... იდგა და მოდგა,
წაბლის გამართა ოდა!...

II
არ გამოკერდა ოცნებას,
არსად გაადგა ფეხი,
მან მშვიდი ყურე მოძებნა,
არის მართალი გლეხი;

ცხოვრებას გემო აწაპნა
და სიყვარულად იქცა
ჰაუ, რამდენი აცალა,
გამჩენმაც, დედას ვფიცავ!..

მის ეზო-კართან მოვუცდი,
შვილებს გართულებს შარად,
გამოვა გზაზე მოხუცი,
ტაატით, მშვიდად, წყნარად;

ხელს ჩამომართმევს ალალი,
საღვთო შესული ხანში,
არ ავიწყდება მთავარი
შემიპატიჟოს სახლში;

საღვთოდ კი არა, მორიგე
ღვთისა, საუფლო კარის,
სუფრას შლის უკვე თოლიგე
მისი ძვირფასი ქალი;

და ვუფიქრდები ბუნებას

კაცისას ხშირად მძიმეს,
ის გაერიდა ცდუნებას,
კმარობდა მუდამ მცირედს.

უბრალო ყოფას დასჯერდა
მშვიდად იხადა ვალი...
გულთან მიიდო მარჯვენა
და მომიჭუტა თვალი...

III
ტყისპირს ვრგავ ბალს და ალუბალს,
ხან, ვსხლავ და ხანაც ვბარავ,
ბადიშს აქ სახლაკს დაუდგამ, –
ხელისდადება კარავს;

გულში ის უკვე სახლდება –
აქაურობა უყვარს,
აქ სხვანაირად ლაღდება/
ტანიც ოჩოკოჩს უგავს;

ის აქ იპოვნის უნოვნელს,
ჩემთვის დაკარგულს მარად,
ეს ეზო-კარი ვუბოძე,
მეც მარადიულ ფარად;

აქ რა უნდოდა...

აქ რა უნდოდა... (შემხვდა იორზეც),
არაბი აქ რამ ჩამოასახლა,
წამოწოლილა კოჯრად გრილოზე,
არად დაგიდევს, ხარ თუ არა ხარ;

ქართლისა, ერთი, ვინ რა იწამა,
ჩავეძიები, რა გვაქვს საერთო.
ნეტავ, არაბი რად აილანძა,
ღამეს რიჟრაჟი რად ამოენთო?!..

რაღას დაეძებს... დამერღვა ტანი,
ათი თაობა აქ დასამარდა.
ან რამ შეაკრთო, მშვიდი და წყნარი, –
დავითის თოფი ხომ არ გავარდა;
დიდგორს ხომ აღარ მოასკდა ქარი,
ქართული ჯარი და დაბანაკდა!...

რაღამ შეაკრთო, უზარმაზარი
უდაბნოს შვილი ქართლში ანაზდად,
რამ შემოუნთო უცებ ხანძარი.
რა გაიფიქრა ნეტავ, არაბმა;
იქნებ დაღლილი, ცუდად ნამგზავრი,
ველარ იგუა კოჯრის ბალახმა;

რას ნატრულობდა აქით მავალი,
იქნებ, ეჩვენა აბო სიზმარში,
იქნებ, სულდიდი შთამომავალის
მოწამეობა არის მიზანი;
იქნებ, ემტერა ვინმე, მავანი,
გამოქცეული არის ხიზანი!...

იქნებ, სამშობლოს წყალი დალია.
და ცა გაეხსნა ქართლის ეგების,
იქნებ, სულ ჩვენი ნათესავია,
ჩამომავალი ქართველ ბეგების.
ეგებ სამშობლოს დიდი ვალი აქვს
ძმა საფიცარად ეგებ ვერგები!..

რაღამ შეაკრთო, უზარმაზარი
უდაბნოს შველი ქართლში ანაზდად,
რამ შემოუნთო უცებ ხანძარი,
რა გაიფიქრა ნეტავ არაბმა?!..

შიში

გრანიტის ოთხი შავი კედელი...

არ ვიცი,

რა ვქნა, რა წყალს მივეცე,

გრანიტის ოთხი მფარავს კედელი

და კიდევ, როცა სამალავს ვეძებ,

არ ვიცი,

რა ვქნა,

რა წყალს მივეცე...

* * *

მიგზავნიან ფულს და რისთვის,
კაცმა, რომ თქვას, აღარ ვიცი!..

ალბათ დილით წავალ ფოსტას,
გავიყოლებ კოკს და კოხტას,
ვადღეგრძელებთ ჭიქა ღვინით
შვილებს, თუმცა... არ ღრს მოცდა.

სამივესი
ცოლი თურქეთს,
სამივესი,
შველი რუსეთს,
რაღას ვიზამთ,
ასე მოხდა!..

ორნახადი უნდა კოკის,
მოტანამდე მაჯას ვუზელ,
ჭიქა იყო სითბოს მოგვრის, –
ცოტად მოეშვება გულზე;

ამბობს: –
ლოცვით, პირჯვრის სახვით,
ალბათ არის ღმერთი მაღლით,
გვაცოდვილებს ჩვენ აქ, მათ იქ
და არა აქვს ჩვენი ხათრი;
ვერა, ვერ მივცხოვრეთ სწორად,
ვხვდებით მიქცეულნი კვდომად,
ესე: ფული და ცხოვრება,
არ ღირს გაკეთება ღობად!...

მაინც ადღეგრძელებს ფუძეს...
მაწვდის ფარატინა ფურცელს.
მეტყვის: ერთი ჩამიწერე,
ეს ნათქვამი გამიგრძელე;
ქაღალდია რას არ უძლებს!..

* * *

ჯერ ბალავარიც
აღარა აქვს ჩაყრილი, გვანჯის, –
ჰზის კერიასთან და ფიქრებს ვარცხნის:

– ჭიშკართან ხრეში მოყარა
და კირს ყრის ორმოში,
მოზიდავს აგურს და სულ მალე გავა ბოლოში;

რაღაც შვიდ დღეში
ამოიყვანს სახლის კედლებს და...
მეორე შვიდში – კიდეც შელესავს...

ვარცხნის თავისთვის
და ალაგებს, ჭკუის კოლოფი,
კარგ სახლს ხომ უნდა სახურავი, კარგი ჟოლობი;

ჰო, ავიანიც,
რომ გადმოდგეს მერე ამაყად,
(თუმც აივანზე რაღა უნდა, გვანჯი არ ავა)

აწყობს, ალაგებს...
კარგ სახლს კარგი ჭიშკარიც უნდა,
იქნება ისიც, წინ რაღა უდგას!...

ითვლის თითებზე,
ანგარიშობს, – აშენებს კაცი,
მეც ჩემთვის ვზივარ,
მელიმება, ოცნებას ვაცლი.

* * *

„ვაი, შური, საყვარელი...“
– ათრთოლება გედის,
ჰანგი შენი სანატრელი,
შენი ჩელა ბედი.

შენი ცა და ვარსკვლავები,
შენი მზე და მთვარე,

შენი მხრებით ნაკავები,
სიყვარულით ვთვალე:

ნეტავ, ისევ ია-ვარდიო,
და ცა ლურჯად ღებო,
არასოდეს იავადო
მთვარებრო და მზებრო!..

იწალკოტო, იანკარო, –
უცხო ფერი ძებნო,
საქართველოს წინა კარო,
სტუმრის მისაღებო!..

მარტვილობით გართული ვარ,
შენთან ვრჩები ვალში,
მე შენი ცის ნატრული ვარ
საქართველოს ცაში!..

სტუმრები

უმიზეზო მეჩვენა წასვლა,
ისე, ვით მოსვლაც უმიზეზო მეჩვენა მათი...
ვერ გამოებნენ ვეღარაფერს,
ვერც სითბოს ჩვენსას, კეთილ მოპყრობას.
მწყაზარ ასულებს მოჭიქულ ცარგვალს,
და ვერც საყვარლად მზის ამონთებას;
ვერცა დაისებს, – შეღამებებს გრილს და საამოს.
ვერც ჭალებისკენ გაექცათ თვალი,
და ვერც კამკამა ნაკადულებს გაუგეს გემო...

არც ის გვითხრეს, საიდან იყვნენ –
აღმოსავლეთით გაიშვირეს ერთხელ ხელი და
სადაც ნაღველმა დაუჩრდილა
სუყველას სახე...
ვეღარ დაუდეს ვერაფერს გული.
საყანე მიწა გავიმეტეთ, ტყეც და კორომიც
და დასახლება ვურჩიეთ ჩვენთან, რადგან
სუყველას დიდი კრალვა დაჰქონდა ჩვენი...

ან მოსვლა მათი რაღა იყო,
ან წასვლა მათი...
ღამეს მოყვნენ და ღამეს გაყვნენ, ბნელს
შეერივნენ და საფიქრალი დაგვიტოვეს
არც თუ მცირედი!...

* * *

აღარ დაადგა აღარაფერს საშველი წლობით, –
მოიკიდა ცხოვრებამ ობი!..

გადაგვირბინეს ყველას ერთად, ვატყობ, კატებმა,
გველევა ხელში ერთადერთი ჩვენი ხატება!..

ყოფნა-არყოფნის გზა საყარზე თმენით და თმობით.
გვედება გულზე სამარის ლოდი, –
ყველაფერი კვდება, თავდება!..

ობიანობა, საშინელი ობიანობა!..

მიზეზს არავინ კითხულობს თრობის:
ამ კითხვის ჩვენში რახანია დაეცო თრომბი!
თვრება და თვრება ეს ქართველიც,
თვრება და თვრება,
თუ გინდა ყურში აუფეთქე ათასი ბომბი...
ტყვრება და ტყვრება!...

ობიანობა, საშინელი ობიანობა! –
ქვეყნის ბნელეთი შეყრილია და ერთად ბოგინებს,
და ამ წყვდიადთან, ამ წკვარამთან ლოიალობა? –
ხოლოს მოგვიღებს, უსათუოდ ბოლოს მოგვიღებს? –
მოიკიდა ცხოვრებამ ობი!...

* * *

გლახა ვინმე არ გეგონოთ, დევგმირია ნამდვილი,
ვის არ ახსოვს მისი დიდი არაერთი ნადიმი;

გულით, აბა, როგორ გითხრა, არის მთების ოდენა,
აბა, დიდგორს ვითარ შესძლო სასწაულის მოხდენა:

ახლა... თითქოს მოღლილი; მტერმა თითქოს მოდრიკა
მხატვარი და ქანდაქარი, მეომარი ოდითგან.

მაგრამ მალე სულს მოითქვამს, ფეხზე მტკიცედ დადგება,

გადაჯეგილ ბაღებს აქცევს ისევ უფლის ბაღებად;

ღვთის მოსავი? – უკაცრავად, მეტოქეობს ჟამი-ჟამ,
ღვთით დალოცვილს, ო, უცილოდ, აქვს ამგვარი ქარიზმა.

არაერთი გამარჯვება ისტორიას უმშვენებს
ახლაც წარსულს ნამყო-მყოფადს ბზის და მშვიდად უჯერებს.

ჯამუს გზა

მღერის, ფანდურს აჩხაკუნებს
საბრალო ხმით აპრაკუნე:
ჯამუ წამოდგება სუფრით,
იტყვის, როგორ არაკუნებს, –

ეს, სულძაღლი,
ეს, რჯულძაღლი,
ეს, ღმერთძაღლი
აპრაკუნე?..

შეგაძულებს ამა სოფელს,
სულ ვით ვყევარ გალახული (!)
ეს ქვეყანა, ღმერთო, მოსწე
აპრაკუნეს დანახული.

ის კი ზის და აჩხაკუნებს
ეს სოფელი რარიგ ვალსო,
ვის არ სწყლავსო,
ვის არ კლავსო.
ვის არ უსპობს მომავალსო...

II
გარეთ გაზაფხული ფეთქავს,
მარტის ქარი უბერავს,
გარეთ დიდი ჭყონის ხე დგას,
მარტო ტოტებს უფერავს;

მოლი მიწას ხათქა-ხუთქით,
ხეთქავს, ზემოთ მოიწევს,
ჯამუს ვეტყვი, სადმე ზუგდიდს
ჩავსხდეთ საღამოისკენ;

ეღიმება, ყვავილობის
ფერი სახედ დაურბენს

– ისევ ზუგდიდს? – იყოს დუგდიდს
ჰავა თუ არ აურევს.

წავიყვანოთ იქნებ ბესაც,
იცი, კარგად მღერისო,
გაიხარებს, ხვნა და თესვა, –
მძიმე ჯაფა ელისო.

...ვსეხვართ ტაბლად, უკვე ვავსებ
ჭიქებს, ვიწყებთ საუბარს,
აპრაკუნეს ჯამუს გზაზე
ჯერ ფეხი არ დაუდგამს.

* * *

ღმერთო, რა კარგად მაჩხუბე გუშინ, _

სიცარიელეს ვუქნიე მუშტი.

ეგ, ჩემი მტერიც რითმე იყელე _

ანახე ჩემი სიცარიელე!...

* * *

შენზე კი არა,
ჩემზე ვდარდობდი,
შენთვის კი არა,
ჩემთვის ვნატრობდი;
ლუკმას ცრემლებში
ჩემთვის ვალტობდი,
ეზო-კარს ჩემთვის,
ჩემთვის ვამკობდი;

თუ რამ ავაგე,
ჩემთვის ავაგე,
თუ რამ წავაგე,
ჩემთვის წავაგე;
თუ გითანაგრძნე, –

ჩემს თავს წინარე,
ჩემს თავს ვუვლიდი
თუ მოგიარე;

ხედავ,
ყველა გზა ჩემთან იკრება,
სიკვდილიც ალბათ
ჩემთვის იქნება;
მოდის და
ბოლო სიტყვასაც გეტყვი,
გზას გაუყვები
ჩემსას და ჩემთვის!...

* * *

ვინ რა იცის რა ვიქნებით სვეში
თუმცა გული, რომ გიყურებ, მშვიდდება,
მზე ჩაღვრილა ემაგ სინაზეში
შენში არის ცის და მიწის დიდება.

არ გაფრინდე, ჩვენს აბუდრებს ჰშვენი,
იქ, თბილისში რა გამოლევს ასულებს
მომიტანე წყაროს წყალი, პეშვით,
მომედარე და სახეზე მასხურე;

არ დაკარგო სიტურფე და ეშხი.
და ღიმილი გულუბრყვილო, ბავშვური
გაიღვიძებს მარიამი შენში
და დარჩები ალბათ მარად ქალწული.

გარინდული ბეწვის ხიდზე ვდგავარ,
სად წავიდე, თავი რაღას ვახალო,
გათენდება და ჩემს გზაზე წავალ,
იქნებ კარგო გათენება მახარო!..

ნოე

...ორმოცი დღეა,
რომ გასცქერი წყალსა და ღრუბელს!..

ორმოცი დღეა,
ნიშან-წყალი არა ჩანს დარის,

წვის,
ერთმანეთში ამზღვლეულა წყალი და ქარი;

ორმოცი დღეა,
რაც ტალღები ცას ძუძუს სწოვენ,
ორმოცი დღეა
ქვესკნელ-ზესკნელ მივლენ და მოვლენ;

ძლივს უძლებს ნავი
მათ საშინელ ზათქსა და დგანდგარს,
მაინც სახეზე
ღვთაებრივი ნათელი გადგას!..

დაინთქა ყოვლი...
გამქრალია ხმელთი სრულად,
არ არის ის, ვინც
მოგხვევია ალალად, ძმურად;

ვისიც არასდროს
არ გიგრძვნია გესლი და შური,
ვისთანაც ბევრჯერ
გაგიტეხავს ძვირფასად პური;

ყველამ ერთიან
გაიხურა სიცოცხლის კარი,
მღვრიე ტალღებში

სათითაოდ მილულავს თვალი!...

არ ვი, გამჩენი
როგორ არჩევს მართალს და მტყუანს
ვიფიქრო როგორ,
რომ ოდესმე რამეში სტყუა!..

მაგრამ რას ერჩის,
ვინც დღემუდამ ჩაბღუის მიწას,
ვინც ხნავს და თესავს,
საუბოვედ არა თლის ფიცარს;

თუ თლის და... აგებს
საბზად სახლებს, კოპწია ოდებს,
რომ დახვდეს სტუმარს,
და პურ-ღვინო თავისი ჰქონდეს;

ვინც უვლის ნარგს და
მიაჩნია ღვთის ნებას დაჰყვა,

და მაინც მისთვის
არაფერი არ ბრუნავს წაღმა!..

კითხვა შობს კითხვას
და... პასუხი არა ჩანს ჯერაც,
თუ სკდება მეხი,
თუკი სადმე გრგვინავს და ელავს,

ლვეშ უდგას ხოლმე
თვინიერი, მორჩილი უფლის,
ქანაობს თუკი,
მის თავს ზემოთ ქანაობს ყულფი;

თუ ნამავს მინდვრებს,
ოფლი მისი, ცრემლები ნამავს,
გაკრთება თუკი,
მის გულ-მკერდთან გაკრთება დანა!..

ვით, ვით ვთქვა ახლა...
ნამოქმედარს რითი ჰგავს ღმერთის,
ვით, ვით ვთქვა ანდა,
ქმნა განმრიგემ ბედის და ხვედრის;

სადიდებელი ვით ჩამოვკრა თარსა თუ ებანს,
ერთიან როცა
ყველაფერი კვდება და ქრება;
რომ დამბადებელს
სიყვარული არ ჰქონდა, კრძალვა,
რომ მისი ნებით
ყველაფერი დაფარა წყალმა;

ვერა, ვერ ვიტყვი! –
სატანამ ქნა, სასტიკმა ეგზომ,
ღმერთმა კი...
ღმერთმა გადარჩენა მოდგმისა შესძლო!

...
ნოე ნავში ხარ,
ცოტაც კიდევ, ცოტაც გასმელი,
შეთხელდა ნისლი,
იწურება თანდათან სივრცე.

შენ ხარ რჩეული,
შენ – ერთადერთ, განდობს გამჩენი,
რომ კაცთა მოდგმას
დასაბამი ხელახლა მისცე.

ორმოცი დღეა
ელოდები ზეციურ ნიშანს
ორმოცი დღეა...
სამართალი თავის გზას ჰპოვებს,
წავლენ, წამოვლენ
ტალღები და დაჩნდება ქვიშა –
მოიტანს მტრედი ზეთისხილის პაწია რტოებს.

ჟინი

პაპაჩემმამა მასწავლა მტერი –
არ წაგთვლიმოს არასოდესო!...

მას აქით ჟამი გავიდა დიდი.
მას აქით,
ვეღარ გამოვცადე ვერაფრით თავი...

ახლაც,
თემშარას გავყურებ ზეგანს,
მაგრამ...
არსაით არ ისმის ჩქამიც.

სულ ბევრზე ბევრი,
ვნახე მოშურნე
სულ ბევრზე ბევრი, –
სხვისი კარგი ყოფის მოძულე...

ვერა და ვერა,
მოვიხელთე, ვერაფრით, მტერი!...

მაგრამ ის მოვა და დაუსვამს წერტილს მოლოდინს.

თუ გამექცა ჯავრად ვიქცევი.
თუკი მომკლა, სამართალი აღარ ყოფილა!..

დაბამბულ ლოგინს
და ტკბილ სიზმრებს ჩემთან რა უნდა!

მე ბედად მერგო
ნარზე ვეგდო მთელი ცხოვრება.

მამა-პაპეულ ხმალს ვეფერები!..

ეს მე მოვდივარ ღრმა წიაღიდან.
გადაბმული ღამეების ჩახსნა მე მევალება.

აქ, თუ დგას, ჩემი ორანი დგას, –
ჩემი ხერხემალი კავკასიონია.
და ის ჩემს გულ-მკერდზე ვეღარ გაივლის,
ვერ ჩაიმუხლებს ჩემს წყაროებთან,
ჩემს პურ-ღვინოს ხელს ვერ შეავლებს!..

როგორც სტუმარი, არასოდეს მწვევია იგი.
თუ მოდიოდა, ჩემს ასაკლებად
და ცის მაგიერ მიტოვებდა ცის ნაჭერს მუდამ!...

ცხოვრების წესიც რომ შეიცვალოს,
ძველი წყენა მარად გამყვება.

თუმც რას შეიცვლის...
მისი ხარბი სუნთქვა ჩამესმის,
მისი ნაბიჯი მეყურება, – მოვა საცაა!..

ძმებს მიქეზებს და ძმები მესვრიან.
მათ მტრები, აბა, როგორ ვუწოდო.
ძმისგან დამწვარ სახლს, ვით დავარქვა
მტრისგან დამწვარი!..

ის მინდა, იმას უნდა შევება...
რომ ცამ და მიწამ იწყოს ზანზარე,
რომ თქვან, დალეწეს ყველაფერი ირგვლივ დევებმა!..

გავყურებ შორეთს,
ვინ იცის და ეგებ გამოჩნდეს;
ეგებ, უცაბედ გადმოევლოს მთას
ან ამ ზეგანს, ანდა ხევიდან ამოყოს თავი!..

გამოვცდი ერთხელ ჩემს თავს უთუოდ!
რა ვქნა ჟინი მაქვს და საფლავში ვეღარ ჩავიტან!..

II

ყველას თავისი საქმე აქვს ახლა...
სალაპარაკოდ ვიღა მოიცლის,
ასაღებია დროულად ყანა,
მისახედია ბაღი, ვენახი, –
კარზე ათასი მოსდგომია
სოფელს მევალე!..

– გადაიხადეთ! – იძახის გზირი!..
– გადაიხადეთ! – მოადგილე გაჰყვირის გზირის.
და იმის კიდევ მოადგილე და ქვეშევრდომი!..

რომ დავამარცხო, არა ჩანს მტერი.
გავანიავო მისი ქონება,
მისი ცოლ-შვილი გამოვირეკო!..

სულ ბევრზე ბევრი,
შეიძლება იყოს მოშურნე,
სხვისი კარგი ყოფის მოძულე.
და ისიც ჩემი მისამართით
ნაკლებად ალბათ, რადგან:
ათასი დადის გზირი, გზირის გზირი,
მოადგილე და ქვეშევრდომი!..

* * *

შენ თუ კარგად მეყოლები
და არ დამენანები
მოვარდნილი ექოები,
წვიმები და ღვარები
პირიქეთი, პირაქეთი
ბილიკები, მგზავრები
სხვა სამეფოთ ბინადრები
რამე უცხოდ მავლები
იყოს... უცხო ირიბეთი
და თვალები ცერანი.
თუკი წავა პირიქეთი
პირაქეთი ვერანი:
უცხო ხმები, ექოები
მოვარდნილი ღვარები...
შენ თუ კარგად მეყოლები
და არ დამენანები!...

არ გაიქცე!

თამაზ ჩიქვანაიას

არ გაიქცე! –
სივრცე გელის.

ანდა:
თაკარება ველის;
მონატრება
რამე ძველის,
შენი ძველი
ბედისწერის!..

ისევ იყმე:
სუნთქვა მთელის,
ფრთონა
საყვარელი ფერის!..

რომა:
შენი ხერხემალის,
შენი მალის,
შენი ნეკნის,
იგრძნო
სასურველი დგომა...
წამი ნათლიერთან შეყრის
ეგზომ
სანატრელი როა!...

არა!
არსად არ გაიქცე!..
თუ
გულს გთხოვენ,
თუ
სისხლს გწოვენ,
შენი სულის
მინდვრებს სძოვენ,
მაინც
დგომა უნდა შესძლო! –
აგვირისტო,
უნდა კემსო,
აფოფინო
მამის ბაღი,
მისი
საყვარელი ეზო!..

არ გაიქცე! –
გზა არ არის,
არის
რამე ნაღარავი,
ფლატეს მუდამ
მოსდევს ფლატე,
მშრალია და

ნაქარალი;
უფსკრულ-უფსკრულ,
ფლატე-ფლატე,
საშველი ხომ აღარ არის!..

თურმე:
მზად ხარ შხამი შესვა
ამბობ:
ამ ცხოვრების ხესა,
შენთვის
არაფერი ესხა?!..

რა მიგაქვს და
რაღას სტოვებ,
აქ რაა და
იქ რას ჰპოვებ;

უჟამობას
როგორ აჰყვა,
შენი გული –
ცხელი თონე
ძველებურად
დავსხდეთ ტაბლად,
ეგებ,
შველა იგრძნოს სახლმა,
ჩვენი ძმები
მოიყოლეს...

მოიგონე
წყალი ლიხის,
და ლიხს იქეთ
მთები ხობის,
შენზე
მოფიქრალი სისხლი,
ძნების
მათევარი წლობით!..

ცრემლი გობით დაქცეული,
შენი
ძველი ტაძრეული,
მომღიმარი
შენი ცნობით!..

მოიგონე
აწეული
ცა,

ცარგვალი
მშობლიური,
მეტად
დიდი განძეული
სიმწყაზარე
სოფლიური;

ზღვა და სივრცე,
მთა და ხევი,
დაცემული
ველი კოლხის,
გზა და შარა
გასავლელი
დაწყებული
შენი ქოხით!..

მოიგონე
სევდა ჩარგლის,
სევდა ჭყვიშის,
სევდა განჯის,
თრთოლა,
მძიმე კვნესა ჩანგის;
ბედი,
ბედისწერა ნარგის;

მოზღვავება
ატილების,
მოტრიალე
კალო სისხლის...
და მარტვილში,
ჟამიერი,
წიგნებს
ჩაფრენილი ბიჭი!..

სიზმრის
ფაფარს ჩაფრენილი,
ჩქარზე ჩქარი ლანქერივით
სიყმაწვილე
გაფრენილი...

მოიგონე-
დავსხდეთ ტაბლად,
შენი ძმები
მოიყოლე,
უჟამობას როგორ ჰყვა
შენი გული -

ცხელი თონე ....
ო, ეს ღვინო მოიფინე

ხედავ?
თეთრი რში მოჰქრის,
მოაცილებს თვალი მოგვის;
ვით გამოსცადა
ღამის ბოგინს -
ჟრჟოლას
ერთი
ვით ვერ მოგგვრის?!

ხედავ? –
გოგო როგორ მორბის,
ხედავ?
როგორ მოსდევს ბიჭი,
ხედავ? –
მკერდი იწევს სოფლის,
ბაღი,
ბაღი როგორ იძვრის!

მუხური

მომართება, ჩემო ჩინო,

და სიზმრების ფაფარი,

უამესი, ნანა, შვილო –

უტკბილესი ზღაპარი;

დედის კალთა, თბილი გული

მორდუ ტკბილი მწღაზარი,

მამის ლოცვა, ტაბლა ძმური

სახლი – უფლის ტაძარი;

ცა მაღალი, ცა ჭვირვალი,

მიწა მართლაც ზურმუხტი,
ხვავიანი, მადლიანი,
პურადი და გულუხვი;

ოცნებების ზმანება და
ჩვილ ფიქრების ქაოსი,
გოგო მიუკარება და
ფერი იის ამოსვლის.

მოშვებული ნერვებიდან
აუხდენლის დინება,
ახლად დარგულ ნერგებიდან
კვირტთა შემოცინება;

გულუბრყვილო სასწაული,
მოუხდენი მომხდარი.
და ცისფერი ხატაურით
ციცქნა ვინმე მომხტარი;

ლეგენდების მწკრივი გრძელი
და სურნელი ალუბლის,
იდილია ძველზე ძველის
და ტაბლასთან საუბრის;

მოჩითული ხობის პირი
მიხაკით და მიმოზით,

დახლართული ბილიკები

შეუწყვეტი მიმოსვლით.

ირგვლივ შემოჭრილი მთები,

ნისლის სქელი ჯავშანი,

გაზაფხული, ორბის ფრთები,

ჭრელა–ჭრელა თავშალი;

ჩემი ნაცხა, მწველი ნაცხა,

ქვეშ ბროლწყალის გრუხუნი,

მთებში ჩაკარგული ფაცხა,

აი, ჩემი მუხური.

მუხრანი

ის წავიდა...

დაიღალა!..

განა გული აიყარა...

დაიღალა!..

სინანულის ბევრი ფერდი,

ზეგანი და ბევრი ქედი

აიარა!..

ღრუბელი არ გაიყარა,

ქარი აღარ ჩადგა ცივი.

დაიღალა ცქერით წვიმის,

წყლული ვეღარ დაიამა!..

მეტი ვეღარ აიტანა...

ვერა უყო სოფლის შურმან,

საქართველოს სიყვარულმა

მისი გული დაიტანა!..

ის სამშობლოს გვაჩვენებდა,

ის გზადაგზა გვაჩერებდა,

ის საბას გზას აგრძელებდა,

გვაყოვნებდა...

ეს ქვეყანა მას რატომღაც

სულ სამოთხეს აგონებდა...

სიყვარული აომებდა,

სიყვარულით ლექსი წერა,

ჩვენთვის, – წამით დაყოვნება,

მისთვის, – ბედი, ბედისწერა!..

სიყვარულმა დაიტანა, –

გარდავიდა სანათელოდ...

ღრუბელი არ გაიყარა...

ამ ერთ დღესაც გავათრევო,

ზეზე მოკვდა, ასე მოხდა.

ფეხზე... დედა საქართველოვ!..

შენთვის მოკვდა

შენ მოგიკვდა,

შხამს სოფლისას შენთვის ჰლევდა,

უტრიალა შენსა სიტყვას

ნაღველს შენსას, დარდს და სევდას.

იყო შენი დიდი მცველი,

ყოფას შენსას ამზევებდა.

ჰქონდა ბნელი გასათრევი

ილიას გზას აგრძელებდა!..

გზას გაიყვა უცაბედად

ნახეთ, რა დროს იდროვა,

...ცისკენ ფართო, დიდი მეტად

გასასვლელი იპოვა!..

დრო

არასდროს სტყუა, წასაშლელს წაშლის,

გინა მიწაზე და გინა ცაში...

არ აგერიოს ფეხი და, მახა,

ისეც დაბნეულს არ გექცეს მხარი,

არ შეიჩინო ბნელეთის მახრა

რამე უკეთურს არ ჰკიდო თვალი;

ის აწესრიგებს, ის არის თავში
და უჩენს ადგილს მოვლენებს, საგნებს,
ის არის ყველგან, მიწაზეც, ცაშიც
და მსაჯულია სიმართლით სავსე;

არ აერევა ფერები აროს,
არავის უკმევს, არავის სწყალობს...

მას ძალუძს მხოლოდ უმცდარი განსჯა,
ნახვა ყოველის, ყოველთა სინჯვა,
თუ ჰსაჯა, სწორედ ოდენ მან ჰსაჯა,
თუ ჰკიცხა, სწორედ ოდენ მან ჰკიცხა;

ის კურნავს, ის თუ შეგაშრობს ცრემლებს,
თუ გაცრის, იგი _ რაც გულით წერენ,
ის ანგრევს ძეგლებს, ის უდგამს ძეგლებს
და მოდის შვებად სიმართლე მერე:

არჩევს ცალ-ცალკე ვარდსა და ეკალს,
კეთილს და ბოროტს, მტყუანს და მართალს
და არაფერი არაა, მახა,
ძვირფასი მისთვის სიმართლის გარდა!..

გინა მიწაზე და გინა ცაში

არ აერევა ფერები აროს,

აროდეს სტყუა, წასაშლელს წაშლის, _

არავის უკმევს, არავის სწყალობს!..

მან ნახა მტვერი, მტვერიდან მიწა,

პირველმა ნახა მზეცა და მთვარეც,

როგორ უბოძა, ღმერთმა ვით მისცა

ადამის მოდგმას დღეცა და ღამეც;

პირველი ვნება, პირველი ლოცვა,

პირველი ცრემლი, პირველი ბრაზი,

პირველი წვიმა, ყინვა და თოვა,

პირველი თრთოლა, ჩანგი თუ საზი;

ის არ მოძრაობს და აღარ იძვრის,

ნებაა ღმერთის, ღვიძლია ღმერთის,

სინჯავს და ზომავს, უჩუმრად იწვის, _

თემიდორს ბრძენი მხოლოდზე ჩვენთვის;

მან ნახა-ჰსაჯა, მან ნახა-ამკო,

თეთრი და შავი ალაგა, ვარცხნა,

და ვფიქრობ ესე:

რომ ცდილობს ნამყოდ

იმედი აღარ დაკარგოს კაცმა!..